ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

2 მარტი ოთხშაბათი 2011

№049 (13346) ფასი 60 თეთრი

## რომან ფიფია დინამოს ოფიციალური მეპატრონე მალე გახდება

ფეხბურთელები დროებით კალათბურთელთა ბაზაზე

2



# ქართველი არაბული სიტისთვის

2

## ლურჯი ინტრიგა

ჩელსიმ არსენალისთვის ისროლა

9



## პირველად



მესტალიაზე მესტალიას წინააღმდეგ

9



# კაკა, თათრეთი, 45 მილიონი ევრო და ცარიელი ფურცელი

„მარკას“ რომ არ დაეწერა და მთავარ თემად არ გამოეტანა, ნაკლებ ყურადღებას მივაქცევდით და სატრანსფერო სპეკულაციად ჩავთვლიდით, მაგრამ ყველაზე მაღალტირაჟიანი ესპანური გაზეთი ამტკიცებს, რომ ზაფხულში კაკას ყიდვა... ყაზანის „რუბინს“ სურს. საქმე მხოლოდ სურვილშიც არ არის - თათრეთის დედაქალაქის კლუბი 45 მილიონ ევროს გამოდის, ანუ სულ რაღაც 20 მილიონით ნაკლებს, ვიდრე „რეალმა“ 2009 წელს კაკას სანაცვლოდ „მილანს“ გადაუხადა. თანაც, „რუბინი“, თურმე, 2007 წლის პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელს ცარიელ ფურცელს სთავაზობს და ხელფასის ოდენობის ჩაწერა მხოლოდ ბრაზილიელის სურვილზეა დამოკიდებული...

ნიკოლოზ ნეფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

დინამო



# გასხვისების პროცესი დასასრულს მიუახლოვდა

2010 წლის 22 ნოემბერს ბადრი პატარკაციშვილის ოჯახმა თბილისის "დინამოს" შენახვაზე უარი საჯაროდ განაცხადა და ამ გადაწყვეტილების მიზეზები დაასახელა. "ლელომ" 9 დეკემბერს შეიტყო, რომ კლუბის შესყიდვის სურვილი ბიზნესმენმა **რომან ფიფიამ** გამოთქვა. იმავე დღეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გაიმართა პრესკონფერენცია, სადაც ფიფიამ განაცხადა, ჯერ კლუბი არ გადამიფორმებია, საამისოდ დრო მჭირდებაო და ფორმალური მხარის მალე მოგვარების იმედი გამოთქვა.

დღეს უკვე 2 მარტია, ანუ 9 დეკემბრის შემდეგ თითქმის სამი თვეა გასული, მაგრამ კლუბი ახალ მეპატრონეს დღემდე არ გადაუფორმებია. რატომ და რა მიზეზით? ამას რომ სპეკულაციები და ჭორები არ მოჰყოლოდა, საკითხის გარკვევა თბილისის "დინამოს" ხელმძღვანელებთან გადავწყვიტეთ.

როგორც ცნობილია, ფიფიას თბილისის "დინამოს" საკალათბურთო გუნდიც უნდა აეყვანა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ კალათბურთელთა ბაზა სპორტსაზოგადოება "დინამომ" "საქართველოს ბანკში" დააგირავა და ამ გაურკვევლობას, დავასა და ლაბირინთებში გარკვევას, ფიფიამ საკალათბურთო "დინამოს" შეძენაზე უარის თქმა ამჯობინა. ვერც გაამტყუნებ, დამატებითი და მეტად გაურკვეველი ხარჯების ზურგზე აკიდება არც ერთ ბიზნესმენს არ სურს – კალათბურთი, ფეხბურთის არ იყოს, საქართველოში ისედაც ხარჯია.

საფეხბურთო "დინამო" მსგავს ლაბირინთებში გახლართული არ არის და მიუხედავად იმისა, რომ გასხვისების პროცესი გაიწელა, გუშინ კლუბში გვითხრეს, რომ რომან ფიფია მალე ოფიციალურად გახდება "დინამოს" მეპატრონე.

*"კლუბის გასხვისების პროცესი, ფაქტობრივად, დასრულებულია. და ის ფაქტი, რომ ეს საკითხი დღემდე ღიად იყო დარჩენილი, გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგან რთული პროცესია და დიდი დრო სჭირდება"*, - გვითხრეს "დინამოში".

წესითა და რიგით, ასეც უნდა იყოს, რადგან ფიფიამ უკვე შეიძინა ფეხბურთელები, დიღმის საწვრთნელ ბაზაზე რემონტი კი არა, არამედ მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო: შეიცვლება ორივე მოედნის საფარი, ადმინისტრაციულ-საცხოვრებელი კორპუსი და ტრენაჟორების დარბაზი სრულად განახლდება, ანუ, ფაქტობრივად, **ანდრო ჟორდანიას** სახელობის საფეხბურთო ბაზა თავიდან შენდება. ასეთ სამუშაოებს კი გონებადამჯდარი ბიზნესმენი არ დაიწყებდა, კლუბის გადაცემაში დარწმუნებული რომ არ იყოს. არადა, ჭორები გავრცელდა, თითქოს პატარკაციშვილის ოჯახი "დინამოს" ფიფიას აღარ უთმობდა.

ამასობაში "დინამოს" ხელმძღვანელობა და მოთამაშეები დროებით საკალათბურთო ბაზას შეეხიზნენ, გუშინ კი გუნდმა "ავაზა-ვისოლის" საფეხბურთო მოედანზე ივარჯიშა. სავარაუდოდ, "დინამოს" ბაზის რეაბილიტაციის დიდი ნაწილი ზაფხულში უნდა დასრულდეს.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# ჯანო საუკეთესოა!

მოსკოვის "სპარტაკის" გულშემატკივართა გამოკითხვის შედეგად ამ გუნდში თებერვლის საუკეთესო ფეხბურთელად **ჯანო ანანიძე** დასახელდა. შეგახსენებთ, ევროპის ლიგის მეთექვსმეტედფინალში ახალგაზრდა ქართველმა შვეიცარიული "ბაზელის" კარში გადამწყვეტი და ეფექტური გოლი გაიტანა, რითაც გუნდის ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრებისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა.

ცნობისათვის, გამოკითხვაში მეორე ადგილზე "სპარტაკის" შოტლანდიელი ნახევარმცველი **ეიდენ მაკგიდი** გავიდა, მესამეზე კი ბრაზილიელი შუახაზელი **ალექსი**.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ანანიძე "სპარტაკის" ღირსებას ამიერიდან არა 27, არამედ 12-ნომრიანი მაისურით დაიცავს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ასაკობრივი ნაკრებები

# სასარგებლო სპარინგი

ხვალ, 16 საათზე, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ერთმანეთს საქართველოს 17-წლამდელთა (მთავარი მწვრთნელი – **ვასილ მაისურაძე**) და 16-წლამდელთა (მთავარი მწვრთნელი – **გელა შეყილაძე**) ნაკრებები შეხვდებიან.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდზე 16-წლამდელთა შემადგენლობაა გამოქვეყნებული: **დავით ბააზოვი, ლუკა ზარანდია, ცოტნე მესხი, ოთარ კობახიძე, კოტე ჭაბაშვილი** (ყველა – 35-ე საფეხბურთო სკოლა), **გიორგი თევზაძე, ზურაბ მალანია, ბაკურ გაბედავა, თორნიკე ტურავა** (ყველა – ბაია), **ანრი არველაძე, გაგი მარგველაშვილი** (ორივე – იმერეთი), **გიორგი ბუნტური, გიორგი ჩაფიძე** (ორივე – საქართველოს უნივერსიტეტი), **გიორგი ხორხელი, ილია კერძევაძე** (ორივე – თბილისის ოლიმპი), **გაგა კირთაძე** (რუსთავის ოლიმპი), **ზურაბ გელაშვილი** (ახალციხე), **დავით მარიამიძე** (გორი), **ზურაბ ჯაფიაშვილი** (ოლიმპიკი), **რომან ჭანტურია** (ლოკომოტივი), **გიორგი ხარაიშვილი** (საბურთალო).

რამდენიმე დღის წინ 16-წლამდელებმა საქართველოში ჩამოსულ ნიგერიის ერთ-ერთი საფეხბურთო აკადემიის გუნდს ამხანაგური მატჩი მალანიასა და ჭანტურიას გოლებით 2:0 მოუგეს. აღსანიშნავია, რომ ნიგერიელთა შემადგენლობაში უმრავლესად 18 წლის ფეხბურთელები თამაშობდნენ.

16-წლამდელთა ნაკრები მაისში აზერბაიჯანში ჩავა და იქაურ თანატოლებთან ამხანაგურად ითამაშებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სავარაუდო ტრანსფერი

# ბაჩანა არაბულის ინგლისური შანსი

## ქინქლაძის შემდეგ სიტიში კიდევ ერთი ქართველი გამოჩნდა



საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ლიდერი **ბაჩანა არაბული** ამჟამად ინგლისშია, სადაც "მანჩესტერ სიტის" შესაბამის ასაკობრივ გუნდში გადის სინჯებს. შეგახსენებთ, პერსპექტიული ქართველი თავდამსხმელი ამ ცოტა ხნის წინ კიევის "დინამოში" ისინჯებოდა და იქიდან საბოლოო პასუხს ელის. ვნახოთ, როგორ დასრულდება არაბულის მანჩესტერული ვიზიტი და სად გააგრძელებს იგი კარიერას.

როგორც საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **კობა ჟორჟიკაშვილმა** გვითხრა, მადრიდში გამართულ ესპანელ და ქართველ 17-წლამდელთა მატჩებს ადგილობრივი და ევროპის სხვა წამყვანი საფეხბურთო ქვეყნებიდან ჩასული სელექციონერები დაესწრნენ. ასე რომ, მალე შესაძლოა, ჩვენი ნაკრების სხვა წევრებმაც მიიღონ საინტერესო შეთავაზებები.

**ლევან ჯანეზაშვილი**

U14

# შედეგი გვაქვს, დისციპლინა გვაკლია

**საქართველოს 14-წლამდელთა ნაკრები, რომელმაც რამდენიმე დღის წინ "რიგის თასი" მოიგო, თბილისში დაბრუნდა. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა გოჩა ტყებუჩავამ ლატვიური ტურნირის შესახებ გუშინ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის საკონფერენციო დარბაზში ისაუბრა. იქვე იყვნენ ნაკრების წევრებიც.**

**გოჩა ტყებუჩავა:**

- დიდი მადლობა მობრძანებისთვის. მოხარული ვარ, რომ ამ შეკრებისთვის ასეთი სასიამოვნო მიზეზი გვაქვს. საკმაოდ საინტერესო და კარგად ორგანიზებულ ტურნირზე გავიმარჯვეთ. ჩვენი ბავშვებისთვის ეს პირველი სერიოზული გამოცდა იყო და მოხარული ვარ, რომ ამას კარგად გაართვეს თავი. ბუნებრივია, იყო ნაკლოვანებებიც, მაგრამ ტურნირმა თავისი მისია ასი პროცენტით შეასრულა – კარგად დავინახეთ თითოეული ფეხბურთელის შესაძლებლობები, მათი მიდგომა ფეხბურთისადმი და პიროვნული თვისებები.

**- ცნობილია, რომ "რიგის თასზე" ნაკრები მხოლოდ საქართველოს ჰყავდა გამოყვანილი.**

- ასეა, მაგრამ მეტოქეებად საკმაოდ ძლიერი გუნდები გვყავდა. ბევრზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ნახევარფინალში კიევის "დინამოს", ხოლო ფინალში არნემის "ვიტესს" ვძლიეთ. განსაკუთრებით მომეწონა იტალიური "ატალანტას" თამაში, რომელთანაც ჩვენ არ გვითამაშია. ეს გუნდი ნახევარფინალში "ვიტესთან" დამარცხდა.

ტურნირი საკმაოდ მჭიდრო გრაფიკით ჩატარდა, დღეში ორი თამაში გვიწევდა, რის გამოც ჩვენმა რამდენიმე ფეხბურთელმა ტრავმა მიიღო. განსაკუთრებით რთული კიევის "დინამოსთან" მატჩი გამოდგა, რომლის წევრებიც ქართველებს ძალიან ეუხეშებოდნენ.

**- როგორც ვიცით, რიგაში თქვენ გვერდით იყო ალექსანდრე რეხვიაშვილი.**

- დიახ, ალეკო ყოველმხრივ მხარში დაგვიდგა და ჩვენთვის ყურადღება არ მოუკლია. სხვათა შორის, იგი ტურნირის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო, "რიგის თასი" კი ქალაქის მერიის პატრონაჟით ჩატარდა.

**- ნაკრების სამომავლო გეგმები როგორია?**

- 27 აპრილს შვედეთში საერთაშორისო ტურნირი გაიმართება, სადაც ჩვენც ვართ მიწვეულები. იქ თამაში ისეთი ძლიერი კლუბების ბავშვებთან მოგვიწევს, როგორებიც "მილანი", "აიაქსი" და "ბაიერი" არიან. ამათ გარდა, ტურნირზე იასპარეზებენ ადგილობრივი აიკ, ბერძნული პაოკ და ფინური კლუბები. მოხარული ვარ, რომ დღეს ჩვენს ნაკრებებს საერთაშორისო გამოცდილების მიღების პერსპექტივა აქვთ. ადრე მსგავს ფუფუნებას მოკლებულნი ვიყავით. მაშინ, როცა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ვმუშაობდი, შესარჩევი ტურნირის დაწყებამდე მხოლოდ ორი ამხანაგური მატჩის ჩატარება მოხერხდა.

**- ქართველი ბავშვები უცხოელ თანატოლებს რაიმეში თუ ჩამორჩებიან?**

- უცხოელები ბევრ კომპონენტში გვისწრებენ – ტაქტიკურადაც, ფიზიკურადაც და, რაღა თქმა უნდა, პირობებითაც. ფაქტია, რომ რიგაში საქართველოდან ნაკრების მაგივრად რომელიმე კლუბი რომ წასულიყო, ჩემპიონობა ძალიან გაუჭირდებოდა.

**- როგორი თაობა გვყავს ამ ასაკში და კადრების მხრივ დიდი არჩევანი თუ გაქვთ?**

- წამყვან ევროპულ საფეხბურთო ქვეყნებს ყველა ასაკში თითო პოზიციაზე ხუთი-ათი ძლიერი ფეხბურთელი ჰყავთ, ჩვენ კი ორი მოთამაშის მოძიებაც კი გვიჭირს. ამჟამინდელ თანამდებობაზე მხოლოდ ერთი თვეა ვმუშაობ, თუმცა გარკვეული სასელექციო სამუშაოების ჩატარება უკვე მოვასწარით და, სამწუხაროდ, სურათი დამაიმედებელი ნამდვილად არაა. ამხანაგური მატჩები ჩავატარეთ იმერეთის, სამეგრელოსა და აჭარა-გურიის ნაკრებებთან და 5:0-ზე ნაკლები ანგარიშით არავისთან გაგვიმარჯვია. მათ შემადგენლობაში საინტერესო ფეხბურთელი ფაქტობრივად ვერ ვიპოვეთ. მალე ძიებას აღმოსავლეთ საქართველოშიც შევუდგებით, დასავლეთსაც მივუბრუნდებით და ახალი კანდიდატების პოვნას შევეცდებით.

დასასრულს, ერთ მტკივნეულ და ძალიან მნიშვნელოვან საკითხს შევეხები: შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ ჩვენს ფეხბურთელებში დისციპლინა ძალიან მოიკოჭლებს. მართალია, ჯერ მოზარდები არიან, მაგრამ უკვე დროა, ესმოდეთ რას ნიშნავს პროფესიონალი ფეხბურთელის ცხოვრება. სათამაშო და ცხოვრებისეული დისციპლინის გარეშე დიდ ფეხბურთს ვერავინ ითამაშებს. ყველაფერი ოჯახიდან მოდის და ამ ბავშვების მშობლებს ვთხოვ, შვილების აღზრდასაც უდიდესი ყურადღება დაუთმონ და მწვრთნელის საქმეშიც ნუ ჩაერევიან.



გოჩა ტყებუჩავა (მარცხნივ) და სფფ-ის პრესატაშე ლაშა დვალიშვილი    ფოტო: www.gff.ge

**ლევან ჯანეზაშვილი**

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არასრული და საინტერესო

**... სამწუხაროდ, ისევ არასრული ტური გვქონდა და რაც ყველაზე უცნაურია, თოვლის გამო სადმე, პერიფერიაში კი არ გადაიდო მატჩი, არამედ ჩვენს უმთავრეს საფეხბურთო არენაზე ვერ ჩატარდა შეხვედრა. ასე და ამრიგად, როგორც ვივარაუდეთ, ზედიზედ მეორე წელიწადია, თებერვალს სერიოზული კორექტივები შეაქვს უმაღლესი ლიგის კალენდარში. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, განვლილ ტურში მაინც მოხდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი და სწორედ ამაზე გვინდა ყურადღების გამახვილება.**




## საჩემპიონო სერიალი

პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ სატურნირო ცხრილის სათავეში 37 ქულით „ზესტაფონი" იმყოფებოდა; ამდენივე ქულა ჰქონდა „ოლიმპსაც", მაგრამ **გია გეგუჩაძის** გუნდი ჩვენი ქვეყნის ჩემპიონს მხოლოდ დამატებითი მაჩვენებლით (ერთით მეტი მოგება ჰქონდა) სჯობდა. მეორე ეტაპის სტარტიდან კი პირველ ადგილზე ამჯერად „ოლიმპმა" გადაინაცვლა და ასე გრძელდებოდა სამი ტურის განმავლობაში (ანუ, იქამდე, ვიდრე ამ ტურში ჩემპიონობის ფავორიტები ერთმანეთს შეხვდებოდნენ). და აი, XXII ტურის ცენტრალური მატჩის შემდეგ „სტატუს-კვო" აღდგა: „ზესტაფონსა" და „ოლიმპს" კვლავაც ქულათა ერთნაირი რაოდენობა აქვთ და იმერული კლუბი ისევ მოგებათა მეტი რაოდენობით უსწრებს თავის უშუალო კონკურენტს. ოღონდ, დიდია იმის ალბათობაც, რომ ჯერ კიდევ მომავალ ტურამდე ლიდერთა შორის ქულათა სხვაობა კიდევ უფრო გაიზარდოს: ხვალ „ზესტაფონი" გადადებულ მატჩში „ტორპედოს" უმასპინძლებს და წარმატების შემთხვევაში არცთუ ურიგო ჰანდიკაპსაც შექმნის. სხვათა შორის, „ზესტაფონმა" ამ სეზონში ბოლოს სწორედ... „ოლიმპთან" წააგო და აი, სრულყოფილი რევანშიც შედგა. ამჯერად „ზესტაფონს" აქვს რვამატჩიანი წაუგებელი სერია, სამაგიეროდ „ოლიმპის" ბევრად უფრო წარმატებული და ხანგრძლივი სერია შეწყდა — რუსთაველებს ჩემპიონატში ბოლოს 3 ოქტომბერს ჰქონდათ წაგებული. იმის გარდა, რომ თავისი გუნდი უშუალო კონკურენტთან დამარცხდა, „ოლიმპის" მთავარ მწვრთნელს **თორნიკე მაისურაძეს** „პირადი" უკმაყოფილების საბაბიც ექნებოდა: ახალგაზრდა სპეციალისტი რუსთავულ გუნდში გასული წლის დეკემბრის დასაწყისში დაინიშნა და მას მერე არც ერთ შეხვედრაში (ოფიციალურშიც და საკონტროლოშიც) წაგება არ ჰქონდა...

## საფეხბურთო არითმეტიკა

იმის გარდა, რომ ამ ტურში ჩემპიონატის ლიდერი შეიცვალა, სატურნირო ცხრილში სხვა „საინტერესო" გადაადგილებებიც მოხდა. უპირველეს ყოვლისა, „ვიტ ჯორჯიას" წარმატებული ასპარეზობა უნდა აღვნიშნოთ: **მერაბ კოჭლაშვილის** გუნდმა ზედიზედ მეორე გამარჯვებით თავისთვის აშკარად „შესაფერის", მეოთხე ადგილზე (დღევანდელი რესურსის გათვალისწინებით) გადაინაცვლა. არადა, ადრეც არაერთხელ აღვნიშნეთ და კვლავაც გავიმეორებთ, რომ გასავარდნ ზონაში ამ გუნდის ხილვა, ცოტა არ იყოს, თვალს ეხამუშებოდა... იმავეს ვიტყოდით ქუთაისის „ტორპედოზეც": **გია გიგატაძის** გუნდმა მეორე ეტაპზე პირველი გამარჯვება მოიპოვა და ამ სეზონში, ალბათ, საბოლოოდ დაშორდა სახიფათო ზონას. შესაძლოა, ქუთათური ქომაგები თავიანთი საყვარელი გუნდის თამაშის ხარისხით აღფრთოვანებული არ დარჩენილან, მაგრამ „ტორპედოს" რეალური ძალა მაშინ გამოჩნდება, როცა კლუბის უამრავი ახალწვეული ერთმანეთში შეთამაშდება. აი, „სპარტაკი" კი უკვე ძალიან ახლოს არის „საშუალედო მიღწევამდე" - **ბადრი კვარაცხელიას** გუნდი ქულებით უკვე გაუთანაბრდა „სამტრედიას" და ჩემპიონატის დაწყებიდან პირველად იმიტომ ვერ დააღწია ბოლო ადგილს თავი, რომ იმერულ გუნდთან ურთიერთშეხვედრებში უარყოფითი ბალანსი აქვს. თუმცა, ხვალინდელ კიდევ ერთ გადადებულ მატჩში ხომ სწორედ ეს გუნდები ხვდებიან ერთმანეთს და აბა, ამაზე მეტი ინტრიგა რაღა უნდა იყოს...

## „სტუმართმოყვარეობა" და „კარგი კუში"

სეზონის დაწყებიდან ერთადერთი შემთხვევა იყო, კონკრეტული ტურის ხუთივე შეხვედრაში მასპინძლებმა რომ გაიმარჯვეს; ასეთი „შესაშური მასპინძლობა" ქართულ გუნდებს პირველი ეტაპის დასკვნით ტურში (11 დეკემბერს რომ ჩატარდა) ჰქონდათ და აი, თითქმის იგივე განმეორდა! „თითქმის", იმიტომ, რომ ერთი მატჩი („დინამო"-„ბაია") გადაიდო, დანარჩენი ოთხი შეხვედრა კი მასპინძელთა დომინირებით აღინიშნა. ისე, გულახდილად რომ ვთქვათ, მოვლენათა ასეთი განვითარება, მეტ-ნაკლებად სავარაუდოც იყო; ყოველ შემთხვევაში, წამყვანი უცხოური საბუქმეიქერო კანტორები საქართველოს ჩემპიონატის ამ ტურის მატჩებზე ფსონებს რომ ადგენდნენ, ხუთივე წყვილში ფავორიტად მასპინძელ გუნდს მიიჩნევდნენ. როგორც ხედავთ, ბუქმეიქერთა (როგორც უცხოელი, ასევე — ქართველი) პროგნოზებიც გამართლდა და შედეგად, უსენსაციო ტურიც მივიღეთ. ისე, საბუქმეიქერო კანტორები შემთხვევით არ გვიხსენებია: ამ ბოლო დროს ქართულ ტოტალიზატორებშიც შესაძლებელია საქართველოს ჩემპიონატზე ფსონების მიღება და, ჩვენი ინფორმაციით, ამ უქმეებზე ბევრმა ქართველმა მეფსონემაც გაამდიდრა საკუთარი კაპიტალი; რაღა თქმა უნდა, იმათ ვგულისხმობთ, ვინც საქართველოს ჩემპიონატის მატჩებზე დადო ფსონი...



ზესტაფონი-ოლიმპი 2:0

დავით კოხრეიძის ფოტო

## ბომბარდირული ისტორიები

ჩემპიონატს მართლაც დამსახურებული ლიდერი ჰყავს „ზესტაფონის" სახით და არც ის ფაქტია მოულოდნელი, ყველაზე მეტი გოლი სწორედ ამ გუნდის ფეხბურთელებს რომ აქვთ გატანილი. თუმცა, „ზესტაფონის" თავდასხმის ხაზი მაინც განსაკუთრებულად უნდა გამოვყოთ: **ნიკოლოზ გელაშვილი** და **რატი წინამძღვრიშვილი** თერთმეტთერთმეტი გოლით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირთა სიას ლიდერობენ, **ჯაბა დვალმა** კი შვიდი გოლი გაიტანა. ანუ, „ზესტაფონის" ფორვარდების ანგარიშზე ამჟამად 29 გოლია და ეს მაჩვენებელი უმაღლესი ლიგის ყველა გუნდის... შედეგიანობას აღემატება და მხოლოდ „ოლიმპმა" მოახერხა „ზესტაფონის" თავდამსხმელებზე მეტი გოლის გატანა. სხვათა შორის, გელაშვილის მიერ „ოლიმპის" კარში გატანილი ბურთი განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო: 49 გოლით „ზესტაფონის" ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირი გახდა და ცნობილი გოლიადორის, **ზურაბ იონანიძის** მიღწევა გააუმჯობესა. ისე, „იონას" სხვა ბევრი რეკორდითაც შეუძლია იამაყოს და ამათგან ერთ-ერთი „ტორპედოს" ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირობაა; თანაც, ამ სეზონში ქუთაისელებს ერთობ უჭირთ მეტოქის კარში გოლის გატანა და ახლაც მინიმალური სხვაობით გაიმარჯვეს. თუმცა, ხანდახან ერთი გოლი ხომ ათსაც „უდრის" ხოლმე — მშობლიური ქალაქის გუნდში ექვსწლიანი პაუზის მერე დაბრუნებულმა **გიორგი მეგრელაძემ** ეფექტური საჯარიმო დარტყმით ბურთი „კოლხეთის" კარის „ცხრიანში" გაგზავნა. შეგახსენებთ, რომ მეგრელაძემ სეზონი „ბაიაში" დაიწყო და ერთობ წარმატებულადაც: ჩემპიონატის სტარტზე გატანილი 6 გოლით, ერთი პერიოდი, საუკეთესო ბომბარდირთა სიასაც ლიდერობდა. თუმცა, მერე „ბაიაში" ფინანსურმა პრობლემებმა თავი იჩინა და ვიდრე „ტორპედოში" მოვიდოდა, ვეტერანი ფორვარდი რამდენიმე თვის განმავლობაში უსაქმოდ იყო. მეგრელაძეს საქართველოს ჩემპიონატში არაერთ გუნდში უთამაშია და ყველგან („ტორპედო", „სამგურალი", „დინამო", „ბორჯომი", „ოლიმპი", „ბაია") ავლენდა თავის გოლიადორულ თვისებებს; ანუ, მისგან (თუნდაც, ზემოთ ნახსენები ნიკოლოზ გელაშვილისგან) მსგავსი შედეგიანობა ჩვეულებრივ ამბად უნდა შეფასდეს. აი, **ზვიად მეტრეველის** წარმატებული ასპარეზობა კი, უდავოდ, ერთ-ერთ სიურპრიზად უნდა მივიჩნიოთ: ამ თავდამსხმელმა მეორე ეტაპზე თავის ახალ გუნდში, ცხინვალის „სპარტაკში" სამ მატჩში მიიღო მონაწილეობა და უკვე ოთხი გოლის გატანა მოახერხა. რაც მთავარია, კარიერაში პირველი „ჰეთ-თრიქიც" შეასრულა და სწორედ მისმა სამმა გოლმა მოუტანა კიდეც „სპარტაკს" უმნიშვნელოვანესი გამარჯვება ბოლნისის „სიონთან". აქვე, ბარემ ისიც ვთქვათ, სეზონის დასაწყისიდან ჯერჯერობით მხოლოდ ოთხი „ჰეთ-თრიქი" ვნახეთ: VIII ტურში „ოლიმპის" ფორვარდმა **ირაკლი მოდებაძემ** გაიტანა მეტოქის კარში 3 გოლი, XVI და XVIII ტურებში იმავე ნიკოლოზ გელაშვილმა მოახერხა და აი, გასულ ტურში თავი ამჯერად ზვიად მეტრეველმა გამოიჩინა.

ისე, რახან სეზონის სტარტზე ვსაუბრობთ, უპრიანი იქნებოდა ის ფეხბურთელებიც გვეხსენებინა, სხვადასხვა გუნდის მაისურით რომ შეძლეს მეტოქეთა კარის აღება. ერთ-ერთზე უკვე ვთქვით და გიორგი მეგრელაძის გარდა ეს კიდევ ოთხმა ფეხბურთელმა მოახერხა: **ვახტანგ კვარაცხელიამ** („ვიტ ჯორჯია"/„ტორპედო"), **ლაშა ქებაძემ** („სამტრედია"/„ტორპედო"), **გოგა კვერენჩხილაძემ** („სამტრედია"/„კოლხეთი"), **რევაზ ჯიქიამ** („კოლხეთი"/„სიონი"). თანაც, ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ სეზონის ბოლომდე ეს სია გაიზრდება; ისიც ვიმედოვნოთ რომ ჰეთთრიქოსანთა რიცხვიც გაზრდილიყოს, - რაც უნდა საინტერესო მატჩი იყოს, უგოლოდ ხომ ყველაფერი უფასურდება ხოლმე...

## განსაკუთრებული დებიუტანტები

მეორე ეტაპის დაწყებიდან უკვე ოთხი ტურის მატჩები ჩატარდა და თითქმის ყოველ ტურში „სხვადასხვა" დებიუტის მომსწრენი ვხდებით; ასე, მაგალითად, „ზესტაფონთან" შეხვედრაში „ოლიმპის" შემადგენლობაში სამი ახალწვეული გამოჩნდა: **სანდრო იაშვილი, ილია პავლიაშვილი** და **ზურაბ ქურდობაძე**. ამ უკანასკნელმა უმაღლეს ლიგაში სულაც სადებიუტო შეხვედრა ჩაატარა. პავლიაშვილის შესაძლებლობები სხვა გუნდებიდანაც („ბორჯომი", „გაგრა", „სამტრედია") გვახსოვდა, რაც შეეხება იაშვილს, ეს მართლაც ნიჭიერი ფორვარდი საქართველოს ჩემპიონატს გარკვეული პაუზის მერე დაუბრუნდა. „იაშკა" ამჟამად 26 წლის არის და პატარა ბიჭიაო, ამას ვერავინ იტყვის, არადა, მისგან მუდამ განსაკუთრებულს ვითხოვთ; იმიტომ, რომ მართლაც განსაკუთრებული შესაძლებლობების პატრონია, მაგრამ გარკვეულ მიზეზთა გამო საკუთარი ნიჭი ბოლომდე ვერ გამოავლინა. ეროვნულ ჩემპიონატში შარშანაც დაახლოებით ამ პერიოდში დაბრუნდა და მაშინაც „ოლიმპში" ჩაირიცხა. უფრო ზუსტად, რუსთავულ გუნდში მეორე ეტაპის დაწყების წინ მივიდა და „ოლიმპის" ჩემპიონობაში არცთუ მოკრძალებული წვლილიც შეიტანა — 13 მატჩი ჩაატარა და 5 გოლი გაიტანა. სეზონის დასრულების შემდეგ კვლავაც უცხოეთში სურდა კარიერის გაგრძელება, მაგრამ ისე როგორც წინა რამდენიმე ცდაზე, ამ საქმიდან ამჯერადაც არაფერი გამოვიდა და ისევ საქართველოში დაბრუნდა. იმედი დავიტოვოთ, რომ მალე შეძლებს ოპტიმალური ფორმის „აკრეფას" და ასევე მალე მოახერხებს გულშემატკივრებისათვის თავის შეხსენებას...

ამ სამეულის გარდა თავიანთთვის ახალ გუნდებში სადებიუტო მატჩები სხვებმაც ჩაატარეს: ეროვნულ ჩემპიონატს გარკვეული პაუზის მერე **გრიგოლ იმედაძე** და **გიორგი ალავერდაშვილი** დაუბრუნდნენ; აი, 32 წლის **დავით სვანიძეს** კი საქართველოში მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთ გუნდში, ბოლნისის „სიონში" უთამაშია და სწორედ იგი გახლავთ კიდეც უმაღლეს ლიგაში ჩატარებული მატჩების მიხედვით ამ კლუბის რეკორდსმენი. სვანიძე ბოლოს აზერბაიჯანში ასპარეზობდა, მაგრამ ისევ საქართველოში დაბრუნდა და, რაღა თქმა უნდა, მშობლიურ „სიონს" მიაშურა.

დაბოლოს, ორ ახალგაზრდა ფეხბურთელზეც: 20 წლის **მიხეილ როსტიაშვილმა** („ვიტ ჯორჯია") უმაღლეს ლიგაში სადებიუტო გოლი გაიტანა, 18 წლის **ვალერი კილასონიამ** („სპარტაკი") კი პირველი მატჩი ჩაატარა. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი კილასონიების საფეხბურთო გვარის ღირსეული გამგრძელებელია: მამასაც (**გიორგი კილასონიას**) და ბიძასაც (**ვარლამ კილასონიას**) ქართველი ფეხბურთის გულშემატკივრების წინაშე წარდგენა არ სჭირდებათ...

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ამბები

## უვე უკვე აღარ არის

"კარლსრუეს" მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან **უვე რაპოლდერი** გაათავისუფლეს. იგი **ალექსანდრე იაშვილის** გუნდში მხოლოდ ნოემბრიდან მოყოლებული მუშაობდა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობამ მდგომარეობის გამოსწორებისთვის მეტი დრო აღარ მისცა. "კარლსრუეს" დღევანდელი ყოფა კი კატასტროფულია – კლუბი, რომელსაც მიზნად პირველ ბუნდესლიგაში დაბრუნება ჰქონდა დასახული, ამჟამად მეორე ბუნდესლიგაში მე-16 ადგილზეა და გავარდნის რეალური საფრთხე ემუქრება.

## საიმედო ვაჟა

ტირასპოლის "შერიფმა" 24 ოფიციალურ მატჩში 7 გოლი გაუშვა და მოლდოვის მრავალგზის ჩემპიონი უეფამ ყველაზე საიმედო დაცვის მქონე კლუბად დაასახელა.

ამ ამბით გახარებულმა "შერიფის" მეკარემ **ვლადისლავ სტოიანოვმა** გუნდის ქართველი კაპიტანი და ცენტრალური მცველი **ვაჟა თარხნიშვილი** შეაქო: *"დაცვა მართლაც მაღალი დონისა გვყავს, მაგრამ ვაჟა ჩვენთვის განსაკუთრებული ფეხბურთელია. იგი გუნდის უმნიშვნელოვანესი ფიგურაა, მისი მოედანზე ყოფნა ახალგაზრდა მოთამაშეებს თავდაჯერებასა და დიდ ენერგიას მატებს".*

## გაჯიევმა სპალეტის უთავაზა

რუსეთის თასის მერვედფინალურ მატჩში მახაჩყალის "ანჟიმ" სანკტ-პეტერბურგის "ზენიტს" გროზნოში უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში 2:3 დამარცხდა. "ანჟის" შემადგენლობაში ქართველთაგან მხოლოდ **ნუკრი რევიშვილმა** ითამაშა, რომელმაც მოედანზე 90 წუთი გაატარა. ეს "ანჟის" სახელოვანი ახალწვეულის, **რობერტო კარლოსის** პირველი ოფიციალური მატჩი იყო ახალი კლუბის შემადგენლობაში.

პირველი ტაიმის დასრულებისთანავე "ანჟის" თავკაცმა **გაჯი გაჯიევმა** მსაჯის ქმედებებით უკმაყოფილება გამოთქვა, მასთან პოლემიკაში ზენიტელი კოლეგა **ლუჩანო სპალეტი** ჩაერთო და გაჯიევისგან ფერდში მუჯლუგუნი მიიღო.

## ლიპარტია ზარიას ათიანია

ლუგანსკის "ზარიამ" საზოგადოებას ახალწვეულები წარუდგინა. ცნობილი გახდა, რომ უკრაინულ კლუბში "ვიტ ჯორჯიადან" გადასული **ჯაბა ლიპარტია** 10-ნომრიანი მაისურით ითამაშებს. მან "ზარიასთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**ლევან ჯანეზაშვილი**




● რეგიონები

# სად რა პროექტები განხორციელდება?

## მცხეთა-მთიანეთში სტადიონი აშენდება, კახეთში იმავეს იმედოვნებენ

**ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ აღმასკომის ბოლო სხდომაზე ზოგიერთი რეგიონის ხელმძღვანელი გააკრიტიკა, არაფერს აკეთებენ და თუ ასე გააგრძელეს, დაფინანსება შეუწყდებათო. თუმცა, ცხადია, ამ კატეგორიაში არ იგულისხმა.**

**ვინ რას აკეთებს და საერთოდ, რა ხდება რეგიონებში, ამის დასადგენად "ლელო" ორი რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტს ესაუბრა.**



მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტი ვიტალი გრძელიშვილი

### მცხეთა-მთიანეთი:

### რაც შეიძლება მეტი გუნდი!

**ვიტალი გრძელიშვილი დიდი ხანია მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტია და ბევრი რამ აქვს გაკეთებული. ალბათ, ერთადერთი პრეზიდენტია, რომელმაც საკუთარ რეგიონში საფეხბურთო კლუბი დააფუძნა – "მცხეთა" და მას საკუთარი სახსრებით ინახავდა, რომელიც შემდეგ უმაღლესი ლიგის აღმოჩენად იქცა. მაგრამ, როგორც ბევრი კლუბი, "მცხეთაც" უსახსრობის გამო დაიშალა.**

**უსახსრობაა სწორედ ის პრობლემა, რომელიც ამ რეგიონში ფეხბურთის განვითარებას ხელს უშლის. თუმცა, მიუხედავად გაჭირვებისა, რეგიონული ფედერაცია მწირი ბიუჯეტით მაინც ბევრ ტურნირს ატარებს.**

**- რა ხდება მცხეთა-მთიანეთში, რა პროექტები ხორციელდება და რა პერსპექტივებია?**

- ჯერ იმაზე ვიტყვი, რომ ზვიად სიჭინავას ჩვენი ფედერაცია არ გაუკრიტიკებია, რაც თავადაც გვითხრა. მეორეც - ჩვენთან იმდენი ტურნირი და ღონისძიება ტარდება, ვერავინ იტყვის, უმოქმედო და უფუნქციო ფედერაცია არისო.

**- რეგიონული ფედერაციისთვის ჩარიცხული 10 ათასი ლარი რას ხმარდება?**

- ხელფასებს რომ არ ხმარდება, ეს დანამდვილებით შემიძლია გითხრათ. მე და ჩვენი გენერალური მდივანი ფედერაციიდან თეთრს არ ვიღებთ, პირიქით, ჩვენი კავშირებით ვცდილობთ თანხების მოძიებას, ფედერაციიდან გამოყოფილი თანხები კი პროგრამული დაფინანსების შესაბამისად იხარჯება.

**- მცხეთა-მთიანეთში საფეხბურთო ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად რა კეთდება?**

- ბოლო ორი წელია სერიოზული პროექტების განხორციელება დაიწყო. "ვიტ ჯორჯიის" სტადიონის რეაბილიტაცია დასასრულს მიუახლოვდა და მაისამდე სტადიონი ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს უმასპინძლებს. რა თქმა უნდა, ეს სტადიონი ჩვენს რეგიონულ ფედერაციასაც დაეხმარება, რადგან მცხეთაში ბალახისსაფარიანი მოედანი აღარ დარჩა.

ძალიან ბევრი რამ გაკეთდა დუშეთის მუნიციპალიტეტში, ორი სტადიონი, დარბაზით, გასახდელებით, თანამედროვე კომპლექსით და ისეთი პირობებია, გუნდი კარგად მოემზადება.

**- მცხეთის სტადიონი "ვიტ ჯორჯიამ" არ ააშენა?**

- გეტყვით, როგორც იყო: როდესაც რეგიონული ფედერაციის საოფისე შენობა აშენდა, ამ პროგრამით ხელოვნურსაფარიანი მინი-მოედანიც მოგვიწყვეს. მეორე ეტაპზე კი სტანდარტული მოედნის აშენება დაიგეგმა, მაგრამ ამ პროექტში შემდეგ "ვიტ ჯორჯია" ჩასვეს და ეს ფედერაციამ პროგრამული დაფინანსებით მოახერხა. რადგან კლუბს კარგი მოედანი არ ჰქონდა, ჩვენი გრანტი მათზე გადამისამართდა და ჩვენთვის მისაღები იყო, რადგან საერთო ძალისხმევით მცხეთაში ლამაზი სტადიონი აშენდა.

**- ზვიად სიჭინავამ ყველა ტურნირის ცენტრალიზაცია გადაწყვიტა. თქვენი აზრით, რა შეიძლება იყოს ამის პლუსი და მინუსი?**

- პლუსი ესაა – რომელ რეგიონებსაც გუნდების სიმცირის გამო ჩემპიონატების ჩატარება არ შეუძლიათ, შედარებით მსხვილ რეგიონთან გაერთიანდებიან და ბავშვები არ დაიკარგებიან. მაგალითად, ჩვენ რეგიონულ ტურნირებს ვატარებს, მაგრამ ზოგ ასაკში 4-5 გუნდია, ჩემპიონატს ვერ ჩავატარებთ და თბილისის ფედერაციის ორგანიზებულ ტურნირებში ჩვენები ამიტომ მონაწილეობენ. მოკლედ, პრობლემა გუნდების სიმცირეშია. ჩვენთან არც მოსახლეობაა და არც გუნდებია ისეთი მრავალრიცხოვანი, როგორც სამეგრელოში, იმერეთში, კახეთში, აჭარაში; რადგან რეგიონში სულ სამი მუნიციპალიტეტია გაერთიანებული: მცხეთის, დუშეთისა და თიანეთის.

თორემ საქმის კეთება რომ არ გვეზარება, ფედერაციაშიც კარგად იციან. ამიტომ ჩვენი უპირველესი ამოცანა რეგიონში გუნდების რაოდენობის გაზრდაა.

**- გულახდილად რომ ვთქვათ, მცხეთა-მთიანეთი დიდად საფეხბურთო რეგიონი არც არის.**

- ეს რაოდენობიდან გამომდინარეა, თორემ მოსახლეობაში ყველაზე პოპულარული სახეობა მაინც ფეხბურთია.

**- საფეხბურთო ფესტივალები ტარდება?**

- ბავშვების დასაინტერესებლად ძალიან ეფექტური აღმოჩნდა "სახალისო ფეხბურთის" პროგრამა: ყოველწლიურად რეგიონის 200 ბავშვს ვამარაგებთ ფორმებითა და ბურთებით. ჩვენს რეგიონში ამ პროგრამის გაგრძელება ფეხბურთის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.

**- ალბათ, ფეხბურთის განვითარებისთვის კი არა, შენარჩუნებისთვის.**

- ფინანსებიდან გამომდინარე ასეა, მაგრამ ახლა უნდა ჩავყაროთ ის საძირკველი, რომელზეც ხვალინდელი თაობები გაიზრდებიან. ფეხბურთი დიდი ფინანსების გარეშე ვერ განვითარდება. ამიტომ ვცდილობთ, რაც გვაქვს, იმას გავუფრთხილდეთ, ხვალ და ზეგ უკეთ რომ ვიყოთ.

**- ზოგიერთი რეგიონული ფედერაცია არაფერს აკეთებსო. თქვენ რას ატარებთ?**

- ძირითადად, ბავშვთა ტურნირებს: სხვადასხვა ასაკის გუნდებს შორის ჩემპიონატებს, მცხეთის თასის გათამაშებას, სკოლების ჩემპიონატს, ვართ "სახალისო ფეხბურთის" პროგრამის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მონაწილეები, ასევ ერამდენიმე ვეტერანი ფეხბურთელის ხსოვნის ტურნირის ინიციატორები.

**- რეგიონს დიდების გუნდი არ ჰყავს?**

- 2004 წელს ფინანსური პრობლემების გამო "მცხეთა" დაიშალა და იმის მერე უმაღლეს და პირველ ლიგებში გუნდი აღარ გვყოლია. დიდი სურვილის მიუხედავად, ეს ასეთი რანგის კლუბის შენახვა შეუძლებელია, რადგან ასეთ გუნდს თანხა სჭირდება, ფულის მოძიება კი დღეს პრობლემაა და ძირითადად, ბავშვების გაზრდაზე ვმუშაობთ. რეგიონულ ლიგაში კი დუშეთისა და თიანეთის გუნდები გამოდიან.

**- მცხეთა შემოსავლიანი ქალაქია და პირველი ლიგის გუნდის შენახვა გაჭირდა?**

- გუნდის შენახვის სურვილი არსებობს, მაგრამ სახელმწიფო სტრუქტურებს კერძო კლუბების შენახვა აეკრძალათ და კანონს ვერ დაარღვევენ. კერძო კლუბის შენახვა კი ასე იოლი არ არის.

### კახეთი

### სტადიონი თუ გარემონტდება, სპონსორიც გამოჩნდება

**კახეთს უმაღლეს და პირველ ლიგაში არაერთი გუნდი ჰყავდა, მაგრამ ბოლო წლებში არათუ უმაღლეს ლიგაში, გუნდი პირველშიც არ შერჩა და უზარმაზარი რეგიონის პოტენციალი გამოუყენებელი რჩება. რა გახდა ამის მიზეზი და რა პრობლემებია რეგიონში, ამის თაობაზე კახეთის რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტს გოჩა როსტომაშვილს გავესაუბრეთ.**

**- აღმასკომზე ფედერაციის პრეზიდენტმა კახეთის გუნდები ახსენა, თბილისის ორგანიზებულ ტურნირებში მონაწილეობენო. კახეთში ბავშვთა გუნდების სიმცირეა?**

- სამწუხაროდ, უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდები არ გვყავს, მხოლოდ დაბალ ლიგაში გამოდიან. ბავშვთა ჯგუფებში კი ტურნირები ტარდება და დაახლოებით 600-მდე ბავშვი მონაწილეობს. აღმასკომზე ფესტივალი ახსენეს: ფესტივალს არ ვუწოდებთ, მაგრამ მსგავს ღონისძიებას კახეთშიც ვატარებთ. ყველა მუნიციპალიტეტის 1999-2000 წლებში დაბადებული 300-დე ბავშვი ჩვენს ორგანიზებულ რეგიონულ ტურნირში მონაწილეობს. მატჩები ყოველ კვირას ტარდება, ხან თელავში, ხან გურჯაანში და ასე შემდეგ.

**- გასაგებია, რომ უმაღლესი ლიგის გუნდის ჩამოყალიბება სერიოზულ თანხას საჭიროებს, მაგრამ კახეთი დიდი რეგიონია და ერთი გუნდი როგორ ვერ ჩამოყალიბდა?**

- ჩვენდა სამწუხაროდ, საამისო ფული არ არის. როდესაც არჩევანის წინაშე ვდგებით, გვირჩევნია 100 ათასი ლარი ბავშვებზე დაიხარჯოს, ვიდრე უმაღლესი ლიგის გუნდზე, რადგან თანხას ბავშვებში უფრო ეფექტურად გამოვიყენებთ.

უკვე მესამე წელია, კახეთს უმაღლეს ლიგაში გუნდი აღარ ჰყავს. არადა ძალიან ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი გვეზრდება. ბოლო მაგალითი გიორგი მურველაშვილია - უნიჭიერესი ბიჭია, თელავის "კახეთმა" გაზარდა, მაგრამ გუნდი რომ დაიშალა, გასაქანი არ ჰქონდა. კიდევ კარგი, რუსთავის "ოლიმპში" აიყვანეს, თორემ დაიკარგებოდა. მურველაშვილს კი გაუმართლა, მაგრამ ასე რამდენი ბავშვი დაიკარგა, ვინ იცის? მცდარი აზრია, თითქოს კახეთში ტალანტები არ იზრდებიანო – როგორ არ იზრდებიან. გადახედეთ, ბოლო წლებში რამდენი ნიჭიერი ფეხბურთელი წავიდა ჩვენი რეგიონიდან.

**- ერთი ვერ გამიგია, თუ გუნდის დაფინანსება სხვა რეგიონებში თუ შეიძლება, გუნდი სვანეთშიც კი ჩამოაყალიბეს, ეს კახეთში რატომ აკრძალეს?**

- თუ სახელმწიფოს მიერ დაფინანსება მიზანმიმართული და კანონით გათვალისწინებული არ იქნება, კლუბი ჯობია კერძო ბიზნესმა აიყვანოს.

**- სად არის ეს კერძო მეპატრონე, თორემ, რად უნდა მტკიცება, რომ სჯობია.**

- გამოსავალი სტადიონის რეაბილიტაცია არის. ხელისუფლების პროექტია, გარემონტებული სტადიონი კერძო მეპატრონეს გადასცეს და როგორც აიყვანეს გუნდი ქუთაისში, ასევე მოხდება კახეთშიც. სტადიონს რომ გაარემონტებენ, მერე კერძო სექტორი აუცილებლად დაინტერესდება. ზვიად სიჭინავამ თქვა, რომ წელს უნდა დამტკიცდეს თელავის სტადიონის რეაბილიტაციის პროექტი.

ლაპარაკია თელავის სტადიონისა და მიმდებარე სპორტულ კომპლექსში ქალთა ფეხბურთის სანაკრებო ბაზის აშენებაზე. სახელს არ აქვს მნიშვნელობა, გინდა ქალთა ფეხბურთის ბაზა ერქვას და გნებავთ ჭაბუკთა ბაზა, მთავარია საქმე გაკეთდეს. ყველა საჭირო პროექტის დაფინასება ვერ მოხერხდება, მთავარია, გაკეთდეს და ყველა სხვას მოემსახურება, ქალებსაც, ვაჟებსაც, ადგილობრივ გუნდსაც და ნაკრებებსაც.

**- ბავშვთა ფეხბურთში როგორი მდგომარეობაა?**

- კახეთში პრეზიდენტის რწმუნებულს გიორგი ღვინიაშვილს შევხვდი და მან ყველა მინიციპალიტეტს წერილობით სთხოვა, ბავშვთა ფეხბურთს დაფინანსება გაუზარდოს და გუნდები რეგიონულ ტურნირებში ჩართონ.

**- ამას წინათ რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ენრიკო ჩიტალაძემ გვითხრა, ბავშვები ხუთ ლარსაც ვერ იხდიდნენ და გადასახადი გავაუქმეთო. კახეთში რამდენია საფასური?**

- არაფერი, რადგან ბავშვებს ვერაფერს მოვთხოვთ. საფეხბურთო ჯგუფებს კომპლექსური სასპორტო სკოლები და სახელმწიფო აფინანსებენ და ეხმარებიან.

**- თბილისის ტურირებში კახური სკოლები რატომ მონაწილეობენ?**

- მხოლოდ რამდენიმე თამაშობს თბილისის ჩემპიონატში, უმრავლესობა კი რეგიონულ ტურნირებშია ჩართული. თბილისურ ტურნირებსაც იმიტომ ეტანებიან, რომ შედარებით ძლიერ გუნდებთან თამაშობენ და კლასის გაზრდას ასე უფრო ახერხებენ.

**- ამ კონტექსტში საინტერესოა, ბოლო აღმასკომს რა ცვლილებები მოჰყვება – ცენტრალიზებული ტურნირები ზონების გადანაწილებასაც გამოიწვევს?**

- შესაძლოა, სადაც საკმარისი რაოდენობის გუნდი არ არის, ახლომდებარე რეგიონთან გაერთიანდება და ეს საერთო დონეს გაზრდის.

**- აღმასკომის შემდეგ ლიცენზირების ახალი მოთხოვნებსაც გაეცანით, მაგრამ ეს მედიისთვის უცნობი დარჩა.**

- მკაცრი მოთხოვნებია: სკოლას უნდა ჰქონდეს სტანდარტული სტადიონი, გასახდელები, საშხაპეები, სამედიცინო პერსონალი, ლიცენზირებული მწვრთნელები; იყო სხვა მოთხოვნებიც. მოკლედ, ბავშვები ელემენტარული პირობებით მაინც უზრუნველყონ. სხვათა შორის, ახლა კახეთში "ბ" კატეგორიის მწვრთნელთა ლიცენზირების პროცესი დაიწყო და საკმაოდ წარმატებულადაც.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპიზოდის ექო

# კლოუნადა რამდენიმე განმარტებით



**უეინ რუნის** „უიგანის" ნახევარმცველ **ჯეიმს მაკარტისთვის** არაფერი დაუშავებიაო და, როგორც ნახეთ, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომისიამ „მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდს გუშინ „ჩელსისთან" თამაშის ნება დართო. ამ ამბავმა საშინლად გააბრაზა „უიგანის" მეპატრონე **დეივ უილენი**. მან საფეხბურთო თემიდას საქციელს კლოუნადა უწოდა. უილენი ვერ შეეგუა, რომ მიუხედავად ყოვლისმთქმელი, მკაფიო ტელეჩანაწერებისა, ასოციაციამ „იუნაიტედის" ვარსკვლავს მეტოქისთვის სახეში იდაყვის მირტყმა აპატია.

*„ეს ძალიან ცუდ რამეზე მიუთითებს," - მრისხანებდა 74 წლის ბიზნესმენი, რომელიც ახალგაზრდობაში „ბლექბერნში", „ქრუსა" და „უიგანში" თამაშობდა — როდესაც ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი მოწინააღმდეგეს სახეში იდაყვს ურტყამს ფეხბურთის ასოციაცია კი მას ამისთვის არ სჯის, ქვეყანაში რაღაც ვერ არის კარგად. რუნის საქციელი რომელიმე სხვა გუნდის ფეხბურთელს რომ ჩაედინა, ნიძლავად თვით სიცოცხლეს ჩამოვალ, დაუყოვნებლივ აუფრიალებდნენ წითელ ბარათს. როგორც ჩანს, ასოციაციის თანამშრომლები რუნისა და „იუნაიტედის" სიდიადეს ვერ უხერხებენ ვერაფერს. უბრალოდ, ეშინიათ მათი. ინგლისში „მანჩესტერ იუნაიტედისთვის" ნებადართულია ისეთი რაღაცები, რაც დანარჩენთათვის აკრძალულია. ეს დაუშვებელია. არ შეიძლება ერთი გუნდისთვის სხვა კანონები მოქმედებდეს, მეორესთვის კი სხვა. არ მაინტერესებს რით ახსნის თავის გადაწყვეტილებას ასოციაცია. ფაქტია, რომ ჩვენში სამართალს ვერ იპოვი და ეს ყველამ უნდა იცოდეს. ვიმეორებ, ასოციაციას „მანჩესტერ იუნაიტედის" დასჯის ეშინია და ალბათ, ძალიან ბედნიერია თავის წესებში რუნის გასამართლებლად რაღაც ჩასაბღაუჭებელი რომ აღმოაჩინა".*

ასოციაცია კი რუნის გასამართლებლად მსაჯ **მარკ კლეტენბერგის** პატაკს დაეყრდნო. პატაკში კლეტენბერგს უწერია, რომ სადავო ეპიზოდში რუნის საქციელი მხოლოდ ჯარიმის დანიშვნას იმსახურებდა. მან მანჩესტერელი ყვითელი ბარათითაც კი არ დასაჯა.

*„მარკ კლეტენბერგი პრემიერლიგის ერთ-ერთ საუკეთესო მსაჯად მიმაჩნია, თუმცა, როგორც ჩანს, მას რუნის ეპიზოდი არ დაუნახავს. კეთილი, მაგრამ დანარჩენი მსაჯები რას აკეთებდნენ? ისინიც სხვაგან იყურებოდნენ? ერთი წამით წარმოიდგინეთ, პირიქით რომ მომხდარიყო - ჯეიმსს გაერტყა რუნისთვის. ხომ ფაქტია, რომ ასისტენტები მყისვე შეატყობინებდნენ მთავარს ასე და ასე მოხდაო და ჩვენს ფეხბურთელს მოედანზე წამით აღარ დატოვებდნენ".*

„უიგანის" პრეზიდენტმა ჯეიმს მაკარტის პატიოსნებაზეც გაამახვილა ყურადღება: *„მაკარტი თეატრალურად რომ გაკოტრიალებულიყო, რასაც დღევანდელ დღეს ძალიან ბევრი აკეთებს, იქნებ მართლაც მიეპყრო კლეტენბერგის ყურადღება".*

და მაინც, იმას თუ რატომ არ დასაჯეს უეინ რუნი თუკი ტელეგამეორებებზე აშკარად გამოჩნდა, რომ მან წესი დაარღვია, ინგლისში ბევრი კითხულობს. ამიტომაც გამოქვეყნდა პრესაში ასოციაციის გადაწყვეტილების განმარტება კითხვა პასუხის სახით, რაც ვფიქრობთ, „ლელოს" მკითხველისთვისაც საინტერესო იქნება.

## რატომ არ დასაჯეს რუნი?

ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია ფიფას წესებს დაუპირისპირდებოდა. ფიფა მკაფიოდ ამბობს, რომ თუკი მსაჯმა სადავო ეპიზოდი დაინახა და ადგილზევე შეაფასა, მისი ხელახალი შეფასება ნებადართული აღარ არის. ინგლისურმა ტაბლოიდებმა კულუარებში გაიგეს, რომ რუნის დანაშაული ჩანაწერში, ძალიან კარგადაც გამოჩნდა, მაგრამ ასოციაცია „ხელახალი განსჯის" პრეცედენტს მოერიდა.

## რად უნდა ფიფას ასეთი წესი?

მას ეპიზოდების წარამარა „გადაფასებისა" ეშინია. გარდა ამისა, ფიფას სურს მსაჯებს მაქსიმალური ძალაუფლება მიანიჭოს. ციურიხში მიიჩნევენ, რომ არბიტრები ხეირიანად ვერ იმუშავებენ თუ ეცოდინებათ, რომ მათი ყოველი გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს და ვიდეოგანხილვის შემდეგ შეიცვალოს.

## რუნის მსგავსად სხვებიც გამომძვრალან?

2008 წელს „შეფილდ იუნაიტედის" კაპიტანმა **კრის მორგანმა** „ბარნსლის" თავდამსხმელ **იან ჰიუმს** ყბა გაუტეხა და ყვითელი ბარათით გადარჩა, ახლახან, 2010-ის ოქტომბერში კი „მანჩესტერ სიტის" ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა **ნაიჯელ დე იონგმა** ნიუკასლელ **ჰატემ ბენ არფას** ფეხი მოსტეხა.

## გამონაკლისი ყოფილა?

ერთადერთი: 2006 წელს, „მანჩესტერ სიტის" ფეხბურთელმა, **ბენ ტეტჩერმა** „პორტსმუთის" **პედრო მენდესი** იდაყვის დარტყმით გათიშა. მენდესს ჟანგბადის ბალიში დასჭირდა. ფეხბურთის ასოციაციამ ეპიზოდი ვიდეოში ნახა და უელსელს რვამატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. მაშინ ასოციაციამ ფიფასთან თავი იმით იმართლა, რომ შემთხვევა მეტად სერიოზული იყო. თან, ტეტჩერი მოედნიდან რომ გაეძევებინათ, სადისციპლინო კომიტეტი ეპიზოდს აღარ განიხილავდა.

ტოტენჰემი

# მზად მიფიცხებული დეზები



„ტოტენჰემ ჰოთსპური" მზადაა, „მანჩესტერ სიტის" განაპირა მცველ **მიკა რიჩარდსში** 15 მილიონი ფუნტი შესთავაზოს. „დეზების" თავკაცმა **ჰარი რედნაპმა** რიჩარდსის ისტლენდიდან წამოყვანა შარშან ზაფხულშიც სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა, თუმცა ხელი არ ჩაუქნევია — სეზონის დასრულების შემდეგ ფეხბურთელი „სიტის" დატოვებას აპირებს და რედნაპს ესეც აძლევს დამატებით იმედს.

რასაკვირველია, „სფურზი" რიჩარდსისთვის ერთადერთი ვარიანტი არ არის. მისი აგენტები სხვადასხვა მიმართულებით მუშაობენ და როგორც ამბობენ, პრემიერლიგის რამდენიმე გუნდთან აწარმოებენ მოლაპარაკებას.

საინტერესოა, რომ რიჩარდსი მიმდინარე სეზონში „სიტის" შემადგენლობაში რეგულარულად თამაშობს — ყველა შეჯიბრებაში ჩატარებული 41 შეხვედრიდან ოცში მონაწილეობა მიიღო, მაგრამ მომავალ სეზონშიც ასე გაგრძელდება თუ არა, ცნობილი არ არის. საქმე ის გახლავთ, რომ ისტლენდელთა იტალიელ მწვრთნელ **რობერტო მანჩინის** „ბარსელონასგან" **დანი ალვეშის**, ხოლო „აიაქსისგან" **გრეგორი ვან დერ ვილის** ყიდვა უნდა. ერთიცა და მეორეც სწორედ რიჩარდსის კონკურენტები იქნებიან და 22 წლის ინგლისელს, სავარაუდოდ შეავიწროებენ.

რაც შეეხება „ტოტენჰემის" ინტერესს: რედნაპს მის გუნდში **ალან ჰატონის** და **ვედრან ჩორლუკას** მომავლისა ეეჭვება და ზაფხულზე მარჯვენა მცველის საძებნელად ბაზარზე აუცილებლად გავა. მას დასჭირდება მცველი, რომელიც დიდი ხნით ჩაიცვამს „დეზების" ფორმას.

რედნაპი: *„ალანს საზარდული აწუხებდა, მაგრამ ახლა უკვე გამოჯანმრთელდა. სწორედ ამას დაემთხვა ჩორლუკას ტრავმა. მას, მოგეხსენებათ, მილანში ეუხეშნენ, რის გამოც ორი თვის გაცდენა მოუწევს".*

რასაკვირველია, არც „ტოტენჰემისთვის" არის მიკა რიჩარდსი ერთადერთი ვარიანტი. ლონდონელები „ნაპოლისთან" 29 წლის **კრისტიან მაჯოს** შესახებ აპირებენ მოლაპარაკებას. მაჯოს 2008 წლის შემდეგ შვიდი თამაში აქვს „სკუადრა აძურაში" ჩატარებული. არის კიდევ ერთი, უფრო „მშობლიური" ვარიანტიც: ზაფხულში „ასტონ ვილასთვის" მიქირავებული **კაილ უოქერი** დაბრუნდება, მაგრამ რედნაპს დაცვის ხაზის შეკვრა მასზე გამოცდილი და მაღალი დონის ფეხბურთელებისგან სურს.

„ტოტენჰემის" ცენტრალური მცველი **იონ კაბული** კი „პარი სენ ჟერმენს" მონდომებია.

„დეზების" ბანაკიდან სხვა სიახლეები ასეთია: ამ დღეებში ვარჯიშს განაახლებს **ჯერმაინ დეფო**, რომლის კოჭსაც თურმე რასაც შიშობდნენ ისეთი არაფერი სჭირს. არ გაინტერესებთ, სად დაშავდა დეფო? „სფურზმა", აქაოდა ამ ტურში გვასვენებენო, თავი დაადო და ხუთი დღით დუბაიში გაემგზავრა — კარგ ამინდში ლაზათიანად ვარჯიშობს. კვირას, სწორედ იქ იტკინა თავდამსხმელმა კოჭი. „ტოტენჰემი" ინგლისში ხვალ დაბრუნდება.

*„ჯერმაინ დეფოს კოჭზე რენტგენი გადავუღეთ და საბედნიეროდ აღმოჩნდა, რომ დაზიანებული არაფერია,"* — ეწერა კლუბის ოფიციალურ ვებ-საიტზე.

„ტოტენჰემ ჰოთსპურს" შემდეგი თამაში პრემიერლიგაში კვირას, ვულვერჰემპტონში ელის.

ტრანსფერი

# მარტინსი რუსეთში დაბრუნდება



„ბირმინგემ სიტის" გმირი, ნიგერიელი **ობაფემი მარტინსი**, რომელმაც კვირას, „ქარლინგის" თასის ფინალში, ბოლო წუთზე, „არსენალს" გოლი გაუტანა, ტყუილად იმედოვნებს, რომ ინგლისში დატოვებენ. მოგეხსენებათ, მარტინსი პრემიერლიგის კლუბმა ყაზანის „რუბინისგან" იქირავა და, როგორც ჩანს, იმედიც ჩაუსახა, რომ 5 მილიონ ფუნტად რუსებისგან გამოისყიდიდა, მაგრამ „რუბინის" მწვრთნელმა **ყურბან ბერდიევმა** ცივი წყალი გადაასხა — ნიგერიელს შეუძლია „სენტ ენდრიუზე" ოცნებას თავი დაანებოსო:

*„მარტინსმა ყაზანი პირადი მოტივების გამო დატოვა. მას ვაჟი შეეძინა და უნდოდა ერთი ხანი ახალშობილ შვილთან და ოჯახის სხვა წევრებთან გაეტარებინა. ჩვენ ფეხბურთელის მდგომარეობაში შევედით და ნება დავრთეთ ზაფხულამდე ინგლისში ნასულიყო, მაგრამ ახლა, რატომღაც, მის „ბირმინგემში" დარჩენაზე დაიწყეს ლაპარაკი. მინდა გითხრათ, რომ ჩვენ ინგლისიდან ობაფემი მარტინსის თაობაზე არანაირი წინადადება არ მიგვილია და, შესაბამისად, მას ზაფხულის დადგომასთან ერთად „რუბინის" ბაზაზე ველოდებით".*

მეორე მხრივ, არ არის გამორიცხული, ბერდიევის ეს სიტყვები უფრო ვაჭრობა იყოს ვიდრე სიმართლე, რადგან მარტინსი რუსეთში მაინცდამაინც კარგად ვერ თამაშობს. შეგახსენებთ, რომ ნიგერიელი ყაზანში „ვოლფსბურგიდან" 6,75 მილიონ ფუნტად გადავიდა. 26 წლის ფორვარდმა „რუბინის" შემადგენლობაში 17-ჯერ ითამაშა, მაგრამ 2 გოლზე მეტი ვერ გაიტანა.

რუსეთში სატრანსფერო ბაზარი 10 მარტს იხურება, ხოლო „რუბინს" „ტოტენჰემისგან" **რომან პავლიუჩენკოს** ყიდვა უნდა. თუ ეს ტრანსფერი განხორციელდება, მარტინსის ბირმინგემში დარჩენს საქმე შეიძლება მართლაც საგრძნობლად გაიოლდეს.

ამბები

## პულისი კომპენსაციას ითხოვს

„სტოკ სიტის" მწვრთნელი **ტონი პულისი** „ვესტ ბრომვიჩისგან" კომპენსაციას ითხოვს. მიზეზი მათი გუნდის მცველის, **იონას ოლსონის** საქციელია. კერძოდ, ორშაბათ საღამოს, მატჩის შემდეგ, რომელიც 1:1 დასრულდა, გასახდელებთან, გვირაბში ოლსონს მოულოდნელად სიბრაზე მოერია და „სტოკის" თავდამსხმელ **რიკარდო ფულერს** თავს დაესხა, წელან მოედანზე, ხელი რატომ არ ჩამომართვიო. მრისხანებისას ოლსონმა კედელზე ჩამოკიდებული სურათის შუშა გატეხა. უნდა ითქვას, რომ ქალაქ სტოკის „ბრიტანია სთედიუმზე" მთელი შეხვედრა ნერვიულად მიმდინარეობდა. პულისმა აღშფოთებით განაცხადა:

*„ამ კაცის საქციელს არანაირი ახსნა და გამართლება არ აქვს. მან თავი ვერ შეიკავა და მხოლოდ იმიტომ, რომ ხელი არ ჩამოართვეს, სხვისი ნივთი გატეხა. ის, რაც მან დაამსხვრია ჩვენი კლუბის მიერ იყო შეძენილი და მისთვის ხელის ხლების არანაირი უფლება არ ჰქონდა".*

„ვესტ ბრომვიჩის" მწვრთნელმა **როი ჰოჯსონმა**, რომლის გუნდმაც ამ ფრის წყალობით გასავარდნთა სამეულს ზემოთ გადაინაცვლა, სტოკელებს თავისი ფეხბურთელის საქციელის გამო ბოდიში მოუხადა:

*„ოლსონის მხრიდან ეს ზედმეტად ემოციური საქციელი იყო, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, ისეთი ვაჟკაცური ბუნების გუნდი, როგორიც „სტოკ სიტია" გვაპატიებს. რაც შეეხება ზარალს, მზად ვარ ის ავანაზღაურო".*

## მეთოფეები ფულს აკეთებენ

„არსენალმა" გადაწყვიტა „ემირეიტს სთედიუმის" გარშემო მიწა გაყიდოს და ამ ხერხით შეივსოს საბანკო ანგარიში. როგორც ჩანს, კლუბს საქმე მაინცდამაინც კარგად არ მისდის — ბოლო ნახევარ წელიწადში 2,5 მილიონი ფუნტი უზარალია. შეადარეთ ეს 2009 წლის ამავე პერიოდის მონაცემებს, როდესაც ძველი სტადიონის, „ჰაიბერის" რედეველოპმენტის გზით კლუბს 29,2 მილიონი ფუნტის ტოლი მოგება ჰქონდა.

ჩრდილოლონდონელების აღმასრულებელი შეფი **ივან გაზიდისი** ამბობს: *„ყველაფრის მიუხედავად ფინანსური თვალსაზრისით ჩვენი პოზიცია უძლიერესია. კომერციულად ძალიან წარმატებული კლუბი ვართ და უახლოეს რამდენიმე წელიწადში კიდევ უფრო დიდ აღორძინებას ვგეგმავთ. რაც მთავარია, მთელი ფული, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ისევ გუნდს უბრუნდება. ჩვენი მიზანი მხოლოდ ფულის შოვნა კი არა, არამედ, კარგი ფეხბურთის თამაში, ჯილდოების მოპოვება და ფანების გულის გახარებაა".*

გვერდი მოამზადა
ილია **ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

სერია A XXVII ტური

# არშემდგარი ბრძოლა

## მილანმა ნაპოლი დაჩაგრა

**დიეგო მარადონას** იტალიური კარიერის შემდეგ „მილანისა" და „ნაპოლის" დაპირისპირებას ამხელა ინტერესი არ გამოუწვევია. პირთამდე გავსებულ „სან სიროზე" სატურნირო ცხრილში პირველ და მეორე ადგილზე მყოფი გუნდები წარდგნენ ერთმანეთის წინაშე და სწორედ აქედან გახლდათ განპირობებული ამხელა ინტერესი. თვით **სილვიო ბერლუსკონიმაც** ვერ მოთოკა ემოცია და თამაშის დაწყებამდე საჯაროდ განაცხადა, რომ მისმა გუნდმა სამხრეთელი მეტოქე აუცილებლად უნდა დაამარცხოს. დიახ, „როსონერის" პრეზიდენტმა სიტყვა სამხრეთი ახსენა, რასაც აპენინებზე დიდი გამოხმაურება მოჰყვა. იტალიურ ფეხბურთში სამხრეთელებს და ჩრდილოელებს მუდმივი დაპირისპირება აქვთ, რასაც პოლიტიკური



ელფერიც კი დაჰკრავს და ძნელად წარმოსადგენი იყო თუ ასეთ რამეს თვით ქვეყნის პრემიერ-მინისტრი იტყოდა. გამოცდილმა, მაგრამ ექსტრავაგანტურმა პოლიტიკოსმა ემოციები ვერ მოთოკა და კიდევ უფრო დაძაბა ისედაც ნერვიული ატმოსფერო.

**მასიმილიანო ალეგრიმ** პრაქტიკულად ის შემადგენლობა შეარჩია, რომელსაც „გაძეტა დელო სპორტი" ვარაუდობდა, თუმცა ერთი ფეხბურთელის გამოკლებით - მარცხენა მცველად არა **ურბი ემანუელსონი**, არამედ **მარეკ იანკულოვსკი** გაამწესა. შესაძლოა გაგიკვირდეთ, რადგან ჰოლანდიელი ნომინალური მცველი არ გახლავთ, მაგრამ ბოლო პერიოდში ვარჯიშებზე სწორედ ამ პოზიციაზე იწრთობოდა. სწორედ აქედან მომდინარეობდა ვარაუდი და ნაწილობრივ გამართლდა კიდეც, რადგან ემანუელსონი მეორე ნახევარში ჩაერთო თამაშში და სწორედ მარცხენა მცველად იასპარეზა. თადარიგში დარჩა **ანტონიო კასანო**, ძირითად შემადგენლობაში კი **ზლატან იბრაჰიმოვიჩთან** ერთად, **რობინიო** და **ალეშანდრე პატო** ვიხილეთ. **ვალტერ მაძარიმ** დისკვალიფიცირებული **ესეკილ ლავეცის** ნაცვლად ძირითად შემადგენლობაში **ჯუზეპე მასკარა** გაამწესა, მასთან ერთად შეტევის წინა ხაზზე **მარეკ ჰამშიკი** და **ედინსონ კავანი** მოქმედებდნენ - უფრო სწორად, უნდა ემოქმედათ, რადგან აქედანვე ვთქვათ, რომ „მილანის" კართან საინტერესო არაფერი მომხდარა. ამის ნათელი დადასტურება სტატისტიკური მონაცემები გახლავთ, რომლის მიხედვითაც სტუმრებს არც ერთხელ არ დაუტყამთ ზუსტად მეტოქის კარის მიმართულებით. სამაგიეროდ, მილანელებმა გაილაღეს, ბლომად ურტყეს და სამი უპასუხო გოლიც გაუტანეს მეტოქეს. მოკლედ, ბრძოლა არ შედგა, ერთმა გუნდმა აშკარად დაჯაბნა მეორე და სრულიად დამსახურებულად მოიპოვა ექვსის ტოლფასი სამი ქულა.

პირველი გოლი მასპინძლებმა საეჭვო ვითარებაში დანიშნული თერთმეტმეტრიანით გაიტანეს - კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი პატოსთან მებრძოლ **სალვატორე არონიკას** მოხვდა ხელზე და არბიტრმა უყოყმანოდ დანიშნა პენალტი. ბუნებრივია, რომ ამ გადაწყვეტილებას სტუმართა დიდი პროტესტი მოჰყვა, თუმცა მსაჯი შეუვალი გახლდათ და იბრაჰიმოვიჩმაც შანსი ხელიდან არ გაუშვა, 1:0. ეს ყველაფერი 49-ე წუთზე მოხდა და ისე გამოვიდა, რომ მთელ პირველ ტაიმს გადავახტით. ანტრაქტამდე ფრთხილი თამაში იყო, „მილანს" ერთი თვალი უკან ეჭირა და ისე უტევდა, თუმცა საგოლე მომენტები მაინც შექმნა. გატანასთან ახლოს იყო **მარკ ვან ბომელი**, რომელმაც ხელსაყრელ პოზიციაზე მიიღო ბურთი, ძლიერადაც დაარტყა, მაგრამ სტუმართა მცველმა თავგანწირულ ვარდნაში გადაარჩინა საკუთარი კარი. მომენტი თვით **ჯენარო გატუზოსაც** შეექმნა, ვისი დარტყმულიც მცირე მანძილით ასცდა **მორგან დე სანქტისის** კარის ჩარჩოს. დავუბრუნდეთ მეორე ტაიმს, ზლატანის გოლს და იმას, რომ სულ მალე **რობინიოს** ნაცვლად თამაშში **კევინ პრინც ბოატენგი** ჩაერთო. სწორედ განელმა გაიტანა მეორე გოლი და გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი. 77-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც ალეშანდრე პატომ მარცხენა ფრთაზე მიიღო ბურთი, ერთ მცველს კარგად გასცდა და განელს შესანიშნავად უპასა, ამ უკანასკნელმა ერთი შეხებით გადაგზავნა ბურთი მეტოქის კარში და 2:0. ორიოდე წუთში თავად პატომ გაიტანა გოლი და ანგარიში გამანადგურებელი გახადა - ბრაზილიელმა მოედნის ცენტრში მიიღო ბურთი, ორი მეტოქის მოტყუება შეძლო და მაშინ, როდესაც ყველა იბრაჰიმოვიჩზე ელოდა გადაცემის გაკეთებას, უზადო დარტყმით დე სანქტისი უშანსოდ დატოვა, 3:0. დარჩენილი ათი წუთის განმავლობაში საინტერესო აღარაფერი მომხდარა, „მილანმა" ტიფოზების ოვაციების, სიმღერების და სკანდირების ფონზე ჩაამთავრა შეხვედრა.

წაგება ღირსეულად მიიღო ნეაპოლელთა თავკაცმა და მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე შემდეგი განაცხადა: *„იყო თუ არა თერთმეტმეტრიანი? - ასეთ ეპიზოდებში ხან დებენ მსაჯები პენალტს და ხან არა, ამჯერად, დაიდო და გაპროტესტებას ნამდვილად არ ვაპირებ. „მილანი" ფენომენალური გუნდია, რომელმაც შეგვიზღუდა სივრცეები და დამსახურებულად გაიმარჯვა. ჩვენ დავმარცხდით, მაგრამ ბრძოლას არ ვწყვეტთ - მთავარი მატჩები წინ არის, კონკურენტების გამოსვლას კი ყურადღებით მივადევნებთ თვალს, რადგან მდევრის როლში ვიმყოფებით".*

ბოლო წინადადებით მაძარიმ ფაქტობრივად აღიარა, რომ მისი მიზანი სკუდეტოს მოპოვებაა და არა მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის ზონაში მოხვედრა. ბოლოს, სიტყვა მასიმილიანო ალ;ეგრის გადავცეთ, რომელიც მოკლე კომენტარით შემოიფარგლა: *„ძალიან მომეწონა ის, რასაც მთელი 90 წუთის განმავლობაში ვუყურებდი. ჩემმა შეგირდებმა ხასიათი გამოავლინეს და მეტოქე ყველა კომპონენტში დაჯაბნეს. სკუდეტოსკენ მიმავალ გზაზე დიდი ნაბიჯი გადავდგით წინ, თუმცა მოდუნება არაფრისდიდებით არ შეიძლება".*

**მილანი–ნაპოლი 3:0**

**მილანი (4-3-1-2):** აბიატი – აბატე (80. ოდო), ნესტა, ტიაგო სილვა, იანკულოვსკი (72. ემანუელსონი) – ვან ბომელი, გატუზო, ფლამინი – რობინიო (63. ბოატენგი) – პატო, იბრაჰიმოვიჩი.

**ნაპოლი (3-4-2-1):** დე სანქტისი – კამპანიარო, კანავარო, არონიკა – მაჯო (78. სოსა), პაციენცა, გარგანო (84. იებდა), დოსენა – მასკარა (65. ცუნიგა), ჰამშიკი - კავანი.

**გოლები:** 1:0 იბრაჰიმოვიჩი (49-პენ.), 2:0 ბოატენგი (77), 3:0 პატო (79).

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 11-15; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 11(6)-5(0); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 80 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 27 | 17 | 7 | 3 | 49-20 | 58 |
| 2. ინტერი | 27 | 16 | 5 | 6 | 49-29 | 53 |
| 3. ნაპოლი | 27 | 16 | 4 | 7 | 41-25 | 52 |
| 4. ლაციო | 27 | 14 | 6 | 7 | 33-23 | 48 |
| 5. უდინეზე | 27 | 14 | 5 | 8 | 49-30 | 47 |
| 6. რომა | 27 | 12 | 7 | 8 | 41-38 | 43 |
| 7. იუვენტუსი | 27 | 11 | 8 | 8 | 41-34 | 41 |
| 8. პალერმო | 27 | 12 | 4 | 11 | 44-43 | 40 |
| 9. კალიარი | 27 | 11 | 5 | 11 | 33-28 | 38 |
| 10. ჯენოა | 27 | 9 | 8 | 10 | 25-27 | 35 |
| 11. ბოლონია | 27 | 10 | 8 | 9 | 29-34 | 35 |
| 12. ფიორენტინა | 27 | 8 | 10 | 9 | 29-29 | 34 |
| 13. კიევო | 27 | 7 | 10 | 10 | 28-30 | 31 |
| 14. სამპდორია | 27 | 7 | 10 | 10 | 23-29 | 31 |
| 15. კატანია | 27 | 7 | 8 | 12 | 24-35 | 29 |
| 16. პარმა | 27 | 6 | 10 | 11 | 27-38 | 28 |
| 17. ლეჩე | 27 | 7 | 7 | 13 | 30-48 | 28 |
| 18. ჩეზენა | 27 | 6 | 7 | 14 | 20-36 | 25 |
| 19. ბრეშა | 27 | 6 | 6 | 15 | 22-35 | 24 |
| 20. ბარი | 27 | 4 | 7 | 16 | 15-41 | 16 |

*ბოლონიას დაკლებული აქვს სამი ქულა*

ბომბარდირები: 21 – დი ნატალე (უდინეზე); 20 – კავანი (ნაპოლი); 16 – დი ვაიო (ბოლონია), ეტოო (ინტერი); 14 - მატრი (იუვენტუსი), იბრაჰიმოვიჩი (მილანი).

**ლაშა ნიკლაური**

სერია A. XXVII ტურის მიმოხილვა




# სიმბოლურს მიღმა დარჩენილი გმირი

## და ტურის მატჩად წოდებული შოკი

**ტურის სიმბოლური**

**ანდუხარი** (კატანია) - **ისლა** (უდინეზე), **ასტორი** (კალიარი), **რანოკია** (ინტერი), **რუბინი** (ბოლონია) - **პოლი** (სამპდორია), **ვანბომელი** (მილანი), **სნეიდერი** (ინტერი) - **პატო** (მილანი), **სანჩესი** (უდინეზე), **დი ნატალე** (უდინეზე).

ტურის რჩეულ ფეხბურთელებს შორის მეშვიდედ მოხვდა **ანტონიო დი ნატალე** და ბომბარდირთა დავის არ იყოს, ამ მხრივაც საუკეთესოა. ტოტოსთან ერთად თავდასხმაში მის თანაგუნდელს, **ალექსის სანჩესს** ვხედავთ, რომელმაც მეხუთეჯერ დაიმსახურა ეს პატივი. თუ ჯერ კიდევ არ იცით, რა „ჩაიდინეს" ფრიულელმა ფორვარდებმა გასულ უქმეებზე, გეტყვით, რომ იტალიელმა ჰეტ-ტრიკი შეუსრულა „პალერმოს", ჩილელმა კი პოკერი - დიახ, არ გეჩვენებათ, 7:0-ზეა ლაპარაკი. უდინელებთან ერთად სიმბოლურში **ალეშანდრე პატო** მოხვდა, რომელმაც ნამდვილი შოუ დადგა „ნაპოლისთან" პაექრობაში. საინტერესოდ გამოიყურება ნახევარდაცვა, სადაც მილანური გრანდების ჰოლანდიელ ნახევარმცველებთან ერთად, „სამპდორიას" მებრძოლი შუახაზელი, **ანდრეა პოლი** მოხვდა. როგორც ჩანს, მას ყველაზე ნაკლები ბრალი მიუძღვის „სამპდორიას" „ინტერთან" დამარცხებაში.

### ტურის გმირი

უკვე მეორეჯერ ხდება ისე, რომ ტურის გმირი სიმბოლურ ნაკრებში ვერ ხვდება. შესაძლოა, ბევრს ეს პარადოქსულად ეჩვენება, მაგრამ თუ კარგად გავიაზრებთ, მივხვდებით, რომ ეს სავსებით ნორმალურია. **მარკო დი ვაიო** სულაც არ იყო ისეთი ფეერიული, როგორიც დი ნატალე, სანჩესი და პატო, მაგრამ მეორე მხრივ, „იუვენტუსის" დამარცხებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა და სწორედ ამიტომ დაიმსახურა ტურის გმირის წოდება. შეგახსენებთ, რომ „ბოლონიამ" „იუვენტუსს" გასვლით შეხვედრაში 2:0 სძლია, ორივე გატანილი გოლი სწორედ დი ვაიოს ანგარიშზეა.

### ტურის მატჩი

ეს უფრო ტურის შოკი იყო, ვიდრე ტურის მატჩი, მაგრამ ტრადიციას არ დავარღვევთ და ნომინაციის სახელს უცვლელს დავტოვებთ. „რენცო ბარბერაზე" „პალერმომ" „უდინეზე" მიიღო და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შვიდბურთიანი სხვაობით დამარცხდა. სერია A-ში ასეთი ანგარიშები დიდი იშვიათობაა და მით უმეტეს, როდესაც ერთმანეთს დაახლოებით თანაბარი კლასის გუნდები ხვდებიან. მომენტების აღწერით თავს არ შეგაწყენთ, მხოლოდ იმას დავძენთ, რომ მატჩის შემდეგ სიცილიური გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტი **დელიო როსიმ** დატოვა - უფრო სწორად, დაატოვებინეს და მის ნაცვლად ექსტრავაგანტული **სერსე კოსმი** დანიშნეს.

### ტურის ფრაზა

**ჯირჯო კიელინი (იუვენტუსი):** *„ლეჩესთან" მარცხის შემდეგ ყველანი ერთად დავსხედით და საკუთარ თავს შევეკითხეთ: რას ვაკეთებთ არასწორად? - ბევრი ვიმსჯელეთ, გავაანალიზეთ არსებული ვითარება და ისევ წავაგეთ, ამჯერად „ბოლონიასთან".*

### ციფრები და ფაქტები

ალექსის სანჩესი მეთორმეტე ფეხბურთელია, რომელმაც ბოლო 30 წელიწადში სერია A-ში პოკერის შესრულება მოახერხა.

27 ტურის შემდეგ „იუვენტუსს" 41 ქულა აქვს, გასულ სეზონში კი ამავე დროს 44 ქულა ჰქონდა მოგროვებული.

„ბოლონიას" „იუვენტუსთან" გასვლითი პაექრობა 1980 წლის შემდეგ არ ჰქონდა მოგებული.

მარკო დი ვაიოს ანგარიშზე უკვე 128 გოლია სერია A-ს პაექრობებში, ამ მაჩვენებლით მან **ჯანი რივერას** გადაასწრო და **რობერტო ბეტეგას** გაუთანაბრდა.

**ფრანჩესკო ტოტიმ** მე-600 შეხვედრა ჩაატარა „რომას" მაისურით.

**ანდრეა კარაჩოლომ** 50-ე გოლი გაიტანა სერია A-ში.

**ლაშა ნიკლაური**

ამბები

# უეფას საიტმა ვერ გაუძლო

უეფას სერვერმა ვერ გაუძლო მასობრივ შეტევას და გაითიშა. ლაპარაკი არ არის მავანი ჰაკერების მიერ წამოწყებულ კიბერომზე. საიტს გულშემატკივართა ზღვა მიაწყდა, რომელთაც ევრო 2012-ის ბილეთების შეძენა სურდათ. თუკი 1-ლი მარტის ღამეს 03:00-ის შემდეგ ამ ვებგვერდის ნახვა მოისურვეთ, ამას ვერ მოახერხებდით, რადგან ევროპის დროით შუაღამეზე სერვერს პრობლემები დაეწყო. აღნიშნულის შესახებ კომენტარი გუშინვე გააკეთა ევროპის ჩემპიონატის პრესსპიკერმა **იულიუშ გლუსკიმ**. *"ვვარაუდობდით, რომ ეს პრობლემა შეიძლებოდა შექმნილიყო. დღეს სისტემას რამე სერიოზული პრობლემა უკვე აღარ აქვს. ეს ნამდვილად არ არის ჩვენი ბრალი, ხარვეზები შვეიცარიულ სერვერებს ჰქონდათ. თუმცა ყველაფერს აქვს თავისი ლოგიკური ახსნა, გულშემატკივართა ინტერესი ძალიან დიდი იყო,"* – განაცხადა გლუსკიმ პოლონური ტე-ვე-ენ 24-ის ეთერში.

ბილეთების საყიდლად ჯერ კიდევ თებერვალში ასიათასობით ადამიანი დარეგისტრირდა. თუმცა არის შანსი, ყველა მათგანი სტადიონებზე მაინც ვერ მოხვდეს, რადგან საიტზე გასაყიდად სულ 600 ათასი ბილეთია გამოტანილი. ეს რიცხვი სულ ბილეთების 43%-ს შეადგენს, დანარჩენ 57-ს კი თავად უეფა და ნაციონალური ფედერაციები გაანაწილებენ. საიტის საშუალებით ბილეთების ყიდვა მხოლოდ 31 მარტამდე იქნება შესაძლებელი.

# დიდი ამბები გატუზოზე

გუშინწინ ღამე იტალიურმა ვებგვერდებმა სენსაციური ინფორმაცია გაავრცელეს, თითქოს **ჯენარო გატუზომ** მახაჩყალის "ანჟისთან" წინასწარი კონტრაქტი გააფორმა. "ფუტბოლ იტალიის" ცნობით, დაღესტნური კლუბის მფლობელმა **სულეიმან ქერიმოვმა** 33 წლის ფეხბურთელს წელიწადში 10 მილიონი ევრო შესთავაზა. ზოგიერთი კიდევ უფრო შორს წავიდა და აღნიშნა, რომ "რინოს" რუსეთში გადასაფრენად "ანჟიმ" კერძო თვითმფრინავი გაგზავნა და ფეხბურთელმა ერთი ღამე სულაც მახაჩყალაში გაატარაო. თუმცა მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონზე რიგი სააგენტოები განსხვავებულ ამბავს ავრცელებენ. ლაპარაკია ჯენაროს "გლაზგო რეინჯერსში" დაბრუნებაზე. ფეხბურთელი 1997–98 წლების სეზონში სწორედ "აიბროქსის" გმირად მიიჩნეოდა. გოლ.კომი კი ვარაუდობს, რომ მხარეთა შორის გარიგება წესით არ უნდა გაჭიანურდეს, რადგან ჯენაროს დღემდე ძალიან უყვარს შოტლანდია. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, მისი მეუღლე **კარლა რომანო** იტალიური ფესვების მქონე შოტლანდიელია.

ამასობაში "მილანის" ოფიციოზიც გამოფხიზლდა და განაცხადა, რომ ისინი ფეხბურთელის გაშვებას არ აპირებენ. *"არანაირი ოფიციალური წინადადება რუსეთიდან არ მიგვიღია. "რინოს" კონტრაქტი "მილანთან" 2012 წელს იწურება და ამით ყველაფერი ნათქვამია,"* – განაცხადა **არიედო ბრაიდამ**.

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჰანოვერი

# სლომკას ჩემპიონთა ლიგა ეჭყანება!

## ჰანოვერისთვის ევროპა მართლა რეალურია

„ჰოფენჰაიმი" დიდი ხანია, დაშოშმინდა, სეზონის სენსაციურად დამწყები „მაინციც" ნელ-ნელა ჩამოშორდა საუკეთესო სამეულს, აი, „ჰანოვერს" კი დღემდე ვერაფერი მოუხერხეს. არადა, ეს გუნდი ბუნდესლიგაში ერთ-ერთი ყველაზე მოკრძალებული და ნაკლებად ამბიციურია. საკმარისია, გავაანალიზოთ ის, რომ „წითლები" მიმდინარე სეზონში პირად რეკორდებს ამყარებენ, რომ მაშინვე დავრწმუნდებით, რამდენად საოცარია „ჰანოვერისთვის" 2010/2011 წლების სეზონი.

**მირკო სლომკას** გუნდს უკვე 14 თამაში აქვს მოგებული და აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ „ჰანოვერს" არსებობის ისტორიაში ერთ სეზონში ამდენი გამარჯვება აქამდე არასდროს ჰქონია. თანაც, ჯერ მხოლოდ 24 ტურია ჩატარებული. „წითლებს" კი უკვე 44 ქულა აქვთ და წარმოუდგენელია, დარჩენილ ათ ტურში მინიმუმ ექვსი ქულა რომ ვერ მოიპოვონ. ქულების გრაფაში 50-ის ჩაწერა კი იმის მაუწყებელი იქნება, რომ „ჰანოვერმა" მორიგი რეკორდი დაამყარა. ქვემოსაქსონიელებს ერთ სეზონში 49 ქულაზე მეტი აქამდე არასდროს დაუგროვებიათ.

გასაკვირი არავისთვისაა ის ფაქტიც, რომ „რეკორდების სეზონში" სლომკას გუნდმა სეზონის წინ დასახული მიზანი (პირველ ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნება) შეცვალა. „ჰანოვერს" ახლა უკვე გაცილებით მეტი უნდა. მართალია, ამას ხმამაღლა არავინ ამბობს და თვითონ სლომკაც მხოლოდ იმას იმეორებს, რომ მისი მიზანი ამ ეტაპზე მე-15 გამარჯვების მოპოვებაა და თუ ამ მიზანს მიაღწევს, მერე მე-16 გამარჯვებაზე იფიქრებს, მაგრამ ყველასათვის ცხადია, რომ ჰანოვერში ჩემპიონთა ლიგის ჰიმნის ცოცხლად მოსმენაზე ოცნებობენ.

მიზნებზე საუბრის დროს მოკრძალებულია „ზანკტ პაულის" კარში გამარჯვების გოლის გამტანი **კრისტიან შულციც**, რომელსაც სეზონის ბოლოს „ჰანოვერთან" კონტრაქტი უმთავრდება. თუკი სეზონის დასაწყისში გამოცდილი მცველი სერიოზულად ფიქრობდა „ვოლფსბურგისა" და „ჰამბურგის" წინადადებებზე, ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა, რადგან ამ ეტაპზე სპორტული პერსპექტივები „ჰანოვერში" გაცილებით მეტია, ვიდრე ზემოხსენებულ გუნდებში. მართალია, „ვოლფსბურგშიც" და „ჰამბურგშიც" მეტ ხელფასს ჰპირდებიან, მაგრამ შულცისთვის მთავარი სწორედ სპორტული პერსპექტივაა.

„ჰანოვერისთვის" ევროპის ლიგის საგზურის მოპოვებაც უდიდესი მიღწევა იქნებოდა, მაგრამ სლომკას გუნდს ყველასათვის მოულოდნელად, ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების შანსიც გაუჩნდა. „წითლები" ახლა მესამე ადგილზე არიან, ანუ, ჩემპიონთა ლიგის ზონაში იმყოფებიან და მეოთხეადგილოსან „ბაიერნს" ორი ქულით უსწრებენ. მომდევნო ტურში სლომკას სამწყსოს სწორედ „ბაიერნთან" უწევს დუელი, თანაც, საკუთარ „AWD არენაზე" და თუ „ჰანოვერმა" რეკორდმაისტერის დამარცხება შეძლო, მეოთხე ადგილთან უპირატესობას მინიმუმ ოთხი ქულით გაზრდის, მაქსიმუმ კი ხუთით - თუკი „მაინცი" „ჰამბურგს" ვერ დაამარცხებს.

„ზანკტ პაულისთან" შეხვედრაში ჰანოვერელებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ მაშინაც შეუძლიათ მაქსიმუმის მიღწევა, როცა ცუდი დღე უთენდებათ ხოლმე. სლომკას გუნდმა „მილერნტორშტადიონზე" არც ისე კარგად ითამაშა, მაგრამ თამაში მაინც მოიგო და აქტივს სამი ქულა შემატა. აი, ასე ნელ-ნელა და უჩუმრად მიიწევენ „წითლები" წინ და მოდით, პირდაპირ ვთქვათ, რომ „ჰანოვერის" წარმატების უმთავრესი საიდუმლო უმაღლესი ხარისხისა და კლასის დისციპლინაა - მეტი არც არაფერი. ეს კი მხოლოდ და მხოლოდ სლომკას დამსახურებაა - კაცისა, რომელსაც წარმატებულ სპეციალისტობას მაშინაც კი არ უწინასწარმეტყველებდნენ, როცა „შალკეს" მთავარი მწვრთნელის პოსტი ჩააბარეს. სხვათა შორის, გელზენკირხენულ კლუბს ბოლო 10 წელიწადში საუკეთესო შედეგები სწორედ მირკოს ხელში ჰქონდა, თუ არ ჩავთვლით **ფელიქს მაგათის** პირველ, შარშანდელ სეზონს, როცა „შალკე" ვიცე-ჩემპიონი გახდა, მაგრამ წელს ეს ვიცე-ჩემპიონობაც ისე ჩაიფუშა, რომ „შალკეს" ფანები სწორედ სლომკას პერიოდს იხსენებენ სიამოვნებით. გელზენკირხენში უკვე ყველა ხვდება, რომ „შალკეს" შეფებმა სლომკა თავის დროზე სათანადოდ ვერ (არ) დააფასეს.



ერთ დროს Mr. Nobody, დღეს უკვე ჰერ მირკო სლომკა: მისი „ჰანოვერი" 24 ტურის შემდეგ ჩემპიონთა ლიგის ზონაშია

„ბაიერნთან" დუელი ძალიან ბევრ საჭირო და აქტუალურ კითხვას გასცემს პასუხს. *„ცხადია, ევროპაში გასვლა გვინდა, - ამბობს მირკო, - დასამალი არაფერია. ჩვენ გვინდა, რომ შაბათს „ბაიერნს" სერიოზული პრობლემები შევუქმნათ. რეკორდმაისტერთანაც ისე ვაჟკაცურად უნდა ვითამაშოთ, როგორც მთელი სეზონის მანძილზე ვასპარეზობთ. „ბაიერნი" ურთულესი ამოცანაა, მაგრამ ჩვენი დამარცხებაც არ არის იოლი."*

„მილერნტორზე" მოედნის საფარი საშინელ მდგომარეობაში იყო და ამას „ჰანოვერის" ყველა ფეხბურთელი აღნიშნავდა მატჩის შემდეგ, თუმცა, როცა გამარჯვებული ხარ, ბევრი წუწუნიც აღარ გინდა. მიუხედავად ამისა, გაცოცხლებულმა **იან შლაუდრაფმა** მაინც თქვა, წესით, ასეთ მოედანზე თამაშის უფლება არ უნდა მოეცათ, მატჩი უნდა გადადებულიყო.

აი, „ჰანოვერის" მშობლიურ „AWD არენაზე" კი ბალახი ახალი გამოცვლილია და იქ „ბაიერნს" ზუსტად ისეთი მოედანი ელის, როგორიც ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფშია ხოლმე დასაშვები. რეპეტიცია დიდი წარმოდგენების წინ? ჰანოვერში ყველა ჩემპიონთა ლიგის ჰიმნის ცოცხლად მოსმენაზე ოცნებობს.

● მოსალოდნელი ტრანსფერი

# კლოპმა კლოზეს დაუმიზნა!

## რაში სჭირდება დორტმუნდს მირო? ახლავე აგიხსნით!

თუ ზაფხულში **მიროსლავ კლოზე** „ბაიერნიდან" დორტმუნდის „ბორუსიაში" გადავა, ეს მართლაც ძალიან სენსაციური ტრანსფერი იქნება, ახლა კი ფაქტი მხოლოდ ის არის, რომ ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, დორტმუნდელთა მწვრთნელი **იურგენ კლოპი** გერმანიის ნაკრებისა და რეკორდმაისტერის 32 წლის თავდამსხმელზე, რომელიც მიუნხენურ გრანდში სათადარიგოთა სკამის ხეხვით უკმაყოფილოა, მართლა სერიოზულად ფიქრობს. მეტიც: „ბილდის" ინფორმაციით, დორტმუნდელებმა კლოზესთან მოლაპარაკებები უკვე დაიწყეს: „ბორუსიას" მენეჯერი **მიხაელ ცორკი** წინა კვირაში თურმე მიროს აგენტს შეხვდა.

„დორტმუნდს" ფანტასტიკური და თანაც, ძალიან ახალგაზრდული გუნდი ჰყავს („ბაიერნთან" მატჩის დროს „ბორუსიას" ფეხბურთელთა საშუალო ასაკი 22.3 წელი იყო), მაგრამ კლოპი უკვე მომავალზე ფიქრობს და მიაჩნია, რომ ასეთი ახალგაზრდული გუნდი ჩემპიონთა ლიგაში ზედმეტი რისკია და რომ მას გამოცდილი ფეხბურთელებიც სჭირდება. კლოზე, რომელიც „ბაიერნის" მწვრთნელ **ლუის ვან გაალს** აღარაფერში სჭირდება, ძალიან გამოცდილი ფეხბურთელია ბუნდესლიგაში 297 მატჩითა და 121 გოლით. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მიროს ჩემპიონთა ლიგაში თამაშის დიდი გამოცდილებაც აქვს და სამ მუნდიალზე უთამაშია.

გამოცდილებასთან ერთად, დორტმუნდელებს კლოზე იმის გამოც აინტერესებთ, რომ „ბორუსიას" მისი ტრანსფერი ერთი ცენტიც კი არ დაუჯდება, რადგან კლოზეს „ბაიერნთან" კონტრაქტი ივნისში უმთავრდება. არაოფიციალური ინფორმაციით, კლოზე მიუნხენში წელიწადში 7 მილიონ ევროს იღებს და ფაქტია, რომ თუ „დორტმუნდში" გადავა, ჯამაგირის მინიმუმ განახევრებას უნდა დასთანხმდეს. „ბორუსიაში" ამჟამად ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი **სებასტიან კელია**, რომელიც წელიწადში 3 მილიონს იღებს.

კლოპს მირო იმის გამოც მოსწონს, რომ კლოზე გუნდური ფეხბურთელია. სათადარიგოთა სკამზე ჯდომის გამო ის არასდროს „მჟავდება" - მთავარია, უთამაშებლობამ მუდმივი სახე არ მიიღოს. „ბაიერნში" კლოზე ოდნავადაც ველარ გრძნობს იმას, რომ ვან გაალს სჭირდება, კლოპი კი შესანიშნავი ფსიქოლოგია და მიროს ამას არასდროს აგრძნობინებს. გარდა ამისა, კლოზე შესანიშნავი პროფესიონალია, ყოველთვის ბოლომდე იხარჯება და თავს არასდროს ზოგავს. ერთი სიტყვით, მირო „ბორუსიას" სტილისთვის შესაფერისი, მეტიც, ზედგამოჭრილი ფეხბურთელია და **ლუკას ბარიოსის** იდეალური, თანაც, ძალიან გამოცდილი ალტერნატივა იქნებოდა.

დორტმუნდში გადასვლა თვითონ კლოზესთვისაც საჭირო და აუცილებელია, რადგან „ბაიერნში" სათამაშო პრაქტიკა არ აქვს, წინ კი ევროპის 2012 წლის ჩემპიონატია და თუ კლუბში ასე იშვიათად ითამაშებს, შეუძლია, ევრო 2012-ზე არც იოცნებოს. არადა, ევროპის ჩემპიონატი ხომ უკრაინასა და მის სამშობლო პოლონეთში გაიმართება.

ცორკმა „ბილდთან" საუბრისას კლოზეთი დაინტერესება არ დაადასტურა, თუმცა არც უარყო, რაც მოსალოდნელიც იყო. ივნისამდე ჯერ დიდი დროა და მარტში სატრანსფერო გეგმებს არავინ გაამხელს. ჩვენი ბილდელი კოლეგები კი ირწმუნებიან, რომ „ბორუსიას" მირო გადაბირება ძალიან უნდა.

„ბორუსიას" ფანები კლოზეს BVB-ში გადასვლის პერსპექტივით აღფრთოვანდნენ: 72 პროცენტს მიაჩნია, რომ ეს ტრანსფერი „დორტმუნდისთვის" გენიალური იქნება...



„ბილდის" ფოტომონტაჟი: მიროსლავ კლოზე დორტმუნდის „ბორუსიას" ფორმით

● გერმანიის თასი. ნახევარფინალის წინ

# ლამი: ტაქტიკა უნდა შევცვალოთ!

## კაპიტანი ფიქრობს, რომ ბაიერნი ზედმეტად რისკიან ფეხბურთს თამაშობს, შალკესთვის კი გერმანიის თასი ევროპაში გასვლის უკანასკნელი შანსია

დღეს გერმანიის თასის მეორე ნახევარფინალური მატჩი გაიმართება: „ბაიერნი" მიუნხენში „შალკეს" მასპინძლობს. თასის ფინალში გასვლას ორივე გუნდისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს: გარდა იმისა, რომ ევროპის სხვა წამყვანი საფეხბურთო ქვეყნებისგან განსხვავებით, გერმანიის თასი უაღრესად პრესტიჟული ტურნირია, „ბაიერნს" და განსაკუთრებით „შალკეს", საკუთარი გულშემატკივრების წინაშე რეაბილიტაცია სურთ. თანაც, ფინალში ხომ საკმაოდ სუსტი მეტოქე ელოდებათ...

„შალკესთვის" თასის ფინალში მოხვედრა და ზოგადად გერმანიის თასის მოგება ორმაგად მნიშვნელოვანია, რადგან ეს გელზენკირხენული კლუბისთვის ევროპის ლიგის საგზურის მოპოვების ფაქტობრივად უკანასკნელი შანსია. მართალია, შალკელები ჩემპიონთა ლიგის საგზურს უმიზნებდნენ, მაგრამ ახლა უკვე გადაჭრით შეიძლება იმის თქმა, რომ **ფელიქს მაგათის** გუნდი საუკეთესო სამეულში ველარ მოხვდება და იმისათვის, რომ ევროპის ლიგის მიღმაც არ დარჩეს, თასის მოგება უბრალოდ აუცილებელია.

ბუნდესლიგიდან ევროპის ლიგაში მოხვედრა საუკეთესო ხუთეულში მოხვედრითაცაა შესაძლებელი და „ბაიერნს" ეს პრობლემა არ აწუხებთ. მიუნხენელებისთვის სამეულში შესვლა და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა აუცილებელი, მაგრამ რაკი რეკორდმაისტერმა ჩემპიონობის შანსი ფაქტობრივად დაკარგა, ჩემპიონთა ლიგის მოგებაც ბუნდოვანი პერსპექტივაა და მიუნხენური გრანდისთვის უტიტულოდ დარჩენა არაფრით არ შეიძლება, თასის მოგებამ „ბაიერნისთვისაც" უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა.

*„შალკეს" აუცილებლად უნდა მოვუგოთ და გერმანიის თასის აღება ასეთ შემთხვევაში ფაქტობრივად განაღდებული გვექნება, რადგან ფინალში მეორებუნდესლიგელთან გვექნება საქმე,"* - ეს „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** სიტყვებია და სპორტული დირექტორი **კრისტიან ნერლინგერიც** ამბობს, გერმანიის თასის მოგება აუცილებლად გვინდაო.



არიენ რობენი და ფილიპ ლამი

კაპიტანი **ფილიპ ლამი** კი მთავარ მწვრთნელ **ლუის ვან გაალს** ტაქტიკური ცვლილებისკენ მოუწოდებს: *„სქემის შეცვლა საჭირო არ არის, მაგრამ ჩემი აზრით, შეტევების ორგანიზებაში ბევრი რამ უნდა შეიცვალოს. ზედმეტად რისკიანმა სტილმა ბუნდესლიგაში უკვე ძალიან ბევრი ქულა დაგვაკარგვინა. ვფიქრობ, რომ ასეთი სტრატეგიით თვითონ ვართულებთ ყველაფერს. ჩემი აზრით, „შალკესთან" მატჩში და ზოგადადაც, უფრო ფრთხილი და პრაგმატული მიდგომა გვჭირდება."*

ამ განცხადებით ლამმა ვან გაალი ფაქტობრივად გააკრიტიკა, რაც რეკორდმაისტერის ჰოლანდიელ დამრიგებელს ნამდვილად არ მოეწონება...

**დღეს, 23:30**

**ბაიერნი VS შალკე**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბაიერნი (4-2-3-1):** კრაფტი - ლამი, ბრენო, ტიმოშჩუკი, ლუის გუსტავო - შვაინშტაიგერი, პრანიჩი - რობენი, თ. მიულერი, რიბერი - გომესი.

**შალკე (4-2-2-2):** ნოიერი - უჩიდა, ჰიოვედესი, მეტცელდერი, ესკუდერო - კლუგე, ანანი - ფარფანი, ხურადო - რაული, ჰუნტელაარი.

**არბიტრი:** ფლორიან მაიერი (ბურგდორფი)

● ვერდერი

# ფრინგსი მიდის, ტრინკსი რჩება!

## მუსიკოსები გავარდნისგან 18 წლის ყმაწვილმა უნდა იხსნას?

მიუხედავად იმისა, რომ დიდი სურვილი აქვს, ძნელი წარმოსადგენია, ბრემენის „ვერდერის" შეფმა **კლაუს ალოფსმა ტორსტენ ფრინგსს** ზაფხულში კარიერის დამთავრება გადააფიქრებინოს. თანაც, ფრინგსმა რომ ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდება გადაწყვიტა, რაც დრო გადის, „ვერდერის" ფანებსაც ნაკლებად აღელვებთ, რადგან მათ ახალი იმედი გაუჩნდათ: 18 წლის შემტევი ნახევარმცველი **ფლორიან ტრინკსი**.

ამ უკანასკნელს კვირას, „ლევერკუზენთან" შეხვედრაში „ვერდერის" ძირითად შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა და როგორც ამბობს, მერე ღამით დაძინება ძალიან გაუჭირდა. ტრინკსმა „ლევერკუზენთან" ძალიან კარგად ითამაშა: მისი მშვენიერი პასებით **ტიმ ბოროვსკის** ორჯერ შეეძლო გოლის გატანა და გარდა ამისა, „ლევერკუზენის" თავდამსხმელმა **შტეფან კისლინგმა** 83-ე წუთზე ავტოგოლი სწორედ ტრინკსის ჩაწოდების შემდეგ გაიტანა. ესეც რომ არ იყოს, ახალგაზრდა ნახევარმცველმა მთელი მატჩი მაღალ დონეზე ჩაატარა.

შესაბამისად, გასაკვირი ნამდვილად არ არის ის, რომ მატჩის შემდეგ ბრემენული კლუბის ტანჯულმა მწვრთნელმა **თომას შააფმა** 18 წლის შეგირდი დიდხანს აქო: *„ფლორიანმა ისე კარგად ითამაშა, რომ ყველანი კმაყოფილები უნდა ვიყოთ. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ეს ბიჭი ძალიან ნიჭიერია და კვირას ამაში საბოლოოდ დავრწმუნდი,"* - შეგახსენებთ, რომ შააფი სიტყვებს ჰაერზე არასდროს ისვრის.

ბრემენელ ქომაგებს კი ახლა იმის იმედი აქვთ, რომ 18 წლის ტრინკსი „ვერდერს" კატასტროფისგან, ანუ, მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებისგან იხსნის. ყოველ შემთხვევაში, ფლომ კვირას დაამტკიცა, რომ გამთამაშებლობის მშვენიერი ნიჭი აქვს, „ვერდერს" კი სწორედ კარგი ფლეიმეიქერი აკლია. ფაქტია ისიც, რომ ფლორიანი ძალიან მონდომებულია, ამბობს, ჩემი მიზანი გერმანიის ნაკრების ფეხბურთელობააო და კერპად **ზინედინ ზიდანს** ასახელებს. ახლა საკითხავი და საინტერესოა, გაამწესებს თუ არა შააფი მას სასტარტო შემადგენლობაში „ფრაიბურგთანაც". ფაქტი ისაა, რომ ფლორიან ტრინკსს ალოფსიც უდიდეს ტალანტს უწოდებს.

შააფს ძალიან უყვარს ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის შანსის მიცემა - **დიეგო** თუ **მესუთ იოზილი** სწორედ მის ხელში „დალვინდნენ", უფრო ადრე კი თომასმა **ტიმ ბოროვსკიც** აღმოაჩინა. იქნება შემდეგი ფლორიან ტრინკსი? ამას დრო გვიჩვენებს...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

ლა ლიგა. XXV ტურის მიმოხილვა

# როდის დაშრება ბარსა

## მადლობა, რომ პირდაპირ ჯოჯოხეთში არ გამგზავნა...

**ორშაბათის მატჩის გამო ერთი დღით გადმოგვეწია ტურის მიმოხილვა. რა თქმა უნდა, კარგად ვუწყოდით, რომ აუტსაიდერთა დაპირისპირება ბევრად ვერ შეცვლიდა ჩვენს საწერ თემას, მაგრამ არც „მალაგასა“ და „ალმერიას“ უპატივცემულობა იქნებოდა. XXV ტურის მიმოხილვაში გარკვეული სიახლეები შევიტანეთ, რასაც ქვემოთ თავად უკეთ შეაფასებთ. მაშ ასე, თქვენ წინაშეა ტური, რომელმაც აღადგინა ჩემპიონის 7-ქულიანი უპირატესობა კონკურენტზე, ტური, რომელმაც ორი მაგარი თამაში გვაჩუქა (მადრიდსა და ბილბაოში), სადაც არც „ბარსელონას“ და არც „რეალს“ მიუღიათ მონაწილეობა.**

### ექვსქულიანი, რომელიც იტალიელმა მოიგო

ბოლოდან დავიწყებთ, როგორც ქრონოლოგიურად, ისე სატურნირო ცხრილის მიხედვით - ორშაბათს ბოლო და ბოლოსწინაადგილოსანმა ადგილები გაცვალეს, „ლა როსალედაზე“ 30 ათასამდე ინჩასის გასახარად „მალაგამ“ „ალმერიას“ 3:1 სძლია თამაშში, რომელიც რეფერი **ალვარეს ისკუერდომ** გააფუჭა. არ დაგავიწყდეთ, რომ საქმე ანდალუსიურ დერბისთან გვქონდა, დერბი კი ყოველთვის დერბია, თუნდაც აუტსაიდერთა შორის. კატალონიელმა მსაჯმა კი აქეთ-იქით არიგა ბარათები, არადა, თამაში ამის საჭიროებას არ მოითხოვდა, ბოლოს მან „ალმერია“ 9 კაცის ამარა დატოვა.

**მანუელ პელეგრინის** გუნდმა დაძაბული ორთაბრძოლა სათავისოდ მეორე ტაიმში შემოატრიალა, თავიდან კი სტუმრები **სოფიან ფეგულის** გოლით (რომელიც მეკარე **კაბალიეროს** კომიკურ შეცდომას მოჰყვა) დაწინაურდნენ. გადამწყვეტი შესვენებაზე გაკეთებული შეცვლა გამოდგა, ჩილელმა **ნაჩო კამაჩო** სკამზე დასვა და გამოცდილი **ენცო მარესკა** შეუშვა მოედანზე. იტალიელმა ჯერ ანგარიში გაათანაბრა, შემდეგ კი საგოლე პასი გააკეთა. მოკლედ, „მალაგას“ 3 ქულა მოუპოვა. აუტსაიდერები უძახე და გუნდებმა დიდებული შოუ დადგეს, თამაშის ტემპი წუთითაც არ დაცემულა, იყო ბრძოლა თითოეული გოჯისთვის.

### ლეო VS რონალდო
## დუბლი 26

არგენტინელის და პორტუგალიელის დაუსწრებელი დუელი გრძელდება, რომელიც ბოლო დროს **ლეო მესის** უპირატესობით მიმდინარეობს. მაშ ასე, მესის „ბარსამ“ სტუმრად 3:0 დაამარცხა „მალიორკა“ დიდწილად ლეოს ბრწყინვალე თამაშის წყალობით. **კრიშტიანო რონალდომ** კი ზედიზედ მესამედ ვერ შეძლო გოლის შეგდება, ვერც მისმა „რეალმა“ მოიგო „დეპორტივოსთან“ - 0:0. მიუხედავად ამისა, CR7-ზე (იშიფრება, როგორც კრიშტიანო რონალდო ნომერი 7 - ასე ეძახიან ხშირად პორტუგალიელს) ენა ვერ მოგიბრუნდება, თქვა, ცუდად ითამაშაო.

როგორ ითამაშა ლეომ? მან 26-მდე გაზარდა გოლების რაოდენობა ლა ლიგაში, თან პირველი და გადამწყვეტი გოლი მისია. კიდევ ერთი „უცნაურობა“ ისაა, რომ ტანდაბალმა არგენტინელმა ბურთი თავით გაიტანა (პირველად სეზონში). ამის მერე მესის მანევრირების მეტი საშუალება მიეცა, ძალიან კარგად გაითამაშა ბურთი რამდენჯერმე **დავიდ ვილიასთან**, ის იყო მთავარი შემოქმედი „ბარსას“ წარმატების ბალეარულ ცივ საღამოს. სტატისტიკის გრაფაში დააკვირდით, რამდენი პასი გააკეთა მესიმ და რამდენი იყო აქედან ზუსტი.

როგორ ითამაშა რონალდომ? პორტუგალიელმა პირველ ნახევარში კი გაიტანა „დეპორტივოს“ კარში, მაგრამ ეს გოლი თამაშგარე მდგომარეობის გამო არ ჩაითვალა. კარგი თამაშის მიუხედავად, რონალდო გოლისა და საგოლე პასის გარეშე დარჩა, პირველ შემთხვევაში მასპინძლები ძელმა იხსნა, მეორეში - **ქარიმ ბენზემა** დამწყები პროფესიონალივით მოიქცა და 100%-იანი საგოლე მომენტი ქარს გაატანა.

| - | მესი | რონალდო |
|---|---|---|
| გოლი | 1 | 0 |
| დარტყმა | 2 (1) | 8 (4) |
| პასი | 85 (80) | 53 (36) |
| დაკარგვა | 10 | 9 |
| მოპოვება | 0 | 2 |
| ჯარიმა (მასზე) | 1 | 4 |
| Goal.com | 8,0 | 7,5 |





### პირველი... ხუთი წუთი და გოლები

„მალიორკასთან“ მატჩის 85-ე წუთზე პირველად მოირგო „ბარსას“ მაისური 19 წლის **მარტინ მონტოიამ**, მან ბრაზილიელი **ადრიანო** შეცვალა. ფულბეკი, რომელსაც მეტსახელად „მაქინა“ (მანქანა) შეარქვეს, არაჩვეულებრივი ფიზიკური მონაცემების გამო. მონტოია მე-17 ფეხბურთელია „ბარსელონას“ სარეზერვო გუნდიდან, რომელსაც პეპ გვარდიოლას ხელში დებიუტი ჰქონდა მთავარ გუნდში. პირველი კი **სერხიო ბუსკეტსი** იყო.

*„სიმართლე გითხრათ, როცა სკამზე ვიჯექი, უფრო ვნერვიულობდი, ვიდრე მას მერე, რაც პეპმა მითხრა, გაემზადეო. ძალიან იოლია მსოფლიოს საუკეთესო გუნდში თამაში, ის ხუთი წუთი თავს ბრწყინვალედ ვგრძნობდი“*, - განაცხადა მონტოიამ.

ლა ლიგაში პრემიერგოლი გაიტანა „ვალენსიას“ ბრაზილიელმა ლეგიონერმა **ჟონას გონშალვეს ოლივეირამ** ან უბრალოდ ჟონასმა. 26 წლის ფეხბურთელი დეკემბერში „გრემიოსთვის“ აგორებდა ბურთს, ესპანეთში დებიუტი კი წინა ტურში „სპორტინგთან“ ჰქონდა, როცა ბოლო 11 წუთი ითამაშა და „ღამურების“ მძინარე შეტევის ხაზი გამოაცოცხლა. უკვე მეორე მატჩში კი მან გმირობა ჩაიდინა, 64-ე წუთზე შესულმა საფეხბურთო კათედრალზე, „სან მამესზე“ გაიტანა 81-ე წუთზე და „ვალენსიას“ ბილბაოში მოაგებინა!



ჩემპიონატში პირველი გოლი გაიტანა 21 წლის მექსიკელმა **ჯოვანი დოს სანტოსმაც**. თუკი ვალენსიელ ჟონასს 2 თამაში ეყო სადებიუტო გოლამდე, „რასინგის“ ახალწვეულს სამი დასჭირდა (ისიც ჯერ მხოლოდ შეცვლაზე შედის) - ჯოვანიმ 68-ე წუთზე გაიტანა „ვილიარეალის“ კარში. მართალია, „ატლეტიკოს“ ნახევარმცველი **კოკე** (ხორხე მეროდიო) ამ კლუბში ახალწვეული არ არის, მაგრამ 19 წლის ფეხბურთელი **კიკე ფლორესმა** იანვარში დააწინაურა მთავარ გუნდში, „სევილიასთან“ მატჩში კი მან **დიეგო ფორლანის** ჩაწოდებულს თავი დაუხვედრა და კარიერაში პირველი გოლი შეაგდო პრიმერაში.

### იქ, სადღაც შორს... გულთან ახლოს

**რაულ ტამუდო** პირველად გამოვიდა „ესპანიოლის“ სტადიონზე „ესპანიოლის“ წინააღმდეგ - 10 წლის განმავლობაში გუნდის კაპიტანი და კლუბის ისტორიაში მთავარი მეგოლე ახლა „რეალ სოსიედადის“ მაისურით იდგა მოედანზე და „კორნელია ელ პრატისგან“... ოვაციებს იღებდა - „ესპანიოლის“ ფანები აფასებენ თავიანთ ლეგენდებს. მოკლედ, ვეტერანს სტადიონზე თბილად, მაგრამ მოედანზე ცივად შეხვდნენ - ყოფილი თანაკლუბელები. პირველ ტაიმში რაულს **კარლოს კამენიმ** საგოლე გასროლა აუღო, ბასკური გუნდი კი 1:4 შერცხვა. *„ბრწყინვალე „ესპანიოლია“, გუნდს დიდ წარმატებას ვუსურვებ. მე მიყვარს „ესპანიოლი“, მაგრამ ძალიან*



*მიყვარს ფეხბურთი, ის, რისი თამაშის საშუალებაც შარშან არ მქონდა“*, - განაცხადა ტამუდომ თამაშის შემდეგ.

### ტურის ფრაზები

**მე-5** ადგილი - **დავიდ ნავარო** (ვალენსია): *„რა ვიცი, მე კი არაფერი მომსვლია“*, - **ფერნანდო ლორენტესთან** შეჯახების შემდეგ, როცა ბასკ ფორვარდს თავზე რამდენიმე ნაკერი დაადდეს. კიდევაც რომ უკვირს...

**მე-4** ადგილი - **პეპ გვარდიოლა**: *„ამდენი ხანი თამაშის რიტმში ჩაჯდომა არასოდეს გაგვჭირვებია“*, - „ბარსელონას“ თავკაცი „მალიორკასთან“ 3:0 მოგებული მატჩის შემდეგ.

**მე-3** ადგილი - **ჟოზე მოურინიო**: *„მეორე ტაიმში „დეპორი“ პრაქტიკულად არ შეხებია ბურთს. ჩვენ მეკარისა და 10 მცველის წინააღმდეგ გვიწევდა თამაში“*, - „რეალის“ მწვრთნელი 0:0-ის შემდეგ.

**მე-2** ადგილი - **ხოსე ულოა**: *„მსაჯს ხელი ჩამოვართვი და მადლობა გადავუხადე, რომ მხოლოდ წითელი ბარათი მომცა და პირდაპირ ჯოჯოხეთში არ გამიშვა. ისე მეცა“*, - „ალმერიას“ არგენტინელი ფორვარდი „მალაგასთან“ მატჩში საკამათო გაგდების მერე.

**პირველი** ადგილი - **მიქაელ ლაუდრუპი**: *„როცა იქნება, ეს „ბარსაც“ „დაშრება“*, - „მალიორკას“ თავკაცი ჩემპიონთან 0:3 მარცხის შემდეგ.

### ტურის ინციდენტი

მეორე ტაიმი დაიწყო თუ არა, „ვალენსიას“ მცველმა დავიდ ნავარომ საჰაერო დუელში იდაყვი გაჰკრა ფერნანდო ლორენტეს. ბასკს რამდენიმე ნაკერი დაადეს და ლამის შესაცვლელი გახდა. როგორ არ გააგდეს (არც კი გააფრთხილებიათ) „ლოს ჩეს“ მცველი, საოცარია.




### ტურის სიმბოლური ნაკრები

ვადგენთ კვლავ ნეიტრალური Goal.com-ის მიხედვით.

(3-4-3)

**მეკარე**

**დანიელ არანსუბია** (დეპორტივო): „რეალთან“ მატჩში კარის მშრალად შენახვისთვის.

**მცველები**

**სერხიო ბალესტეროსი** (ლევანტე): „ოსასუნას“ კარში გატანილი გოლისთვის და ლიდერობისთვის.

**ალბერტო ლოპო** (დეპორტივო): ბენზემასა და ადებაიორის განეიტრალებისთვის.

**ალბერტო ლორა** (სპორტინგი): ბოლო დროს ხიხონელთა დაცვა, მოულოდნელად, საიმედო გახდა. ეს კი 23 წლის ლორას დამსახურებაცაა.

**ნახევარმცველები**

**ხოაკინი** (ვალენსია): „ბილბაოსთან“ მატჩის შემოტრიალებისთვის, მოედანზე „ყველგან ყოფნისთვის“.

**ხავი მარკესი** (ესპანიოლი): დინამიკური თამაშისთვის და გოლისთვის.

**სეიდუ კეიტა** (ბარსელონა): **ჩავის** ღირსეულად შეცვლისთვის.

**პედრო მუნიტისი**: „ვილიარეალის“ დაცვის ფლანგების მორღვევისთვის.

**თავდამსხმელები**

**კრიშტიანო რონალდო** (რეალი): უგოლოდ, მაგრამ მეორე ტაიმში დიდებულად თამაშისთვის.

**ფერნანდო ლორენტე** (ბილბაო): გოლისთვის, თავგანწირვისთვის.

**ლიონელ მესი** (ბარსელონა): გოლისთვის და იმისთვის, რომ მესია.

### ტურის მსხვერპლნი

**ჯონათან დე გუზმანი** (მალიორკა): „ბარსასთან“ მატჩში ბარძაყის კუნთი დაიშავა.

**რუბენ პერესი** (დეპორტივო): „რეალთან“ ტერფი დაიზიანა.

**ფელიპე კაისედო** (ლევანტე): „ოსასუნასთან“ მატჩში მარჯვენა მუხლი დაიზიანა.

**ხავი მარკესი** (ესპანიოლი): „რეალ სოსიედადთან“ მატჩში დაშავდა.

### ტურის სტატისტიკა

**26 გოლი (2,6 მატჩში), 52 გაფრთხილება, 3 გაძევება**

**ყველაზე, ყველაზე...**

**მეტი მაყურებელი:** ვისენტე კალდერონი, 48 000

**ცოტა მაყურებელი:** სიუტატ დე ვალენსია, 11 700

**მეტი დარტყმა კარისკენ:** 20 - რეალი

**მეტი დარტყმა კარში:** 11 - ატლეტიკო

**მეტი ჯარიმა:** 21 - დეპორტივო

**მეტი კუთხური:** 10 - რეალი

**დიდი ბურთის ფლობის %:** 74 - ბარსელონა

ლა ლიგის TOP-10 „დონ ბალონის“ შეფასებებით

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. მესი | ბარსელონა | 170 | 7,73 |
| 2. ინიესტა | ბარსელონა | 181 | 7,24 |
| 3. როსი | ვილიარეალი | 166 | 7,22 |
| 4. რონალდო | რეალი | 179 | 7,16 |
| 5. ბ. ვალერო | ვილიარეალი | 164 | 7,13 |
| 6. კასორლა | ვილიარეალი | 169 | 7,04 |
| 7. დ. ალვეში | ალმერია | 176 | 7,04 |
| 8. ვილია | ბარსელონა | 162 | 6,75 |
| 9. არანსუბია | დეპორტივო | 128 | 6,74 |
| 10. პედრო | ბარსელონა | 167 | 6,68 |

**დაბოლოს, ფოტო განწყობისთვის - „მალიორკას“ იაპონელმა ლეგიონერმა აკიჰირო იენაგამ ლამის მთელი მოედანი სდია ჟერარდ პიკეს თამაშის დასრულებისთანავე, რათა ხელში სანუკვარი მაისურა ჩაეგდო.**

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ



ესპანეთი. ლა ლიგა. XXVI ტურის წინ

# ტრავმირებულია... პეპ გვარდიოლა

## ამაღამ პირველად: ელ გუახე მესტალიაზე, მესტალიას წინააღმდეგ

**გუშინ**

ესპანიოლი 1
მალიორკა 2

**ესპანიოლი (4-4-2):** კამენი - ჩიკა, ამატი, გალანი, ხ. ლოპესი - ლ. გარსია (65. მოლინა), დუშერი (86. რუი ფონტე), ვერდიუ (76. დატოლო), კალეხონი - ა. ვასკესი, ს. გარსია.

**მალიორკა (4-2-3-1):** ავატე - სენდროსი, ნუნიეში, რამისი, აიოსე - ჟოაო ვიქტორი, ტეხერა (83. პინა) - ნსუე, გ. კასტრო (79. იენაგა), პერეირა - ვებო (91. რუბენი).

**გოლები:** 1:0 ა. ვასკესი (18), 1:1 ვებო (62), 1:2 ნსუე (82)

**გაფრთხილება:** ამატი, ლ. გარსია, დუშერი, ს. გარსია, ოლინა, ჩიკა - აიოსე, სენდროსი, ტეხერა

**კუთხური:** 0-9; **ჯარიმა:** 18-18; **თამაშგარე:** 0-4; **კარში დარტყმა:** 10-16 (3-6); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 17 000

**გუშინ**

სევილია 3
სპორტინგი 0

**სევილია (4-4-2):** ვარასი - დაბო, ფასიო, ესკუდე, ფ. ნავარო - ხესუს ნავასი, მედელი (79. რენატო), რაკიტიჩი, პეროტი (72. კაპელი) - ლუიშ ფაბიანო (66. კანუტე), ნეგრედო.

**სპორტინგი (4-2-3-1):** კუელიარი - სასტრე (46. დე ლას კუევასი), გრეგორი, ერნანდესი, კანელია - ეგურენი, ლორა - ნაჩო ნოვო, კარმელო, აიოსე (67. მორანი) - სანგოი (68. ბილიჩი).

**გოლები:** 1:0 ლუიშ ფაბიანო (28), 2:0 პეროტი (35), 3:0 ნეგრედო (65)

**გაფრთხილება:** ესკუდე, ნეგრედო - სასტრე

**გაძევება:** ეგურენი (27)

**კუთხური:** 3-1; **ჯარიმა:** 16-13; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 16-3 (8-0); **ბურთის ფლობა:** 68%-32%.

**მაყურებელი:** 36 000

**დღეს, 23:00**

ხეტაფე VS ატლეტიკო

**დისკვალიფიკაცია:** მარკანო (ხეტ)
**ტრავმა:** ბორხა, მარიო, ალბინი, პინტოსი, უსტარი, არისმენდი (?) - ფორლანი (?), პერესი, ელიასი, პულიდო, სუარესი

**დღეს, 23:00**

ოსასუნა VS დეპორტივო

**ტრავმა:** რუპერი, ოიერი, არანდა (?), სეხუდო (?), სერხიო, რობერტო, კორომინასი - მანუელ პაბლო, სისკო, ვალერონი, საული, ურეტა

**დღეს, 23:00**

სოსიედადი VS ლევანტე

**დისკვალიფიკაცია:** არანბურუ (რეალ)
**ტრავმა:** გრიზმანი (?), ხ. ლორენტე, ელუსტონდო, ანსოტეგი, იფრანი - კაისედო, პალიარდო (?), გონსალესი, ლარეა, ხუანფრანი, ვენტა, პერესი

**დღეს, 23:00**

ვილიარეალი VS ერკულესი

**დისკვალიფიკაცია:** ბრუნო - კორტესი, როდრიგესი, აგილარი
**ტრავმა:** ა. ლოპესი, სენა - დრენტე, პენია, ვალდესი, რუფეტე

**დღეს, 23:00**

სარაგოსა VS ბილბაო

**ტრავმა:** ბრაულიო, ლაფიტა, ლაგუარდია, ობრადოვიჩი - სან ხოსე, ორბაისი, ხ. მარტინესი (?), ფ. ლორენტე (?), აურტენეჩე, რამალიო

**დღეს, 01:00**

ვალენსია VS ბარსელონა

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ვალენსია:** გუაიტა - რიკარდო კოშტა, დ. ნავარო, სტანკევიჩუსი, მატიო - ხოაკინი, მადურო, ბანეგა, ტინო კოსტა, მატა - სოლდადო.
**ბარსელონა:** პინტო - დანი ალვეში, პიკე, აბიდალი, მაქსველი - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა - პედრო, მესი, ვილია.

**ხვალ, 23:00**

ალმერია VS რასინგი

**დისკვალიფიკაცია:** კოლსა (რას).
**ტრავმა:** ნიეტო, ხუანმა ორტისი - სერანო, ციოლისი

**ხვალ, 01:00**

რეალი VS მალაგა

**ტრავმა:** იგუაინი, კანალესი, ხედირა - ასენხო, როსარიო, რუბენი, დუდა, ბაპტიშტა, პორტილიო, მალაგუენო.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 25 | 22 | 2 | 1 | 76-13 | 68 |
| 2. რეალი | 25 | 19 | 4 | 2 | 55-19 | 61 |
| 3. ვალენსია | 25 | 15 | 6 | 4 | 40-26 | 51 |
| 4. ვილიარეალი | 25 | 14 | 5 | 6 | 44-26 | 47 |
| 5. ესპანიოლი | 26 | 13 | 1 | 12 | 35-38 | 40 |
| 6. ბილბაო | 25 | 12 | 2 | 11 | 39-36 | 38 |
| 7. სევილია | 26 | 11 | 5 | 10 | 41-40 | 38 |
| 8. ატლეტიკო | 25 | 10 | 4 | 11 | 35-33 | 34 |
| 9. სოსიედადი | 25 | 11 | 1 | 13 | 36-41 | 34 |
| 10. მალიორკა | 26 | 10 | 4 | 12 | 27-35 | 34 |
| 11. ხეტაფე | 25 | 9 | 5 | 11 | 35-38 | 32 |
| 12. რასინგი | 25 | 7 | 8 | 10 | 23-35 | 29 |
| 13. ლევანტე | 25 | 8 | 3 | 14 | 26-37 | 27 |
| 14. დეპორტივო | 25 | 6 | 9 | 10 | 21-35 | 27 |
| 15. ერკულესი | 25 | 7 | 5 | 13 | 24-38 | 26 |
| 16. ოსასუნა | 25 | 6 | 7 | 12 | 26-32 | 25 |
| 17. სპორტინგი | 26 | 5 | 10 | 11 | 23-34 | 25 |
| 18. სარაგოსა | 25 | 5 | 9 | 11 | 22-37 | 24 |
| 19. მალაგა | 25 | 6 | 5 | 14 | 34-51 | 23 |
| 20. ალმერია | 25 | 4 | 9 | 12 | 25-43 | 21 |

**ბომბარდირები**

26 - ლეო მესი (ბარსელონა)
24 - კრიშტიანო რონალდო (რეალი)
17 - დავიდ ვილია (ვალენსია)



მომავალ ტურში **მანუელ პელეგრინი** კვლავ დაჯდება „სანტიაგო ბერნაბეუს“ სათადარიგოთა სკამზე, ოღონდ, „რეალის“ მეტოქე გუნდის რაზმში. „მენიუში“ გვაქვს მცირე მადრიდული დერბიც, ასევე ვალენსიის მხარის ორი გუნდის პრინციპული დაპირისპირება, მაგრამ მთავარი და გადამწყვეტი მაინც ჩემპიონის ვიზიტია „მესტალიაზე“. „სამეფო კლუბს“ ლამის ერთადერთი შანსი აქვს საჩემპიონო შანსს კიდევ მოეჭიდოს, ოღონდ, საამისოდ უკვე სხვაზე არის დამოკიდებული - **უნაი ემერის** „ვალენსიაზე“. და კიდევ უფრო მთავარი - „ელ გუახედ“ წოდებული მსოფლიოს ჩემპიონი **დავიდ ვილია** პირველად „მესტალიაზე“ მესტალიელთა წინააღმდეგ ითამაშებს, რაც „ვალენსია“ დატოვა.

მანამდე კი წუხანდელი თამაშებით დავიწყოთ - ბარსელონაში „ესპანიოლი“ **მიქაელ ლაუდრუპის** „მალიორკამ“ 2:1 დაამარცხა. არადა, **მაურისიო პოჩეტინოს** გუნდი თავიდან დაწინაურდა, **ხოსე კალეხონმა ალვარო ვასკესს** გაატანინა. მეორე ტაიმში ბალეარელებმა გაილაღეს - ჯერ **სერხიო ტეხერას** ჩაწოდებას თავით **პიერ ვებო** გამოეხმაურა, შემდეგ კი **ემილიო ნსუემ** ახლო მანძილიდან 3 ქულა მოუპოვა „მალიორკას“. ლაუდრუპი ყველაზე მეტად კამერუნელ ფორვარდსა (ვებო) და ისრაელელ მეკარე **დუდუ ავატეს** უნდა უმადლოდეს გამარჯვებას. „სევილიამ“ ხიხონის „სპორტინგთან“ დაგეგმილი 3 ქულა იოლად მიითვალა - 3:0.

ცოტა ღიმილისმომგვრელი ინფორმაციით დავიწყებთ, თუმცა, გვერწმუნეთ, თავად დაზარალებულს საქმე სასაცილოდ სულაც არა აქვს - „ბარსელონას“ ოფიციალური საიტი იუწყება, რომ „ვალენსიასთან“ მატჩის წინ წელს იტკიებს... **ხოსეპ გვარდიოლა!** ბოლო დღეების განმავლობაში ჩემპიონთა თავკაცი წელის ქვედა ნაწილში უცნაურ ტკივილებზე ჩიოდა, სამშაბათს კი ტკივილი გამწვავდა, გვარდიოლა ვარჯიშს ვერ დაესწრო. პრესკონფერენციაც მისმა ასისტენტმა **ტიტო ვილანოვამ** ჩაატარა. ჯერ ისიც უცნობია, ჩავა თუ არა საერთოდ მწვრთნელი ვალენსიაში.

„ბარსელონას“ დაუბრუნდა **ჩავი ერნანდესი**, რომელმაც დროულად მოირჩინა მარცხენა ფეხზე მტკივანი კუნთი, ბრუნდება დისკვალიფიკაციამოხდილი **დანიელ ალვეშიც**. სამაგიეროდ, კატალონიაში რჩებიან **ვიქტორ ვალდესი, კარლეს პუიოლი** და **ჟეფრენ სუარესი**.

**ტიტო ვილანოვა** (ბარსელონა): *„პეპი ამდენ ხანს უძლებდა ტკივილს, მაგრამ დღეს უკვე ველარ შეძლო ტკივილის ატანა. ხვალ დილით გაირკვევა, წამოვა თუ არა ის ვალენსიაში. შარშან თავისუფლად შეიძლებოდა წაგვეგო, ემერიმ ძალიან კარგად შეგვისწავლა. რაც უნდა მოხდეს, ვალენსიაში, ეს თამაში ვერ გადაწყვეტს ლიგის ბედს“.* ვალენსიაში წამსვლელ 18-კაციან სიაშია ერთადერთი ფეხბურთელი სარეზერვო შემადგენლობიდან, მეკარე **მინიო**.

**უნაი ემერი** (ვალენსია): *„ბრწყინვალე თამაში გველის თითოეულ ჩვენგანს. „ბარსა“ მსოფლიოს საუკეთესო გუნდია, რომელსაც საუკეთესო ფეხბურთელები ჰყავს და ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი. ასეთი გუნდები ავსებენ ნებისმიერ სტადიონებს, მათი დამარცხება ძალიან ძნელია, თუმცა ჩვენ ამას არ გამოვრიცხავთ. ჩვენი მიზანი მოგებაა, ამისთვის საუკეთესოდ უნდა ვითამაშოთ, ძნელი იქნება, მაგრამ ჩვენ ეს ადრეც გაგვიკეთებია“.*

სხვათა შორის, „მესტალია“ პრიმერას ერთადერთი სტადიონია, სადაც გვარდიოლას გუნდს ჩემპიონატის მატჩი არ მოუგია.

**დავიდ ვილია** (ბარსელონა): *„ვალენსიასთან“ თამაში ერთ-ერთი ყველაზე რთული იქნება სეზონში. ჩემთვის დიდი ბედნიერება იქნება, ისევ „მესტალიაზე“ დაბრუნება, სადაც ჩემი კარიერის ძალიან ბედნიერი ხანა გავატარე“.*

„ვალენსიადან“ ზაფხულში 40 მილიონ ევროდ ნაყიდმა „ელ გუახემ“ ამ სეზონში უკვე 17 გოლი გაიტანა. მასპინძლებს არ ეყოლებათ დისკვალიფიცირებული მცველი **ბრუნო**. ამის გამო, შესაძლოა, პორტუგალიელმა **რიკარდო კოშტამ** მარჯვენა მცველის პოზიცია დაიკავოს, **არიც ადურისი, დავიდ ალბელდა** და **ნაჩო გონსალესი** კვლავ ტრავმებს იშუშებენ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ინგლისი. პრემიერლიგა. გამოტოვებული მატჩი



ანგარიში უეინ რუნიმ (ბურთით) გახსნა

# შესანიშნავი მატჩი დიეტური პენალტით

**ჩელსი–მანჩესტერ იუნაიტედი 2:1**

**ჩელსი** (4-4-2): ჩეხი - ივანოვიჩი, დავიდ ლუიზი (81. ბოსინგვა), ტერი, ე. კოული - რამირესი, ესიენი, ლემპარდი, მალუდა (71. ჟირკოვი) - ანელკა (61. დროგბა), ტორესი.

**მანჩესტერ იუნაიტედი** (4-4-2): ვან დერ სარი - ო'ში, სმოლინგი, ვიდიჩი, ევრა (81. ფაბიო) - ფლეტჩერი, ქერიკი, სქოულზი (70. გიგზი), ნანი - რუნი, ერნანდესი (70. ბერბატოვი).

**გოლები:** 0:1 რუნი (29), 1:1 დავიდ ლიუზი (54), 2:1 ლემპარდი (79-პენ)

**გაფრთხილება:** რამირესი, დავიდ ლუიზი, ესიენი - ვიდიჩი, გიგზი

**გაძევება:** ვიდიჩი (90)

**კუთხური:** 10-2; **ჯარიმა:** 10-14; **კარში დარტყმა:** 20-9 (7-2); **თამაშგარე:** 1-2; **ბურთის ფლობა:** 45%-55%

**მაყურებელი:** 41825

ლონდონის „სტემფორდ ბრიჯიდან“ მთელმა მსოფლიომ ნამდვილად ის ნახა, რასაც ელოდა: ჩინებული სანახაობა, სადავო მომენტები, ვნებათაღელვა, ცალკეულ მოთამაშეთა გამორჩეული თამაში, სამი გოლი, მეკარეთა დიდებული თამაში და სხვა. მოკლედ, ყველაფერი, რაც ფეხბურთს ამშვენებს. საბოლოოდ „ჩელსიმ“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ 2:1 მოუგო (მანჩესტერელებს ამ სტადიონზე წარმატებისთვის 2002 წლის მერე არ მიუღწევიათ) და მეხუთედან მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა, „იუნაიტედი“ კი, მართალია, კვლავ ლიდერად დარჩა, მაგრამ თუ აქამდე კარგა ხნის განმავლობაში „არსენალთან“ შედარებით ხან ორი და ხანაც ერთი თამაში ჰქონდა მარაგში, დღეს პირიქით, „მეთოფეებზე“ ერთით მეტი აქვს ნათამაშები.

ზემოთ რამდენიმე სადავო მომენტი ვახსენეთ. ვფიქრობთ, ნანახი თამაშის მომენტების აღწერას მათი გახსენება სჯობს. ასეთი ალბათ სამი იყო: **ჯონ ტერის** ხელი პირველ ტაიმში, **დავიდ ლუიზის** მიერ უბურთო **უეინ რუნის** წაქცევა (ეგრეთ წოდებული ტაქტიკური ჯარიმა, რომელიც ბრაზილიელმა მთელი მსოფლიოს დასანახად „აიკიდა“) და **იური ჟირკოვის** პენალტი. ტერის ეპიზოდს მსაჯი **მარტინ ატკინსონი** კარგად ხედავდა და, ვფიქრობთ, „ჩელსის“ კარში პენალტი რომ არ დანიშნა კი არ შეცდა, არამედ, სრულიად შეგნებულად მოიქცა ისე, როგორც ჩათვალა საჭიროდ — ტერი ხელს ვერსად წაიღებდა. ეს ის შემთხვევა იყო, როდესაც ხელი კი არ ულობავს ბურთს გზას, არამედ ბურთი ხვდება ხელს. ლუიზი კი, რასაკვირველია, გასაძევებელი იყო. ტაქტიკურ ჯარიმებს, რასაკვირველია, ყველა გუნდის ფეხბურთელები მისდევენ. თუნდაც „იუნაიტედის“ ცენტრალური მცველის **ნემანია ვიდიჩის** პირველი ყვითელი გავიხსენოთ: სერბმა სრულიად შეგნებულად გამოსდო მეტოქეს სარმა — ბურთი უკვე სხვაგან იყო — მაგრამ ლუიზს მაინც მეტისმეტი მოუვიდა. ბარემ აქვე დავძენთ, რომ ჩვენი აზრით ეს მცველები, ვიდიჩი და ლუიზი, **ბრანისლავ ივანოვიჩთან** ერთად, გამორჩევით კარგად თამაშობდნენ. შეგახსენებთ, რომ ლუიზმა გოლიც გაიტანა, ანგარიში გაათანაბრა და ბევრმა გადაცემამ თუ გამოცემამ მატჩის საუკეთესო მოთამაშედაც დაასახელა.

რაც შეეხება პენალტის ეპიზოდს... კონტაქტი ალბათ იყო, მაგრამ ეგეთი პენალტები ბევრჯერ არ დანიშნულა. მოკლედ, რას გაიგებ... მსაჯია და გუნება.

მატჩის შემდეგ „ჩელსის“ თავკაცმა **კარლო ანჩელოტიმ** თქვა: *„კარგად ვითამაშეთ. ეს იყო ძნელი მატჩი იმ გუნდის წინააღმდეგ, რომელმაც მართლა შესანიშნავი ფეხბურთი აჩვენა. პირველ ტაიმში იყო პერიოდი, როდესაც „მანჩესტერმა“ მეტისმეტად ლაღი თამაში გაახურა და ჩვენ გაგვიჭირდა, მაგრამ შესვენების შემდეგ ვიყოჩაღეთ. არც ლონე დავაკელით, არც სიმძლავრე და არც ინტენსიურობა“.*

„მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცი სერ **ალექს ფერგიუსონი**: *„პირველი გოლის დროს ჩვენი დაცვა უხეშად შეცდა. ცუდი იყო, რომ წავაგეთ. ჩვენს კარში დანიშნული პენალტიც მეტად საეჭვო იყო, მაგრამ ზოგადად ნამდვილად კარგად ვითამაშეთ. ასეთი ფეხბურთით წაგებას არ ვიმსახურებდით. ვამაყობ ჩემი ფეხბურთელებით“.*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 28 | 17 | 9 | 2 | 62-27 | 60 |
| 2. არსენალი | 27 | 17 | 5 | 5 | 57-27 | 56 |
| 3. სიტი | 28 | 14 | 8 | 6 | 44-25 | 50 |
| 4. ჩელსი | 27 | 14 | 6 | 7 | 48-23 | 48 |
| 5. ტოტენჰემი | 27 | 13 | 8 | 6 | 38-31 | 47 |
| 6. ლივერპული | 28 | 11 | 6 | 11 | 36-35 | 39 |
| 7. ბოლტონი | 28 | 9 | 10 | 9 | 39-38 | 37 |
| 8. სანდერლენდი | 28 | 9 | 10 | 9 | 33-35 | 37 |
| 9. ნიუკასლი | 28 | 9 | 9 | 10 | 43-39 | 36 |
| 10. სტოკი | 28 | 10 | 4 | 14 | 32-33 | 34 |
| 11. ევერტონი | 27 | 7 | 12 | 8 | 35-36 | 33 |
| 12. ასტონ ვილა | 28 | 8 | 9 | 11 | 35-47 | 33 |
| 13. ფულჰემი | 28 | 6 | 14 | 8 | 29-29 | 32 |
| 14. ბლექბერნი | 28 | 9 | 5 | 14 | 35-46 | 32 |
| 15. ბლექპული | 28 | 9 | 5 | 14 | 42-55 | 32 |
| 16. ბირმინგემი | 26 | 6 | 12 | 8 | 25-35 | 30 |
| 17. ვესტ ბრომვიჩი | 28 | 7 | 8 | 13 | 36-53 | 29 |
| 18. ვულვზი | 28 | 8 | 4 | 16 | 31-46 | 28 |
| 19. ვესტ ჰემი | 28 | 6 | 10 | 12 | 33-49 | 28 |
| 20. უიგანი | 28 | 5 | 12 | 11 | 27-49 | 27 |

**ილია ბაბუნაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა

# მინსკში იკრიბებიან

ამ დღეებში ქართველი მოჭიდავეები ორ ეტაპად დაადგნენ მინსკის გზას - ბერძენ-რომაელები ნუხელ გაფრინდნენ იქ, თავისუფალი სტილით მოჭიდავეები კი გამთენიისას წავლენ. ჩვენი გუნდების ასე დამდურებულივით ცალ-ცალკე გამგზავრება იქნებ გაიკვირვოთ კიდეც, მაგრამ ორივეს განსხვავებული მიზანი აქვს, მზადების საკუთარი გეგმა და ამიტომ წავიდნენ ასე - ბერძენ-რომაელები შეკრებაზე მიდიან, „თავისუფლები" - **ალექსანდრ მედვედის** სახელობის საერთაშორისო ტურნირში საჭიდაოდ.

ბერძენ-რომაელები გუშინ დილით ჩამოფრინდნენ ბულგარული ბურგასიდან, სადაც ნიკოლა პეტროვის მემორიალში 1 ვერცხლი და 4 ბრინჯაო მოიპოვეს. შეგახსენებთ: ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა **მანუჩარ კვირკველიამ** (74) მხოლოდ ფინალური შეხვედრა წააგო, **ანტონ მამაგეიშვილი, არჩილ თურმანიძე** (ორივე - 66), ევროპის პრიზიორი **სოსო ჯაბიძე** (84) და მძიმეწონოსანი **დიმიტრი ჯავახიშვილი** კი მესამე პრიზიორები გახდნენ. ბულგარეთიდან დაბრუნებული გუნდი თბილისში ახალი ძალებით შეივსო და ლამის შეუსვენებლად გადაფრინდა მინსკში, სადაც „სტაიკების" ოლიმპიურ ბაზაზე ორკვირიან შეკრებას გაივლის. ეს იქნება ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების ბოლოსწინა ეტაპი. ნაკრების თავკაცმა **ბეგი დარჩიამ** იქ 15 ფალავანი, ანუ ყოველ წონაში 2-2 მოჭიდავე წაიყვანა. ისინი მინსკში 15 მარტამდე დარჩებიან და ერთობლივ ვარჯიშებში ჩაერთვებიან, მერე სამშობლოში დაბრუნდებიან და დასკვნით შეკრებას დუშეთში გაივლიან. დარჩია 3-4 აპრილს დორტმუნდში, ევროპის ჩემპიონატზე წასაყვან შემადგენლობასაც ამ შეკრებებზე დაასახელებს.

მედვედის სახელობის ტურნირი 4-5 მარტს ტარდება და მასში ჩვენი ნაკრები ასეთი შემადგენლობით გამოვა: **გივი დავიდოვი, გიორგი ედიშერაშვილი** (ორივე - 55), **დავით ბერძნიშვილი, გიორგი ბალიაშვილი, ბექა ლომთაძე** (60), **ილია ხუციშვილი** (66), **არჩილ ქიტიაშვილი, ირაკლი მარსაგიშვილი** (84), **ლერი ქეთიშვილი** (96), **გიორგი საკანდელიძე** (120).

მწვრთნელთა თავდაპირველი გადაწყვეტილებით, ამ ტურნირში ქუთაისელ **ლაშა ლომთაძეს** (55) უნდა ეჭიდავა, მაგრამ მან ათიოდ დღის წინ საქართველოს ახალგაზრდული პირველობაც მოიგო, ანუ იმ ნაკრების უმთავრესი ფავორიტიც გახდა და ახლა მისი მთავარი საზრუნავიც იქ წარმატებით გამოსვლაა. ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობამაც ამიტომ გაათავისუფლა მინსკის შეჯიბრებიდან, სანაცვლოდ კი სიაში მისივე ძმა ბექა ლომთაძე შეიყვანა, რომელიც უფროსებში საქართველოს ბრინჯაოს პრიზიორია. ის ტურნირი მისთვის პირველი სერიოზული შეჯიბრება იყო და ძალიან კარგი ჭიდაობით საყოველთაო ყურადღებაც მიიქცია. ქართველების კვალდაკვალ მან მოგვიანებით ჭიდაობის ყადრის კარგად მცოდნე ირანელებიც მოხიბლა. აღსანიშნავია, რომ ჯერ ესეც ახალგაზრდული ნაკრების წევრია და ის ირანული შეჯიბრებაც ამ ასაკში ჩატარდა, მაგრამ ძმისგან განსხვავებით, ბექამ ახალგაზრდებში საქართველოს პირველობის ფინალი **თენგიზ ჩოჩიშვილთან** წააგო და იმ ასაკში ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი შეუმცირდა. ამიტომ მინსკში გამოსვლა ახალგაზრდულ გეგმებში ხელს არ შეუშლის. პირიქით - დიდ გამოცდილებას შესძენს.

ვინაიდან მონაწილეობა შეზღუდული არაა, ჩვენებს გაფართოებული შემადგენლობა მიჰყავთ. 4 მარტს 55, 60, 66 და 74-ის ფალავნები იასპარეზებენ, დანარჩენები კი მეორე დღეს გავლენ საჭიდაოდ.

როგორც ხედავთ, ამ შემადგენლობაში ძირითადად სათადარიგო ფალავნები შედიან. მწვრთნელებმა შეგნებულად გააკეთეს მათზე აქცენტი - შანსს აძლევენ და ცდიან, ვინაიდან ლიდერები 29-30 მარტს დორტმუნდში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ კონტინენტის პირველობაზე ჩვენები ასეთი შემადგენლობით გამოვლენ: **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55), **მალხაზ ზარქუა** (60), **კობა კაკალაძე** (66), **დავით ხუციშვილი** (74), **დავით მარსაგიშვილი** (84), **ბელდუხ გავაშელიშვილი** (96), **დავით მოძმანაშვილი** (120).

ჩვენი სამარქაფო მოჭიდავეების მეორე ჯგუფი ცოტა მოგვიანებით - 19-20 მარტს დაღესტნურ მახაჩყალაში მსოფლიოს თასზე იჭიდავებს. ის გუნდური პრინციპით ტარდება და მონაწილეთა რაოდენობა ლიმიტირებულია. ამიტომ ჩვენები დაღესტანში უფრო შემჭიდროებული გუნდით წავლენ: **ბესარიონ გოჩაშვილი** (55), **მალხაზ ქურდიანი** (60), **შალვა მუზიაშვილი** (66), **გელა სალირაშვილი** (74), **ბექა ჭელიძე** (84), **დავით ქერაშვილი** (96), **გიორგი საკანდელიძე, ლევან ბერიანიძე** (120). აქ ერთ საყურადღებო მომენტს გავუსვამთ ხაზს - საკანდელიძე ორივე შეჯიბრებაში გამოვა, რაც მწვრთნელების მხრიდან ნდობის მაღალ ხარისხზე მიუთითებს. ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს პრიზიორი მართლაც ერთ-ერთი გამორჩეულია ამ თაობაში.

**ირაკლი თავაძე**

# რაც ფილა, ის - ჭიდაობაო

ყველაფერი უცნაური და გასაკვირი ჭიდაობაში უნდა მოხდეს, თუმცა რაც ბერი, ის - ერიო... კარგა ხანია ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია, რბილად რომ ვთქვათ, არაორდინარულ კანტორად იქცა და მისგან რაღაა გასაკვირი, მაგრამ გუშინ რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის მიერ გავრცელებული ინფორმაცია მაინც გამოირჩევა უცნაურობით - მახაჩყალაში, ზემოაღნიშნულ მსოფლიოს თასზე გაერთიანებული გუნდით გამოვლენ... ყაზახეთი და უნგრეთი! რომელიმე მათგანი მეზობელს რომ გაერთიანებოდა, კიდევ ჰო, მაგრამ სად უნგრეთი და სად ყაზახეთი. საკითხავია, ამ გაერთიანებულმა გუნდმა რომ გაიმარჯვოს, ორგანიზატორები ორ თასს დაამზადებენ და ცალ-ცალკე გაატანენ თუ ასტანა და ბუდაპეშტი მორიგეობით წაილებენ იმ ერთ თასს?

წინასწარი შეთანხმებით, გაერთიანებულ გუნდში უფრო მეტი კვოტა უნგრელებს ექნებათ - 4 კაცი 7-დან. თანაც, უფრო მძიმე წონებში, მჩატეები კი ყაზახებს ერგოთ. აზიელთაგან **დავლეტ ნიაზბეკოვი** (55), **დაურენ ჟუმაგაზიევი** (60) და **ლეონიდ სპირიდონოვი** (66) იჭიდავებენ, ევროპელთაგან - **გაბორ ჰატოში** (74), **იშტვან ვერები** (84), **გერეგელი კიში** (96) და **დანიელ ლიგეტი** (120). ამათგან ყველაზე ტიტულოვანები მსოფლიოს შარშანდელი მესამე პრიზიორი ჰატოში და შარშანწინდელი ბრინჯაოს მედალოსანი სპირიდონოვი არიან.

მახაჩყალაში წასაყვანი გუნდები ბულგარეთმა და უკრაინამაც დაასახელეს, თუმცა უკრაინელებთან მიმართებაში მორიგ საჭიდაო გაუგებრობას წავაწყდით. ბულგარელთა შორის **კრუმ ჩუჩუროვი** (55), **სტოიან ცონევი** (60), **ისმაილ რეჯეპი, ნიკოლაი კურტევი** (66), **ივან დელივერსკი, თეოდორ სტოევი** (74), **ლიუბენ ილიევი, მიროსლავ გერშევი** (84), **გიურაი ხამზიევი** (96) და **ბინჩო სტოიანოვი** (120) გამოვლენ. როგორც ვხედავთ, ბულგარელებს მთლიანად გადახალისებული გუნდი მიჰყავთ, რომელშიც ბევრია ნატურალიზებული ფალავანი. უკრაინის ღირსებას **იგორ ხავალჯი** (55), **იური ბალანდიუკი** (60), **სემიონ რადულოვი** (66), **დმიტრი კომისარი** (76), **ტარას დანკო** (84), **მიხაილ დოცენკო** (96) და **მურადინ კუკუშხოვი** (120) დაიცავენ. რამდენიმე ლიდერი მათაც აკლიათ, თუმცა მწყობრშია უმთავრესი ფავორიტი, ევროპის ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი ტარას დანკო. ეს შემადგენლობა რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის საიტმა გუშინწინ გამოაქვეყნა, იმავე დღეს კი ამ თემაზე უკრაინის ჭიდაობის ფედერაციამ აბსოლუტურად განსხვავებული ვერსია შემოგვთავაზა - მისი მიხედვით, მეზობელ ბელარუსში ვაჟთა ტურნირში მხოლოდ 4 ფალავანი გამოვა, რომელთა შორის ერთი ქართველიცაა: **ვასილი შუპტარი** (60), **როსტისლავ პერვაჩუკი** (66), **გია ჩიხლაძე** (74) და **ვიქტორ მუხა** (84). ცოტა გასაკვირი კია 7-კაციანი გუნდის ნაცვლად 4 მოჭიდავით წასვლა ამ ფორმატის შეჯიბრებაში - ეს ნამდვილად უაზრობაა, რადგან ყოველ მეტოქეს სამქულიან ფორას აძლევ. ამიტომ უფრო მართებული რუსული ვერსია გვგონია. რაც შეეხება ჩიხლაძეს, ბოლო წლებში ის ამ წონაში სულ უფრო ხშირად ჩნდება უკრაინელთა რიგებში. მან უკრაინის წლევანდელი პირველობა გამოტოვა, თუმცა ამ წონაში ისევ ქართველმა - **ჯამბულ ცოტაძემ** გაიმარჯვა.

**ირაკლი თავაძე**

სამთო თხილამურობა

# გელაშვილის მეექვსე

17 წლის **ჯაბა გელაშვილმა** ავსტრიასა და გერმანიაში იასპარეზა საერთაშორისო ტურნირებში იასპარეზა. ავსტრიულ გალშტერბერგში მან ორ გიგანტურ სლალომში 55-ე და 50-ე ადგილები დაიკავა. უკეთ გამოვიდა გელაშვილი გერმანულ გოიტშენის პირველ სუპერგიგანტში, სადაც მე-6 ადგილი დაიკავა (თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ახალგაზრდული ტურნირი იყო). მეორე სუპერგიგანტში ქართველმა 23-ე ადგილი იკმარა.

იტალიურ პასო ფურჩიაში ახალგაზრდულ ტურნირებში **ალექსი ბენიაიძე, დიმიტრი გედევანიშვილი** და **ნინო წიკლაური** წარუმატებლად გამოვიდნენ - ტრასა ვერ ჩაამთავრეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

პროფესიული კრივი



# ღვამიჩავას ორიდან ორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

25 თებერვალს 25 წლის **ლევან ღვამიჩავამ** (63,5 კგ) შოტლანდიურ ვიშოუში სარეიტინგო ბრძოლა გამართა. ჩვენებურმა ორ რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა წონაში უნგრელთა პირველი ნომერი **ლასლო კომჟატი**. ოლიმპიადის მონაწილე, რომელიც ამჟამად ირლანდიაში, ქალაქ კორკში ვარჯიშობს, პროფესიულ რინგზე თავს ორივე შეხვედრის ნოკაუტით მოგებით იწონებს, ის ხომ ახალი გადასულია სამოყვარულო კრივიდან პროფესიულში. ღვამიჩავა 19 მარტს დუბლინში იკრივებს, მისი მეტოქე ჯერ უცნობია.

მანამდე, 18 თებერვალს სლოვენიის დედაქალაქ ლუბლიანაში ორმა ჩვენებურმა იასპარეზა. მათგან ერთი, **სანდრო სიფროშვილი** ქვემძიმე წონაში მსოფლიოს ინტერნაციონალური ქამრისთვის (მსოფლიო კრივის ფედერაციის ვერსიით, WBF) იბრძოდა, მაგრამ 10-რაუნდიან ორთაბრძოლაში ქულებით დამარცხდა მასპინძელ **დენის შიმჩიჩთან**. ქვესაშუალოწონოსანმა **სერგო ვართანოვმა** კი მე-3 რაუნდში ნოკაუტით სომეხი **ჟეგისე ტოვმასიანი** დაამარცხა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სუმო

# კოკაი ოფიციალურად მეორე ლიგაშია



იაპონელთა მრავალსაუკუნოვან სპორტის სახეობას, სუმოს სკანდალური დროება უდგას. ზამთრის ბოლო დღეს ახალი რეიტინგ-ლისტი (ბანძუკე) უნდა გამოცხადებულიყო, მაგრამ მარტის ბაშო ჩაწყობილი შეხვედრების გამოაშკარავების გამო გაუქმებულია და აბა, ბანძუკე ვის რაღად სჭირდება. თუმცა ბანძუკე ჰაიამი-ჰიომ შეცვალა, რომელიც ნაწილობრივ ცვლის მას. ეს ცნობარი სუმოს ყველა კლუბს დაურიგდა და მომავალ რეიტინგამდე სუმოისტები მის მიხედვით მიიღებენ ხელფასებს.

ჰაიამი-ჰიო არ იყო მედიისთვის განკუთვნილი, თუმცა 21-ე საუკუნეში ძნელია (ალბათ, შეუძლებელიც) პრესას რამე გამოაპარო. ჩვენ კი უპირველესად, ჩვენებურთა ახალი რეიტინგით დავინტერესდით. როგორც მოსალოდნელი იყო, არაფერი სასიხარულო იმ ცნობარში არ წერია, იანვრის ბაშოზე ხომ სამივე ქართველმა უარყოფითი ბალანსით დაასრულა სუპერტურნირი: **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)** აღმოსავლეთის მე-2 მაეგაშირობიდან დასავლეთის მე-6 მაეგაშირობამდე ჩამოაქვეითეს, ხოლო **თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ)**, რომელიც სწორედ მე-6 მაეგაშირა იყო, მე-14 გახდა. **ლევან ცაგურია (კოკაი)** კი კარიერაში პირველად გავარდა უმაღლესი დივიზიონიდან და ძურიოს დივიზიონის მე-6 რიკიში გახდა. ნაღდი ბანძუკე 25 აპრილს გამოქვეყნდება, ნაცუ ბაშო (ზაფხულის სუპერტურნირი) კი 8-22 მაისს გაიმართება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ფიგურული ციგურაობა




# ერთადერთი, ისიც უკანასკნელი

ამ დღეებში კორეის ქალაქ განგნეუნგში მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი იმართება ფიგურულ ციგურაობაში. ამ შეჯიბრებაში საქართველოს სახელით ერთადერთი სპორტსმენი გამოდიოდა - 14 წლის **არმენ ალაიანი** (მწვრთნელი **მარინა ჯაფარიძე**). ფინალში სულ 30 მოციგურავეს უნდა ესასპარეზა, 16 მათგანი პირდაპირ დაუშვეს რეიტინგით, სხვები კი (სულ 27 მონაწილე) საკვალიფიკაციო რაუნდიდან ჩაებნენ მსოფლიოს ჩემპიონატში დარჩენილი 14 საგზურის მოსაპოვებლად. ბუნებრივია, დებიუტანტ არმენ ალაიანს შედეგს არც არავინ სთხოვდა, თუმცა, გულდასაწყვეტია, რომ ჩვენებურმა ბოლო, 26-ე ადგილი (ერთმა მონაწილეობა არ მიიღო) დაიკავა. არმენმა 51,40 ქულა მიიღო (2 დაცემებისთვის ჩამოაკლდა). ეს შედეგი შედარებით ახლოს იყო მალაიზიელი, თურქი და ტაილანდელი სპორტსმენის შედეგთან, თორემ საკვალიფიკაციო რაუნდის გამარჯვებულმა იაპონელმა **კეიჯი ტანაკამ** 2-ჯერ და მეტი ქულა დააგროვა (128,58).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ხელმოწერის მსურველთა საყურადღებოდ!

„ლელოზე" ხელმოწერის გასაფორმებლად ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ ჩვენი საგამომცემლო სახლის სააგენტოს ელვა.ჯი. სურვილის მიხედვით სააგენტოს წარმომადგენელი თავად მოგაკითხავთ ორგანიზაციაში ხელმოწერის ნებისმიერი რიცხვიდან გასაფორმებლად. გაზეთის დროული და უკლებლივ მოწოდება გარანტირებულია.

დარეკეთ: 38 26 73; 38 26 74 ელვა.ჯი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო და ევრობასკეტი დარჩა 182 დღე

# პასუხის პასუხი. საქართველო-რუსეთი

## რუსებისთვის რიგითი, ქართველებისთვის ჩემპიონატის მთავარი მატჩი

საქართველოში დიდი გამოხმაურება მოჰყვა გამოცემა sports.ru-ზე გამოქვეყნებულ ვრცელ ნაშრომს ჩვენი ნაკრების შესახებ. ამ სტატიას ერთგვარი პასუხი გასცა საქართველოს ნაკრების გამთამაშებელმა **გიორგი ცინცაძემ** (მისი ინტერვიუს ხილვის საშუალება ჩვენი გაზეთის მკითხველს თებერვლის შუა რიცხვებში ჰქონდა).

თავის მხრივ, რუსები არ დაცხრნენ და იმავე sports.ru-ში „პასუხის პასუხი" გამოაქვეყნეს, რომელსაც დაარქვეს „სამი კვირის წინანდელი ამბები". **კონსტანტინ კუჩერის** პუბლიკაციის თარგმანს აქვე გთავაზობთ:

„იანვრის ბოლოს ევრობასკეტის წილისყრა შედგა. ჩემი აზრით, ყველაზე უცნობი მეტოქე საქართველოს ნაკრებია. მისი გაცნობის შესახებ თავი მოვუყარე ვრცელ მასალას და გადავწყვიტე ჩემი შთაბეჭდილებები სტატიის სახით გადმომეცა. ვფიქრობ, კარგი მასალა გამომივიდა, თუმცა განსაკუთრებული აჟიოტაჟი არ მოჰყოლია - ინტერნეტ-ვერსიას ბევრი კომენტარი არ დართვია, არც პლუსებით შეუფასებია ბევრს. მივხვდი, რომ ასეთი ღრმა შინაარსის პუბლიკაციებისთვის დრო ჯერ არ მოსულა და გადავწყვიტე სხვა მეტოქეებზე ნაშრომის დაწერა შორეული მომავლისთვის გადამედო.

თუმცა, გარკვეული დროის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ამ სტატიამ რუსებზე მეტად ქართველები დააინტერესა. ერთ-ერთ ქართულ საიტზე ჩემი ნაშრომი მთლიანად იყო ნათარგმნი და რამდენიმე დღის განმავლობაში განსჯის მთავარ თემადაც ქცეულიყო. იმ საიტზე 100-ზე მეტი კომენტარიც იყო და, როგორც აღმოჩნდა საქართველოს ნაკრების კალათბურთელებსაც წაუკითხავთ. გიორგი ცინცაძემ ქართულ საიტზე გამოქვეყნებულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ არ ეთანხმება ჩემს რამდენიმე მოსაზრებას: არ მოეწონა, იმის წაკითხვა, რომ საქართველოს ნაკრებში სნაიპერთა ნაკლებობაა. არც იმას დაეთანხმა, სანიკიძეს ტექნიკაში გარკვეული წუნი რომ დავდე. ცინცაძე ასევე არ დაეთანხმა მისი თამაშის ჩემეულ რეცენზიას...

სამწუხაროდ, ქართული ენა არ ვიცი, ხოლო ინტერნეტში ნათარგმნის მიხედვით ვერ მივხვდი რა ტონალობაში ილაპარაკა საქართველოს ნაკრების კალათბურთელმა. არ დაგიმალავთ, ჩემთვის არანაკლებ საინტერესო იქაური გულშემატკივრების შეხედულებებია. ქართულ ინტერნეტსივრცეში ათასგვარი კომენტარი წავიკითხე, ზოგი მეთანხმება, ზოგი - არა.

ასეა თუ ისე, ამ მოვლენებიდან ერთი დასკვნა გამოვიტანე: ქვეყანაში, სადაც შიდა ჩემპიონატი სუსტია, კალათბურთისადმი ინტერესი უმაღლეს დონეზეა. შეიძლება მან აბსოლუტურ ციფრებში გაუწიოს კონკურენცია შიდარუსულ ინტერესს. ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ ამტკიცებს საქართველოსთან შორეული (1 სექტემბერსაა) მატჩის საშიშროებას. რუსეთისთვის ხომ ეს შეხვედრა ერთ-ერთი რიგითი იქნება... ქართველებისთვის კი - ჩემპიონატის მთავარი მოვლენა.

ძნელი იქნება..." - ოხრავს რუსი ავტორი.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ქართველი NBA-ში

# ფაჩულიას ოქროს კვეთა: ორჯერ 222

კალათბურთს ციფრები ძალიან „უყვარს". მოთამაშეთა სარგებლიანობა სწორედ რიცხვებით ფასდება. თუმცა, ამჯერად არ ვაპირებთ იმის მტკიცებას, რომ **ზაზა ფაჩულიამ** 22 წუთში 4 ქულა (2-დან 2 საჯარიმო, 3-დან 1 ორქულიანი), 7 მოხსნა და 2 დაფარება რომ მოაგროვა,



მარგი ქმედების კოეფიციენტით თანაგუნდელთა შორის საუკეთესო იყო. თუმცა, ფაქტია, რომ მაშინ, როცა ზაზა მოედანზე იყო, „ატლანტა" „დენვერს" წინ არ უშვებდა, მეოთხე პერიოდის დასრულებამდე 9:21 წუთით ადრე, ფაჩულიას სათადარიგოთა შორის დაბრუნებას „დენვერის" 10 ქულით დაწინაურება დაემთხვა. საბოლოოდ, კოლორადოელებმა „ატლანტა" სწორედ 10 ქულით დაამარცხეს - 100:90.

ჯორჯიელთა წაგების მთავარი მიზეზი ტრავმები იყო: გუნდს აკლდა დაშავებული გამთამაშებელი **კირკ ჰაინრიხი**, ხოლო პირველ ტაიმში მიღებული ტრავმის გამო მატჩი ვერ ჩაამთავრა ფორვარდმა **ჯოშ სმიტმა.**

ზემოთ მოგახსენეთ, ზაზამ 22 წუთში 2 საჯარიმო გამოიყენაო. სამი ორიანი კიდევ ორგან გვხვდება, ერთგვარ ოქროს კვეთასთან გვაქვს საქმე... მეტს არ აგაბნევთ, საინტერესო დამთხვევას წარმოგიდგენთ: ფაჩულიას „დენვერთან" მატჩის შემდეგ ამ სეზონში 222 ქულა და 222 მოხსნა მოუგროვდა. ცნობისთვის: ზაზამ 2009-10 წლების სეზონში 333 ქულა ჩააგდო. ვნახოთ, გააუმჯობესებს თუ არა ამ მაჩვენებელს მიმდინარე ჩემპიონატში.

მომდევნო მატჩს „ატლანტა" 2 მარტს შინ, თანაკონფერენციელ „ჩიკაგოსთან" ჩაატარებს.

**დენვერი-ატლანტა 100:90**

**ზაზა ფაჩულია:** 21:43 წუთი, 4 ქულა (3-დან 1 ორქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო), 7 მოხსნა, 2 დაფარება, 3 ფოლი, 2 შეცდომა

**ქრონოლოგია**

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 03:29 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 03:26 | შეცდომა: 1 |
| 01:49 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| **II პერიოდი** | |
| 11:16 | საჯარიმოები: 2/2 (2ქ, 29:21) |
| 10:59 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 10:42 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 09:44 | დაფარება: 1 (ჰარინგტონს დაუფარა) |
| 08:25 | ჰორფორდმა ზაზა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 11:05 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 09:23 | ფოლი: 1 |
| 07:09 | ფოლი: 2 |
| 04:56 | დაფარება: 2 (ნენეს დაუფარა) |
| 04:55 | მოხსნა: შეტ-1, დაც-3 |
| 01:44 | მოხსნა: შეტ-2, დაც-3 |
| 01:44 | ორქულიანი: 4ქ (68:65) |
| 01:23 | მოხსნა: შეტ-1, დაც-4 |
| **IV პერიოდი** | |
| 10:29 | მოხსნა: შეტ-2, დაც-5 |
| 10:16 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 09:21 | ფოლი: 3 |
| 09:21 | შეცდომა: 2 |
| 09:21 | ჯონსონმა ზაზა შეცვალა |

**ვაჟა სიმონიშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი. ქალები

# ლეგიონი რეგიონში

## ზესტაფონის ომახიანი სტარტი

ქუთაისში დაიწყო საქართველოს ქალთა ჩემპიონატი, რომელშიც 4 გუნდი მონაწილეობს. შეჯიბრება ტურობრივი სისტემით იმართება: გუნდები ერთ ქალაქში იკრიბებიან და სამ დღეში ყველა ყველას ეთამაშება. პირველი ტური, როგორც გითხარით, ქუთაისში გაიმართა.

საწყისი სამი მატჩის შემდეგ ბევრი საინტერესო სიახლე გამოჩნდა: ჩემპიონატის დებიუტანტი, „რუსთავი" მართალია საჩემპიონო ამბიციებით არ არის, მაგრამ კარგი გუნდია, რაც „ქუთაისის" ძლევითაც დაამტკიცა და „ზესტაფონთან" ღირსეული თამაშითაც.

აქვე უნდა ითქვას, რომ ქუთათურები წლეულს შედარებით შესუსტებული შემადგენლობით თამაშობენ, რაც სატურნირო ცხრილზე პირველივე ტურის შემდეგ აისახა.

საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი თსუ წლეულსაც პირველობისთვის იბრძოლებს. სტუდენტებმა ქუთაისში ორი მატჩი მოიგეს და ერთი დათმეს...

მოქმედ ჩემპიონს ქულები „ზესტაფონმა" აართვა, რომელშიც კარგი ქართველი კალათბურთელები და ლეგიონერები არიან შეკრებილნი. „ზესტაფონს" სეზონის წინ დაემატა სამი სომეხი კალათბურთელი: **ანა პეტროსიანი, ანი ბაგდოიანი** და **ასი მამიკონიანი.** ეს უკანასკნელი რუსეთის მოქალაქეა. მათ ევროტურნირებზე ასპარეზობის გამოცდილება აქვთ - შარშან „ერევნის" სახელით ევროპის თასზე თამაშობდნენ.

ასე და ამგვარად, პირველი ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილს სათავეში „ზესტაფონი" ჩაუდგა. მეორე ტური თბილისში მარტის შუაში გაიმართება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

**I ტური. ქუთაისი**

| მატჩი | ანგარიში |
|---|---|
| ქუთაისი-თსუ | 29:84 |
| 4:20, 11:17, 6:24, 8:23 | |
| ზესტაფონი-რუსთავი | 77:69 |
| 22:12, 11:15, 23:12, 21:30 | |
| ქუთაისი-რუსთავი | 34:52 |
| 8:21, 10:14, 9:5, 7:17 | |
| ზესტაფონი-თსუ | 63:57 |
| 13:13, 11:13, 19:15, 20:16 | |
| თსუ-რუსთავი | 56:43 |
| 7:11, 10:9, 21:12, 18:11 | |
| ქუთაისი-ზესტაფონი | 31:58 |
| 5:19, 0:17, 14:8, 12:14 | |

**სატურნირო ვითარება**

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ზესტაფონი | 3 | 3 | 0 | 198/157 | 6 |
| 2. თსუ | 3 | 2 | 1 | 197/135 | 5 |
| 3. რუსთავი | 3 | 1 | 2 | 164/170 | 4 |
| 4. ქუთაისი | 3 | 0 | 3 | 94/194 | 3 |

ფრენბურთი

ინტერვიუ ლევან ახვლედიანთან



# მფრინავი ბურთი - ქართული ფრენბურთის პანაცეა

შარშანდელი სეზონი ქართული ფრენბურთისთვის საკმაოდ დატვირთული გამოდგა. პლაჟბურთის წყვილებთან ერთად საერთაშორისო ასპარეზზე ქალთა და ვაჟ ფრენბურთელთა ნაკრებებმაც იასპარეზეს. მათი მიზანი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ღირსეულად ასპარეზობა იყო. წლეულს კი ორივე გუნდს (პლაჟბურთელებთან ერთად) 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიისთვის ბრძოლა მოუწევს. განვლილი სეზონის შეფასება და მომავლის გეგმებზე საუბარი საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ლევან ახვლედიანს** ვთხოვეთ:

- შარშანდელი სეზონი მოულოდნელად წარმატებული აღმოჩნდა ჩვენი პლაჟბურთელებისთვის. ორივე წყვილი, საქა-რთველო და გეორ-გიაც, მიუხედავად იმისა, რომ ლიცენზიების გაცემის სისტემა ძალიან გართულდა, რეიტინგში ისე მაღალ ადგილებზე იმყოფებიან, რომ ლონდონის საგზურის მოპოვების ძალიან კარგი შანსი აქვთ.

აღსანიშნავია, რომ ვაჟთა წყვილზე უკეთ ქალებმა იასპარეზეს, რასაც ნამდვილად არ ველოდით. სამწუხარო ისაა, რომ სეზონის ბოლოს უსახსრობის გამო მსოფლიო ტურის ორ დასკვნით ეტაპზე ვერ ვიასპარეზეთ, რის გამოც საკმაოდ ბევრი სარეიტინგო ქულა დავკარგეთ.

**- საქართველოს ქალთა და ვაჟთა ნაკრებებმა შარშან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში იასპარეზა. როგორ შეაფასებდით მათ მიერ ნაჩვენებ შედეგს?**

- მთავარი ისაა, რომ აუცილებელია ეს ორივე ნაკრები შევინარჩუნოთ. ჩვენი ქალთა გუნდი, რომელიც მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდულია შარშან გრანდებს ეთამაშა. როგორი საქმეა გამოუცდელი გოგონებისთვის საყოველთაოდ ცნობილი ნიკოლაი კარპოლის გაწვრთნილი ბელორუსის ნაკრებთან და ევროპის ელიტაში შემავალი აზერბაიჯანელთა გუნდის წინააღმდეგ თამაში. კარპოლი, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს იოლად გვიგებდნენ, მესამე სეტში ისე ანერვიულდა, რომ თავი ველარ შეიკავა და მისთვის დამახასიათებელი ყვირილი მორთო.

**- წლევანდელი სეზონი, შარშანდელზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანია...**

- დიახ, პლაჟბურთელებმა უკვე დიდი ხანია დაიწყეს მზადება. ბრაზილიაში მათთან ყოველდღიურად გვაქვს კონტაქტი. ვაკონტროლებთ მზადების მიმდინარეობას. გადასაწყვეტია მრავალი საორგანიზაციო საკითხები.

წლეულს მსოფლიო ტური აპრილიდან იწყება და ყველა ეტაპს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ამასთან 12-19 ივნისს იტალიის დედაქალაქ რომში ტარდება მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც ასპარეზობის უფლება ჩვენმა ორივე წყვილმა მოიპოვა. ამ შეჯიბრებაში წარმატებულ ასპარეზობას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან სხვა შეჯიბრებებთან შედარებით, ფრენბურთელებს მეტი სარეიტინგო ქულა ერიცხებათ. ამიტომ რომისთვის ჩვენი პლაჟბურთელები ფორმის პიკში უნდა იყვნენ.

**- ზემოთ ახსენეთ, რომ ოლიმპიადის ლიცენზიის გათამაშების სისტემა გართულდა. რა შეიცვალა?**

- ადრე თუ ლიცენზიას რეიტინგში 22 საუკეთესო იღებდა, ახლა 16 მიიღებს. კიდევ ხუთ ადგილი კონტინენტების ჩემპიონებს ერგებათ. ორი ლიცენზია სპეციალურ ტურნირში თამაშდება, რომელშიც სამწუხაროდ, უსახსრობის გამო ვერ ვასპარეზობთ. ერთ დარჩენილ საგზურს კი საერთაშორისო ფედერაცია მასპინძელ ქვეყანას აძლევს. ჩვენს წყვილებს ერთი შანსი აქვთ, რეიტიგში აუცილებლად საუკეთესო 16 გუნდს შორის უნდა მოხვდნენ.

**- კლასიკურ ფრენბურთში როდის გათამაშდება ლიცენზიები?**

- სალიცენზიო შესარჩევი ტურნირი აგვისტოში დაიწყება. წილისყრა კი აპრილში გაიმართება. აქ სერიოზული პრობლემები გვაქვს. როგორც ქალთა, ისე ვაჟთა გუნდს აუცილებლად სჭირდება თუნდაც ერთი საწვრთნელი შეკრება, რამდენიმე საკონტროლო შეხვედრა. სამწუხაროდ, საამისოდ ბიუჯეტში თანხა გათვალისწინებული არ არის. საწვრთნელი შეკრების გარეშე კი რაიმე სერიოზული მიზნისთვის ბრძოლა წარმოუდგენელია.

**- მოდი, სანაკრებო თემიდან საშინაოზე გადავიდეთ. საქართველოს ჩემპინატის პირველი წრე დასრულებულია...**

- საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე გუნდების გეოგრაფია ყოველთვის მრავალფეროვანი იყო, მაგრამ თუ აქამდე ქალთა შორის ჩემპიონობისთვის მხოლოდ დიდი ჯიხაიშის „ჯიკო" და თბილისის გუნდი იბრძოდნენ, ამჯერად მათ დავაში ბათუმელთა შესანიშნავი გუნდიც ჩაერთო. პირველი წრის შემდეგ სატურნირო ცხრილს სწორედ ბათუმელები ლიდერობენ.

მეორე წრე 4 აპრილს დაიწყება. ფინალები კი 7-8 მაისს ქუთაისში ან ოზურგეთში გაიმართება.

**- 2015 წელს თბილისში ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი ჩატარდება, რომლის პროგრამაში ფრენბურთიცაა. ამ შეჯიბრებაში, ცხადია, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებებიც იასპარეზებენ.**

- მზადება უკვე დავიწყეთ. მწვრთნელებს დავალებული აქვთ ჩაატარონ სელექცია შესაბამისი ასაკის ბავშვებში, რათა საუკეთესოები შევარჩიოთ და ოლიმპიურ ფესტივალზე კარგად მომზადებული გუნდებით წარვდგეთ. ვაპირებთ ამ ასაკის როგორც გოგონებს, ისე ვაჟებს შორის რამდენიმე ტურნირი ჩავატაროთ. გამორიცხული არ არის მათთან სამუშაოდ უცხოეთიდან მაღალკვალიფიციური მწვრთნელებიც მოვიწვიოთ.

ძალიან კარგ პროექტს ეყრება საფუძველი, რომელსაც საქართველოს ფრენბურთის ფედერაცია, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან და განათლების სამინისტროსთან ერთად განახორციელებს. „მფრინავი ბურთი" - ასე ერქმევა შეჯიბრებას, რომელიც სკოლებს შორის გაიმართება. ეს საშუალებას მოგვცემს ფრენბურთი პოპულარული გავხადოთ და რაც შეიძლება ბევრი ბავშვი ვაზიაროთ მას. ვფიქრობთ, საკმაოდ ბევრ ნიჭიერ მოზარდს აღმოვაჩენთ. თავად განსაჯეთ, საქართველოში ფრენბურთი 1 425 სკოლამ აირჩია, როგორც აუცილებელი სასწავლო საგანი.

**- საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული პრობლემა ინფრასტრუქტურაა.**

- დიახ, ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ თბილისში დგას. საბედნიეროდ, დედაქალაქის ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტ მამუკა ახვლედიანის დახმარებით დაგვიბრუნდა კიევის ქუჩზე მდებარე ფრენბურთის დარბაზი. იქ ქალაქის მერია კაპიტალურ რემონტს ატარებს და მალე შესანიშნავი სპორტული კომპლექსი გვექნება, სადაც ფრენბურთის თამაში 24 საათის განმავლობაში იქნება შესაძლებელი. ვფიქრობთ, საქართველოში ფრენბურთის შემდგომ განვითარებას ეს ფაქტი მნიშვნელოვნად წაადგება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჭადრაკი

# ელინას ვერ აჩერებენ



შვიდიდან 6,5 ქულა - ასეთი შედეგით განაგრძობს წინსვლას სომეხი დიდოსტატი **ელინა დანიელიანი** დოჰაში მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრანპრის გათამაშების ბოლო ეტაპზე. გუშინ მან ყატარის სახელით მოასპარეზე მსოფლიოს ექსჩემპიონ **ჟუ ჩენს** მოუგო 46-ე სვლაზე.

წარმატებით ითამაშებს ქართველმა დიდოსტატებმაც. **ნანა ძაგნიძეს** მხოლოდ 18 სვლა დასჭირდა ბულგარელი მსოფლიოს და ევროპის ექსჩემპიონის **ანტოანეტა სტეფანოვას** დასამარცხებლად, **მაია ჩიბურდანიძემ** კი ეკვადორელ **მარტა ფიეროს** 59-ე სვლაზე გააჩერებინა საათი. დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: **ბათჰუიაგ მონგონთუული** (მონგოლეთი)-**ჰამფი კონერუ** (ინდოეთი) 0:1, **მარი სებაგი** (საფრანგეთი)-**პია კრამლინგი** (შვედეთი) 1:0, **სიუ იუჰუა** (ჩინეთი)-**ლილით მკრტიჩიანი** (სომხეთი) 0:1.

შვიდი ტურის შემდეგ: დანიელიანი-6,5, სებაგი-5, კონერუ-4,5, კრამლინგი, ძაგნიძე-4-4, ჩიბურდანიძე-3,5, ფიერო, მკრტიჩიანი-3-3, მონგონთუული-2,5, სტეფანოვა, ჟუ ჩენი, სიუ იუჰუა-2-2ქულა;

დღეს მე-8 ტურში ითამაშებენ: ძაგნიძე-მკრტიჩიანი, ჟუ ჩენი-იუჰუა, კონერუ-დანიელიანი, ფიერო-მონგონთუული, კრამლინგი-ჩიბურდანიძე, სტეფანოვა-სებაგი.

**ვაჟა დანელია**

# ფიდეს რჩეულნი საგაზაფხულოდ

ტრადიციულად, ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ პირველი მარტისთვის საუკეთესო დიდოსტატთა რეიტინგ-ლისტი გამოაქვეყნა. როგორც გაუწყეთ, ჩვენთვის სასიამოვნო ცვლილებაა ქალთა პირველ ათეულში - **ნანა ძაგნიძემ** ბოლო ორ თვეში მიღწეული წარმატებებით საგრძნობლად მოიმატა რეიტინგი და 2567 პუნქტით მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა: რუს დებს - კოსინცევებს გადაასწრო. პირველ ადგილზე უცვლელად უნგრელი იუდით პოლგარია (2686), შემდეგ მოდიან: ჰამფი კონერუ (ინდოეთი, 2607), ჰოუ იფანი (ჩინეთი, 2602), ნანა ძაგნიძე (2567), ნადეჟდა კოსინცევა (2567), ტატიანა კოსინცევა (2559), კატერინა ლახნო (უკრაინა, 2531), ანა მუზიჩუკი (სლოვენია, 2528), ვიქტორია ჩმიტილე (ლიტვა, 2526), ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი, 2524). ასეულში ქართველები: 15. მაია ჩიბურდანიძე (2502), 29. ბელა ხოტენაშვილი (2465), 31. სალომე მელია (2462), 45. ლელა ჯავახიშვილი (2437), 46. ნინო ხურციძე (2436), 54, ნაზი პაიკიძე (2425), 58. სოფიკო ხუხაშვილი (2421), 69. ანა მათნაძე (2399), 83. თამარ წერეთელი (2379), 86. ნინო ბაციაშვილი (2376), 87. მაია ლომინეიშვილი (2376) ,89. ინგა ჭარხალაშვილი (2375), 100. ნონა გაფრინდაშვილი (2362).

ვაჟთა ასეულის მნიშვნელოვანი ცვლილება ის არის, რომ 2817 პუნქტით პირველ ადგილზე გადავიდა ინდოელი მსოფლიოს ჩემპიონი ვიშვანათან ანანდი. უწინდელი ლიდერი - ნორვეგიელი მაგნუს კარლსენი 2815 პუნქტით მეორეა. ათეულში შემდეგ მოდიან: ლევონ არონიანი (სომხეთი, 2808), ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2785), ვასილი ივანჩუკი (უკრაინა, 2779), სერგეი კარიაკინი (რუსეთი, 2776), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2775), ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2774), შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი, 2772), ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი, 2747). ქართველი დიდოსტატი ბაადურ ჯობავა 2707 პუნქტით ოცდამეჩვიდმეტეა. ასეულში სხვა არავინ გვყავს.

20-წლიან ვაჟთა ოცეულში ქართველთგან არავინაა, გოგონებში ნაზი პაიკიძე (2525) მე-6 ადგილზეა, სოფიკო გურამიშვილს (2334) კი მე-15 საფეხური უკავია.

**ვაჟა დანელია**

# ჩემპიონობა ვადამდე მოიპოვა

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დღეს დასრულდება 16 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა, თუმცა შეჯიბრების დამთავრებამდე ტურით ადრე გამოვლინდა ჩემპიონი ვაჟთა შორის. გუშინ **ირაკლი ბერაძემ** შავი ფიგურებით **ალექსანდრე ებრალიძესთან** პაექრობისას, ფაქტობრივად, წაგებული პარტია თავის სასარგებლოდ შემოატრიალა. მწვავე ცაიტნოტში სანდროს რამდენიმე სვლა გამორჩა, რაც საკმარისი გახდა, ბერაძეს 30-ე სვლაზე გათამაშების ცხრილში ზედიზედ მე-8 ქულა (!) ჩაეწერა. ჩემპიონი 15 წლისაა, გრიგოლ ხანძთელის სახელობის ეროვნული სკოლის მე-9 კლასში სწავლობს. 8 წელიწადია, ბრძენთა თამაშის საიდუმლოს ეუფლება საქართველოს დამსახურებული მწვრთნელების - **გივი გოგიჩაიშვილისა** და **ხვიჩა სუპატაშვილის** ხელმძღვანელობით. საქართველოს პირველობებზე სხვადასხვა ასაკში მეცხრედ მოიპოვა ოქროს მედალი. 2006 წელს თანატოლთა შორის მსოფლიოს პირველობაზე მეორე იყო, შარშან და შარშანწინ კი ევროპის პირველობებზე მეოთხე ადგილებს დასჯერდა. 16-წლიანებში ჩემპიონობით ამ ასაკში მსოფლიოს პირველობაზე თამაშის უფლება დაიმსახურა, ერთი თვის წინათ კი 18-წლიანებში დაიკავა II ადგილი, რითაც ევროპის პირველობის საგზური დაიბევა.



ირაკლი ბერაძე

გუშინ, გარდა ებრალიძე-ბერაძის პარტიისა, საინტერესო იყო კიდევ სამი ორთაბრძოლა, გაცნობებთ მათს შედეგებს: **გუგა ბურდული-რამაზ ენდელაძე** 1:0, **გიგლა ბენიძე-შალვა ნადირაშვილი** 0:1, **ნოე თუთისანი-ლეონტი ხუბუნაია** 1:0. ამდენად, ჩემპიონს 2-2 ქულით ჩამორჩებიან და მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ ნადირაშვილი და ბურდული, ხოლო თუთისანი, ენდელაძე და ებრალიძე 5,5-5,5 ქულით IV-VI ადგილებს ინაწილებენ. დღევანდელი ბოლო ტურის პარტიები, ალბათ, ამ ხუთეულს შორის გამოავლენს ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელთა ვინაობას.

შესაძლებელი იყო, გუშინ გოგონებშიც გამოვლენილიყო ჩემპიონი, მაგრამ ერთპიროვნულმა ლიდერმა **ლიკა კობეშავიძემ** დაძაბული პარტია **ნანი უნაფქოშვილთან** დათმო და მეწინავეობა მას გადააბარა. მე-8 ტურში ასევე წარმატებას მიაღწიეს **ანა კუჭავამ, ნატო იმნაძემ** და **მარიამ ჭოლაძემ,** რომლებმაც, შესაბამისად, **ანა შამათავას, დეა გოგიშვილსა** და **ნინო ხომერიკს** სძლიეს. ბოლო ტურის წინ კი სატურნირო მდგომარეობა ასეთია: უნაფქოშვილი-6,5, კობეშავიძე-6, იმნაძე, კუჭავა, ჭოლაძე-5,5-5,5, მაჭარაშვილი, ხომერიკი-5-5 ქულა.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

# ბენიძე ლიდერთა შორისაა



ირანულ მეშხედში გრძელდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 8 ქართველი დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი მონაწილეობს. მე-4 ტურში **დავით ბენიძემ მოჰამედ ხადემს** სძლია და უდანაკარგოდ ლიდერთა შორისაა. ჩვენებურთა დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: **დავით მაღალაშვილი-სერგეი ვოლკოვი** 0,5:0,5, **მოჰსენ შატბაფი-შოთა აზალაძე** 1:0, **ბაჩანა მორჩიაშვილი-მათიჯ სენებეკი** 0,5:0,5, **მაჯიდ ბახერი-მიხეილ მჭედლიშვილი** 0:1, **ემად ბანისადი-მერაბ გაგუნაშვილი** 0:1, **კონსტანტინე შანავა-ჰუსეინ ბაბაპური** 1:0, **მოჯთაფა ხოლასი-ივერი ჭილაძე** 0,5:0,5.

ოთხი ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით ბენიძესთან ერთად მეწინავეობენ ალექსანდრ მოისეენკო (უკრაინა), ეჰსან მაგჰამი ჩაემი (ირანი), სერგეი ტივიაკოვი (ჰოლანდია), ევგენი გლეიზეროვი, მიხაილ ულიბინი (ორივე-რუსეთი) და ტიგრან კოტანჯიანი (სომხეთი). ჩვენებურთა მონაგარი: მორჩიაშვილი, მაღალაშვილი-3,5-3,5, გაგუნაშვილი, შანავა, მჭედლიშვილი-3-3, ჭილაძე, აზალაძე-2,5-2,5 ქულა.

ლიდერთაგან მე-5 ტურში ითამაშებენ: გლეიზეროვი-მოისეენკო, ტივიაკოვი-ულიბინი, კოტანჯიანი-ჩაემი, ვოლკოვი-ბენიძე.

**ვაჟა დანელია**

ჯანმრთელობის ფასი რა არის...

„ლელოს" საკონსულტაციო დარბაზი

# სკოლიოზის გამოვლენა და მკურნალობა

## რჩევები მშობლებს, პედაგოგებს, ექიმებს...

ფიზიკური განვითარების დეფექტებს შორის ყველაზე ხშირად გვხვდება ხერხემლის გამრუდება, რომელიც უპირველეს ყოვლისა ნორმალური ტანდეგობის დარღვევას იწვევს.

ტანდეგობა ანუ ტანის სწორად დაჭერის უნარი ადვილად შეიძლება დაირღვეს ხერხემლის საგიტალური და ფრონტალური გამრუდების დროს. ხერხემლის გამრუდება სხეულის აგებულების ანომალიად ითვლება. საგიტალურ გამრუდებას მიეკუთვნება მრგვალი ზურგი, კიფოზი, ლორდოზი, ხოლო ხერხემლის გამრუდებას ფრონტალურ სიბრტყეში - სკოლიოზი. დადგენილია ისიც, რომ სკოლიოზს თან ახლავს გულსისხლძარღვთა, სასუნთქი სისტემის, ნერვ-კუნთოვანი აპარატის ფუნქციის დარღვევა, ფიზიკურ განვითარებაში ჩამორჩენა. ამას თან ერთვის ორგანიზმის საერთო ფუნქციური მდგომარეობის მოშლა.

სკოლიოზი საკმაოდ გავრცელებული დაავადებაა (განსაკუთრებით ხშირია იგი ბავშვთა ასაკში). ჩვენში სკოლიოზით და ტანადობის დარღვევით, ბოლო მონაცემებით დაავადებულია სკოლის ასაკის ბავშვთა 75 პროცენტი, რაც საგანგაშოა.

**დაავადების გამომწვევი მიზეზები.** ხერხემლის დეფორმაციას უკავშირებენ ენდოკრინული სისტემის ფუნქციური მდგომარეობის დარღვევას, რაც ბავშვებში არცთუ იშვიათად ვლინდება სქესობრივი მომწიფების პერიოდში.

სკოლიოზის განვითარებას ხელს უწყობს არასწორი ჯდომა, ტვირთის (ჩანთის) ცალი ხელით ტარება და სხვა. პროფილაქტიკა ადრეული ასაკიდანვე უნდა დავიწყოთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ბავშვის ფიზიკურ განვითარებაზე, მის სწორ აღზრდაზე, მოტორული ჩვევების (ჯდომა, დგომა, სიარული და სხვ.) სწორად ჩამოყალიბებაზე სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებსა და სკოლებში უნდა ვიზრუნოთ. ყურადღება უმთავრესად უნდა მიექცეს ბავშვთა ჰიგიენურ აღზრდას, მოტორული ჩვევების სწორად ჩამოყალიბებას, მასობრივ საექიმო შემოწმებას. სპეციალურ ვარჯიშებს როგორც მუცლისა და ზურგის კუნთებისთვის, ისე საერთოდ, სხეულის ტანდეგობის ჩამოყალიბებისათვის.

სასკოლო დაწესებულებებში სკოლიოზის თავიდან ასაცილებლად მერხი მოსწავლის სიმაღლის მიხედვით უნდა შეირჩეს. სკამის სიმაღლე უნდა უდრიდეს წვივის სიმაღლეს, სიგანე - თეძოების სიგრძეს. საზურგე უკან უნდა იხრებოდეს, ხოლო წელის მიდამოში ერთგვარად გამოზნექილი იყოს. მაგიდის სიმაღლე ჯდომის დროს იდაყვებს უნდა უსწორდებოდეს და მისი დახრილობის კუთხე 15 გრადუსს აღწევდეს.

სასწავლო წლის მანძილზე სასურველია მოსწავლეების გადანაცვლება ერთი რიგიდან მეორეში, რაც აუცილებელია სტატისტიკური მდგომარეობის შესაცვლელად. გაკვეთილის მსვლელობის პროცესში საჭიროა ჩატარდეს 3-4 წუთიანი ფიზკულტურული პაუზა. მასწავლებლებმა და მშობლებმა თვალყური უნდა ადევნონ, სწორად ზის თუ არა ბავშვი.

დაწყებითი კლასების მოსწავლეებმა ხელჩანთის ნაცვლად აუცილებლად ზურგჩანთა უნდა ატარონ.

აუცილებელია ჩატარდეს გამოკვლევები სკოლიოზის ან ტანდეგობის დარღვევის ადრეული ფორმების გამოსავლინებლად. ამ პათოლოგიის დროს მთავარი როლი ენიჭება სამკურნალო ფიზკულტურას და ორთოპედიულ ღონისძიებებს, ძირითადად - სამკურნალო-მაკორეგირებელ ტანვარჯიშს. მკურნალობამდე საჭიროა დადგინდეს, თანდაყოლილია სკოლიოზი თუ შეძენილი,

მნიშვნელოვანია დაკვირვება ქვემო კიდურებისა და ტერფის ფორმაზე.

ყურადღება უნდა მიექცეს ტანდეგობას, მუცლის პრესის კუნთების ფუნქციურ მდგომარეობას (შეწეულია, სწორი, გამობერილი თუ ჩამოშვებული). ეს ექიმს მიანიშნებს ავადმყოფის საერთო მდგომარეობაზე. რენტგენოგრაფია ავადმყოფს უტარდება დგომისა და წოლის დროს. ამ ხერხით შეიძლება დადგინდეს თანდაყოლილი და შეძენილი სკოლიოზის ეტიოლოგიის დიფერენცირება. გამოკვლევა ტარდება მკურნალობის დაწყების წინ, შემდეგ კი - ყოველ 3-6 თვეში ერთხელ.

ექიმი ადგენს სკოლიოზის ხარისხსა და ფორმას. პირველი ხარისხის სკოლიოზის ფუნქციური ფორმისათვის, დამახასიათებელია ხერხემლის გვერდითი გამრუდება და ტორსიოს (ხერხემლის შემობრუნება სვეტის გარშემო) დაწყებითი ნიშნები ძირითადად აღინიშნება გამრუდება ერთ მხარეს, კომპენსაციური გამრუდების გარეშე. ამ დროს ხერხემლის დახრის კუთხე რენტგენოლოგიურად უდრის 5-10 გრადუსს.

მეორე ხარისხის სკოლიოზის დროს შეინიშნება კომპენსაციური გამრუდება, ტორსისა და კუნთების კომპენსატორული ბალიში. ზურგის კუნთების აქტიური დაჭიმვის დროს ხერხემალი არ სწორდება და გამრუდების კუთხე რენტგენოლოგიურად 30 გრადუსს აღწევს.

მესამე ხარისხის სკოლიოზისთვის დამახასიათებელია ტორსის დამთავრება, ნეკნთა კუზის განვითარება; ცვლილებები ხერხემალში ფიქსირებულ ხასიათს იღებს და გამრუდების კუთხე რენტგენოლოგიურად 50 გრადუსამდეა.

თუ ხერხემლის გამრუდების კუთხე 50 გრადუსს აღემატება ამას მეოთხე ხარისხის სკოლიოზს უწოდებენ.

დიაგნოზის მიხედვით ავადმყოფს დაენიშნება მკურნალობის სათანადო მეთოდი.

**P.S.** საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის კომიტეტის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭომ შეიმუშავა „საქართველოში ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განათლებისა და სპორტში მასობრივად ჩაბმის ერთიანი ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პროექტი", რომლის რეალიზება პირდაპირ კავშირშია პრობლემასთან, რომელსაც ზემოთ გავეცანით.







ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები


ბურთით დიმიტრი ბასილაია

# ორმა ლიდერობა განიმტკიცა, ორი გადაიდო

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, მეორე დივიზიონში 22 ტურის შეხვედრები გაიმართა. ლიდერმა **გურამ კავთიძის** „ლიონმა“ სატურნირო ცხრილში პირველი ადგილი შეინარჩუნა და რეგულარული გათამაშების დასრულებამდე 8 ტურით ადრე, მეორეადგილოსან „ალბის“ 8 ქულით უსწრებს.

„ლიონი“ შინ ეთამაშა უმოტივაციო „ორიაკს“ და იოლად 33:8 მოუგო. კავთიძე განაცხადში არ იყო. პლეი ოფში მოხვედრისთვის იბრძვის **გიორგი მენაბდიშვილის** „გრენობლი“, რომელმაც სტუმრად ფრედ ითამაშა „კოლომიესთან“ - 22:22. „ალპელებს“ ახლა 65 ქულა აქვს და მესამე ადგილზე არიან. მენაბდიშვილს არ უთამაშია.

**მამუკა მაგრაქველიძისა** და **ირაკლი მირცხულავას** „ტარბმა“ სტუმრად უძნელეს ბრძოლაში დაამარცხა „პო“ - 27:24 და საგრძნობლად გამოისწორა სატურნირო მდგომარეობა. ტარბელები 54 ქულით მე-6 ადგილზე არიან და პლეი ოფში თამაშის შანსს ინარჩუნებენ. მაგრაქველიძე 52-ე წუთზე შეცვალეს. მირცხულავა განაცხადში არ იყო.

**II დივიზიონი**

პო-ტარბი 24:27, კარკასონი-ნარბონი 39:5, ლიონი-ორიაკი 33:8, ალბი-ბორდო 27:8, სენტ ეტიენი-მონ დე მარსანი 10:31, ექსი-დაქსი 28:13, ოიონაქსი-ოში 15:12, კოლომიე-გრენობლი 22:22.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ლიონი - 77 ქულა, 2. ალბი - 69, 3. გრენობლი - 65, 4. ბორდო - 60, 5. მონ დე მარსანი - 60, 6. ტარბი - 54, 7. კარკასონი - 54, 8. ოიონაქსი - 53, 9. ოში - 52, 10. პო - 52, 11. ორიაკი - 50, 12. ნარბონი - 43, 13. ექსი - 40, 14. კოლომიე - 39, 15. დაქსი - 37, 16. სენტ ეტიენი - 13.

ფედერალ 1 დივიზიონში ქართველ მორაგბეთა სამი გუნდიდან, რომლებიც ლიდერები არიან, ორის, „პერიგოსა“ და „მონტობანის“ შეხვედრები გადაიდო.

A ჯგუფში **შალვა სუთიაშვილის, სანდრო ესაკია, დავით აშვეთიასა** და **არჩილ კობაურის** „მასიმ“ სტუმრად წააგო „დიჟონთან“ - 19:23, თუმცა ლიდერობას მაინც ინარჩუნებს. ქართველ მორაგბეებს თამაშში მონაწილეობა არ მიუღიათ.

პლეი ოფში თამაშისთვის მებრძოლი **ელიზბარ ყუფარაძისა** და **დევი დადუნაშვილის** „მონლუსონმა“ შინ მოუგო ავთანდილ კოპალიანის „ორლეანს“ - 32:12. ყუფარაძე თამაშში 45-ე წუთიდან ჩაერთო, ოპალიანს და დადუნაშვილს არ უთამაშიათ.

**ირაკლი მაჩხანელის, ბესო უდესიანისა** და **შოთა მელიქიძის** „მაკონი“ სტუმრად დამარცხდა „ნევერთან“ - 14:23. უდესიანი ტრავმირებულია, მაჩხანელმა ეროვნულ ნაკრებში ითამაშა, მელიქიძე განაცხადში არ იყო.

**A ჯგუფი**

სურესნე-სტრასბური 13:23, დიჟონი-მასი 23:19, მონლუსონი-ორლეანი 32:12, ბობინი-სერჟ პონტუაზი 41:14, ნევერი-მაკონი 23:14, ბურგ ან ბრესი-ანესი 34:12

**სატურნირო მდგომარეობა**

1. მასი - 74 ქულა, 2. ბობინი - 62, 3. ბურგ ან ბრსი - 57, 4. მონლუსონი - 56, 5. დიჟონი - 52, 6. ნევერი - 41, 7. ორლეანი - 39, 8. მაკონი - 35, 9. სტრასბური - 25, 10. ანესი - 24, 11. სურესნე - 13, 12. სერჟ პონტუაზი - 11.

B ჯგუფში ლიდერმა **ლაშა მალალურაძისა** და **გიორგი მჭედლიშვილის** „ბეზიემ“ შინ დაამარცხა მესამეადგილოსანი „ბლანიაკი“ - 31:16. მალალურაძემ საქართველოს ნაკრებში ითამაშა, მჭედლიშვილი განაცხადში არ იყო.

„ბეზიეს“ ახლა 60 ქულა აქვს და 13 ქულით უსწრებს მეორეადგილოსან **გიორგი ნემსაძის** „მონტობანს“, რომლის დაპირისპირებაც სტუმრად „რომანთან“ გადაიდო.

**გია ლაბაძისა** და **რეზო ბელქანიას** „ლა სეინმა“ შინ გაანადგურა **დიმიტრი ბასილაიას** და **ნიკოლოზ მალალდაძის** „ობენა“ - 78:3. ლაბაძე ტრავმირებულია, ბელქანია განაცხადში არ იყო, ბასილაიამ სრულად ითამაშა, მალალდაძე 63-ე წუთზე შეცვალეს.

**დავით კაჭარავას** „ნიცამ“ დაძაბულ ბრძოლაში შინ მოუგო „ვალანსს“ 18:16 და 47 ქულით მე-4 ადგილზეა. კაჭარავამ „ბორჯღალოსანთა“ რიგებში ითამაშა.

**გიორგი კუთარაშვილის** „შატორენარმა“ შინ მოუგო **ირაკლი გიორგაძის** „ლავორს“ - 22:15. კუთარაშვლმა თავიდან ბოლომდე ითამაშა, გიორგაძე განაცხადში არ იყო.

**B ჯგუფი**

ბეზიე-ბლანიაკი 31:16, ლა სეინი-ობენა 78:3, გროლე-გრასი 21:8, შატორენარი-ლავორი 22:15, ნიცა-ვალანსი 18:16, რომანი-მონტობანი (გადაიდო).

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ბეზიე - 60 ქულა, 2. მონტობანი - 47, 3. ბლანიაკი - 47, 4. ნიცა - 47, 5. ვალანსი - 43, 6. ლა სეინი - 40, 7. ლავორი - 40, 8. შატორენარი - 39, 9. რომანი - 37, 10. გროლე - 35, 11. ობენა - 32, 12. გრასი - 17.

C ჯგუფში გათამაშების ლიდერის **თედო ზიბზიბაძის, ალექსანდრე მარგველაშვილის, ირაკლი ნინიძისა** და **დავით დადუნაშვილის** „პერიგოს“ გასვლითი შეხვედრა „ლანჟონისთან“ გადაიდო.

**ვახტანგ მაისურაძის** „სენ ნაზერმა“ სტუმრად მოიგო „ტურთან“ - 21:16. მაისურაძემ ეროვნულ ნაკრებში ითამაშა.

**ირაკლი გუნდიშვილისა** და **შოთა საყვარელიძის** „ნიორმა“ სტუმრად წააგო დიდი ანგარიშით ერთ-ერთ ლიდერ „ლიმოჟთან“ 8:53. გუნდიშვილმა სრულად ითამაშა, საყვარელიძე თამაშში 45-ე წუთიდან ჩაერთო.

**C ჯგუფი**

რიბერაკი-სენ ჟუნიენი 19:6, პაი დუ მედოკი-მარმანდი 17:25, ტური-სენ ნაზერი 16:21, ვანი-სენ მედარი 19:9, ლიმოჟი-ნიორი 53:8, ლანჟონი-პერიგო (გადაიდო)

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ლიმოჟი - 72 ქულა, 2. პერიგო - 69, 3. ვანი - 65, 4. მარმანდი - 56, 5. სენ ნაზერი - 48, 6. სენ მედარი - 46, 7. ლანჟონი - 45, 8. სენ ჟუნიენი - 38, 9. რიბერაკი - 28, 10. პაი დუ მედოკი - 19, 11. ნიორი -14, 12. ტური - 9.

D ჯგუფში **მერაბ კვირიკაშვილის, ლევან დათუნაშვილის, ბექა ურჯუკაშვილის, რეზო გიგაურისა** და **დავით ბალანჩივაძის** „ფიჟაკი“ სტუმრად დამარცხდა „სენ ჟან დე ლუზთან“ - 20:35. გიგაურმა სრულად ითამაშა, ბალანჩივაძე მოედანზე 51-ე წუთიდან გამოჩნდა, კვირიკაშვილი, ურჯუკაშვილი და დათუნაშვილი საქართველოს ნაკრებში გაისარჯნენ.

სტუმრად წააგო კაორთან **კარლენ ასეიშვილის** „ორტეზმაც“ - 3:14. ასეიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 33-ე წუთზე შეცვალეს.

**D ჯგუფი**

მორლაა-ლანამეზანი 14:16, ოლორონი-მოლეონი 25:11, სენ ჟან დე ლუზი-ფიჟაკი 35:20, კაორი-ორტეზი 14:3, ლურდი-ლილი 25:29, კასტანე-ტიროსი (გადაიდო).

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტიროსი - 71 ქულა, 2. ლილი - 59, 3. კასტანე - 58, 4. ლანამეზანი - 58, 5. ოლორონი - 49, 6. სენ ჟან დე ლუზი - 48, 7. მორლაა - 43, 8. ლურდი - 40, 9. მოლეონი - 40, 10. ტურნეფორი - 35, 11. ფიჟაკი - 31, 12. კაორი - 31, 13. ორტეზი - 21.

**ბესიკ ჯანგავაძე**

სპორტის უჯინარი მსახურნი

# ბორჯღალოსნები სამშენებლო ბუმში

**ქართულმა რაგბიმ უმთავრესი პრობლემის მოედნების არქონის მიუხედავად არაერთგზის გვასახელა. შედეგად, სახელმწიფომ სპორტის ამ სახეობის განვითარებაზე ზრუნვა დაიწყო. შეიქმნა ორწლიანი პროგრამა, რომლის ფარგლებშიც თბილისსა და საქართველოს თითქმის ყველა დიდ ქალაქში რაგბისთვის სავარჯიშო და სათამაშო მოედნები მოეწყობა. ბაზებზე ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობას სააქციო საზოგადოება „ქართუ ჯგუფი“ და საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“ ერთობლივად განახორციელებენ.**

**რაგბის განვითარების ორწლიან პროგრამაზე სასაუბროდ რაგბის კავშირის ინფრასტრუქტურის კომიტეტის თავმჯდომარე მერაბ აბდუშელიშვილს ვესტუმრეთ.**

„წლების წინ რაგბის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდში ვთამაშობდი. ერთხანს „შევარდენისა“ და რაგბის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელადაც ვიმუშავე. 1995 წლიდან რაგბის კავშირში ვმუშაობ. ბოლო წლებია, რაც ინფრასტრუქტურის კომიტეტს ვხელმძღვანელობ. 40 წელიწადია სპორტის ამ სახეობას ვემსახურები“.

## მიწის ნაგლეჯზე

მოედნების არარსებობის გამო ქართველი მორაგბეები სპორტის სხვა სახეობისთვის განკუთვნილ მოედნებსა თუ სავარჯიშო ბაზებს ეხიზნებოდნენ. ისევ მერაბ აბდუშელიშვილს მოვუსმინოთ: *„რამდენიმე წლის წინათ რაგბის კავშირის საკუთრებაში მიწის ნაგლეჯიც კი არ იყო. ქართული რაგბის უმთავრესი პრობლემის მოედნების არქონის გამო ხშირ შემთხვევაში ბიჭები ცუდ პირობებში ვარჯიშობდნენ. საბედნიეროდ, არსებობს ხალხი, რომელთაც ჩვენი დახმარება უნდათ. შვიდკაცა რაგბი ოლიმპიური სპორტის სახეობად ჯერ კიდევ არ მოიაზრებოდა, როდესაც „ქართუ ჯგუფმა“ დახმარება შემოგვთავაზა. დღეს სახელმწიფოს მიერ შემუშავებული რაგბის განვითარების ორწლიანი პროგრამა არსებობს. თბილისში იგეგმება თორმეტი სავარჯიშო და სათამაშო მოედნის მოწყობა. თუმცა ეს ყველაფერი არ არის, ამავდროულად ეტაპობრივად მშენებლობები დაიწყება თითქმის ყველა დიდ ქალაქში“.*

## აქილევსის ქუსლი

*„90-იან წლების საქართველოში რაგბის ეროვნული ნაკრები უმეტესად „ლოკომოტივის“ სტადიონზე ვარჯიშობდა. ერთ დღესაც რკინიგზის ხელმძღვანელობამ მოედანზე ვარჯიში კატეგორიულად აგვიკრძალა. სავარჯიშოდ ძალით შევიჭერით. მეორე დღეს ბიჭებს მოედანი დატბორილი დახვდათ, მომსახურე პერსონალს ღამით მოედანზე წყალი გაეშვათ. ნაკრების მწვრთნელი, გურამ მოდებაძე, შეგირდებს ვაკის საცურაო აუზის წინ ასფალტიან მოედანზე ავარჯიშებდა, როდესაც ახალგაზრდა ჟურნალისტი მოვიდა, რომელიც რაგბიში ვერ ერკვეოდა, თუმცა სპორტის ამ სახეობაზე მასალა უნდა მოემზადებინა. იმ პერიოდში სულ მოედნებზე ვწუწუნებდით. მორაგბეების შემხედვარე ჟურნალისტმა გაკვირვებულმა იკითხა, ასფალტზე რატომ ვარჯიშობთო. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მობეზრებული გვქონდა, თუმცა იუმორნარევი პასუხი დავუბრუნეთ.*

*- ასფალტზე ვარჯიშისას მორაგბეებს ფეხის ქუსლები უმაგრდებათო“, - გაიხსენა მერაბმა.*

## „შევარდენზე“ დადებული ლელო

პროგრამის ფარგლებში რაგბის კავშირს გადაეცა „შევარდენის“ კომპლექსი, რომელიც თითქმის დასრულებულია. მასზე, როგორც ახალგაზრდული, ისე ეროვნული ნაკრებები ივარჯიშებენ. აქვე ფუნქციონირებს სარაგბო აკადემია, ხოლო ბაზის კუთვნილი სასტუმროს მშენებლობა მაისში დასრულდება. მორაგბეების განკარგულებაშია ბუნებრივ და ხელოვნურსაფრიანი მოედნები, სატრენაჟორო დარბაზი და შვიდი გასახდელი. მორაგბე გოგონებისთვის ცალკე გამოიყო საშხაპე-გასახდელები. „შევარდენის“ კომპლექსის მსგავსად ანალოგიური პირობები შეიქმნა ავჭალაში ყოფილი „სიახლის“ მოედნებზე.

## სკოლები და მოსწავლეები

მერაბ აბდუშელიშვილი: *„ის, რომ სკოლებში სპორტის გაკვეთილები შეიტანეს, არა მარტო რაგბის, სპორტის ყველა სახეობის განვითარებას შეუწყობს ხელს. სკოლებში სპორტის სახეობები არჩევითაა, ბევრმა სკოლამ უპირატესობა რაგბის მიანიჭა. დიდ დიღომში, 186-ე საჯარო სკოლასთან ახლოს, სარაგბო კომპლექსი აშენდება და სკოლის აღსაზრდელებს შესაძლებლობა ექნებათ იქვე ივარჯიშონ. ავჭალაში 54-ე საჯარო სკოლის ხელმძღვანელობამ რაგბზე გააკეთა არჩევანი, ჩვენც მზად ვართ ბავშვებს რაგბი უსასყიდლოდ შევასწავლოთ“.*

## მოედნები მომავლიდან

*სახელმწიფოს ხელშეწყობით და სააქციო საზოგადოება „ქართუ ჯგუფისა“ და საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ ფინანსური მხარდაჭერით თბილისში ავჭალისა და „შევარდენის“ სავარჯიშო მოედნების გარდა დიღომში „ლოკომოტივის“ ბაზაზე მოწესრიგდა და დამონტაჟდა წყლისა და კანალიზაციის მილები, ნაწილობრივ გამოიცვალა მოედნის საფარი. მას შემდეგ, რაც ბაზის კუთვნილ შენობაში მცხოვრებ ლტოლვილებს სახელმწიფო საცხოვრებელი ფართით დააკმაყოფილებს, სავარჯიშო კომპლექსის კეთილმოწყობაც დაიწყება. დიდ დიღომში ხელოვნურ და ბუნებრივსაფრიანი მოედნები მოეწყობა. ამავდროულად შუამთის ქუჩაზე, „ლელოს“ მოედანზე გამოიცვალა მინდორი და დაზიანებული სარწყავი სისტემა. ნუცუბიძის IV მიკრორაიონის სარაგბო მოედნებზე მთავარ პრობლემას დაზიანებული საკანალიზაციო და სანიაღვრე ქსელი წარმოადგენს, რის გამოც ბაზის მშენებლობა ფერხდება. იგეგმება „ჯიქების“ მოედნის გაფართოება და სავარჯშო მოედნების მოწყობა. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ქართულ რაგბის დიდ სამსახურს გაუწევს“, - გვითხრა მერაბ აბდუშელიშვილმა.*

## გავუფრთხილდეთ მოედნებს

მერაბ აბდუშელიშვილი: *„სახელმწიფომ უკლებლივ ყველა მიწის ნაკვეთი რაგბის კავშირს უსასყიდლო გადასცა. კარგია, რომ ვქმნით, თუმცა უმთავრესია გავუფრთხილდეთ შექმნილს. ეს კი იმაზეა დამოკიდებული თავად როგორ გაირჯები. მოედნების სიმრავლემ და ბიჭების წარმატებულმა თამაშმა რაგბის თამაშის მსურველთა რაოდენობა გააორმაგა. ჩვენ სწორედ მათთვის, მომავალი თაობებისთვის ვაშენებთ. ამავდროულად კლუბებს მოედნები ხელშეკრულებით გადაეცემათ, მაგრამ შესაბამისად თუ არ მოუვლიან, ჩამოვართმევთ“.*

## რაგბი რეგიონებში

რაგბის განვითარებაში თბილისის გარდა სხვა ქალაქები ეტაპობრივად ჩაერთვებიან. მარტყოფში მწვრთნელთა და მსაჯთა გადამზადების ცენტრის მოწყობა, სასტუმრო და სავარჯიშო მოედნით იგეგმება. სარაგბო კომპლექსი აშენდება რუსთავში, სადაც ხელოვნურ და ბუნებრივსაფრიანი მოედნების გარდა მორაგეებს წიდიანი სარიელიც მოემსახურებათ. დიდი სარაგბო კომპლექსის მშენებლობა იგეგმება ქუთაისში, სადაც მოეწყობა ერთი ხელოვნური და სამი ბუნებრივსაფარიანი მოედანი. აშენდება სასტუმრო და სარაგბო აკადემია. სარაგბო კომპლექსების მშენებლობა იგეგმება ბათუმში, ფოთში, გორში, თელავში და ასპინძაში.

*„უკლებლივ ყველა სარაგბო კომპლექსის დასრულება, - აი, ჩვენი უმთავრესი მიზანი. მიწის ნაგლეჯზე თაობები ვერ აღიზრდება. თუ ელიტაზე გვაქვს პრეტენზია, შესაბამისი სავარჯიშო თუ სათამაშო პირობებიც უნდა შევქმნათ“.*

**სალომე ხარატიშვილი**


მერაბ აბდუშელიშვილი

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური სპორტი

## კალათბურთი

# სპურსმა ტონი დაკარგა

ბოლო დროს რეგულარულ ჩემპიონატში გახშირდა ტრავმები და რამდენიმე გუნდი წამყვანი კალათბურთელის გარეშე დარჩა. ერთ-ერთია სეზონის ლიდერი „სან ანტონიო სპურსი", რომელსაც დაახლოებით 2-4 კვირა ვერ დაეხმარება ფრანგი გამთამაშებელი **ტონი პარკერი**. მცველმა ორი დღის წინ „მემფისთან" მატჩში მიიღო დაზიანება. როგორც სამედიცინო შემოწმებამ აჩვენა, პარკერს კუნთი აქვს დაჭიმული.

ასე რომ, ტონი გამოტოვებს „სან ანტონიოს" გასვლით ტურნეს და ტექსასში შეუდგება ტრავმის მკურნალობას.

მიმდინარე სეზონში პარკერის სტატისტიკა 17.1 ქულასა და 6.6 შედეგიან პასს შეადგენს.



ტონი პარკერი

■ ■ ■

ასეთე თავისი ლიდერის გარეშე დარჩა ლიგის უსუსტესი გუნდი „კლივლენდ კავალიერზი". **ანტუან ჯეიმისონმა** „ფილადელფიასთან" მატჩში თითი მოიტეხა. ექიმებმა კალათბურთელს ოპერაციის გაკეთება ურჩიეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯეიმისონი დაახლოებით თვენახევარი ვერ შეძლებს თამაშს. „კლივლენდს" პლეი ოფში გასვლის არანაირი შანსი არ აქვს და შეიძლება ითქვას, რომ ეს სეზონი ანტუანისთვის დასრულებლად უნდა ჩაითვალოს.

წლევანდელ რეგულარულში ჯეიმისონი საშუალოდ 18.0 ქულასა და 6.7 მოხსნას აგროვებდა.

■ ■ ■

უიღბლოდ დაიწყო იტალიელი **დანილო გალინარის** კარიერა ახალ კლუბში - „დენვერ ნაგეტსში". მან „პორტლენდთან" მატჩში მარცხენა ფეხის ცერა თითი მოიტეხა და მინიმუმ ათი დღით გამოეთიშა რეგულარულ ჩემპიონატს.

22 წლის ფორვარდი „დენვერში" 22 თებერვალს გაცვლის შედეგად გადავიდა. მანამდე გალინარი „ნიუ იორკ ნიქსში" თამაშოდა და იქ მისი საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები 15.9 ქულასა და 4.8 მოხსნას უდრიდა.

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად „ტორონტო მეიპლ ლივზის" ფორვარდი **ფილ კესელი** დაასახელა. ეს ჰოკეისტი რვა ქულით (4+4) წინა შვიდი დღის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. 24 თებერვალს კესელმა „რეინჯერსთან" მატჩში ოთხი ქულა მიითვალა და ერთი შეხვედრისთვის კარიერის რეკორდი გაიმეორა. კესელს ბოლო შვიდ მატჩში 11 ქულა აქვს. ის „ტორონტოს" ლიდერია გატანილი გოლების (26), რიცხობრივ უპირატესობაში გოლებით (10) და დარტყმების (267) რაოდენობით.

მეორე ვარსკვლავი „ჩიკაგო ბლეკჰოქსის" მეკარე **კორი კროუფორდი** გახდა. ამ გოლკიპერმა სამიდან სამი მატჩი მოიგო, საშუალოდ 1.95 გოლი გაუშვა და მეტოქეთა დარტყმების 93.6 პროცენტი მოიგერია. სამი შეხვედრიდან ერთში კროუფორდმა სეზონში მეოთხე „შათაუტი" შეასრულა.

მესამე ვარსკვლავია „კოლამბუს ბლუ ჯეკეტსის" ფორვარდი **მეტ კალვერტი**. 21 წლის ჰოკეისტი გასული კვირის საუკეთესო სნაიპერი გახდა - სამ მატჩში 5 შაიბა გაიტანა. „კოლამბუსმა" კალვერტი AHL-ის კლუბ „სპრინგფილდიდან" დაიმატა და იქედან მოყოლებული ახალგაზრდა ფორვარდმა 21 მატჩში 14 ქულა (10+4) დააგროვა.

**მინესოტა-ჩიკაგო 2:4**

**0:0, 0:3, 2:1**

**გოლები:** 0:1 შარპი-33 (ტეუვზი-37, კეიტი-29), 0:2 კოპეცკი-12 (სტალბერგი-10, ბ. კემპბელი-18), 0:3 ტეუვზი-23 (პ. კეინი-34, შარპი-25), 1:3 ჰავლატი-20 (კლატერბეკი-13), 2:3 ბერნსი-16 (ბროძიაკი-16, ჰავლატი-34), 2:4 მარიან ჰოსა-16 (ტეუვზი-38).

**ლოს ანჯელესი-დეტროიტი 4:7**

**1:3, 0:1, 3:3**

**გოლები:** 1:0 ჰანძუში-9 (სტოლი-20, კოპიტარი-41), 1:1 დ. მილერი-5, 1:2 ქლირი-22 (ჰუდლერი-24), 1:3 ლიდსტრიომი-13 (მოდანო-7, ზეტერბერგი-50), 1:4 დაციუკი-19 (ზეტერბერგი-51, კრონვალი-20), 1:5 ჰელმი-8, 1:6 დ. მილერი-6 (დრეიპერი-3, ჰელმი-18), 1:7 ჰუდლერი-8 (კინდლი-2, ბერტუცი-23), 2:7 დ. ბრაუნი-21 (კოპიტარი-42, რიჩარდსონი-9), 3:7 სიმონდსი-12 (პონიკაროვსკი-5, დაუტი-24), 4:7 რიჩარდსონი-7 (მეტ გრინი-7).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ფილადელფია* | 62 | 40 | 16 | 6 | 86 |
| 2. ტამპა ბეი* | 62 | 37 | 18 | 7 | 81 |
| 3. ბოსტონი* | 62 | 36 | 19 | 7 | 79 |
| 4. პიტსბურგი | 64 | 37 | 21 | 6 | 80 |
| 5. ვაშინგტონი | 63 | 33 | 20 | 10 | 76 |
| 6. მონრეალი | 63 | 33 | 23 | 7 | 73 |
| 7. რეინჯერსი | 64 | 33 | 27 | 4 | 70 |
| 8. კაროლინა | 63 | 29 | 25 | 9 | 67 |
| 9. ბაფალო | 61 | 29 | 25 | 7 | 65 |
| 12. ტორონტო | 63 | 27 | 27 | 9 | 63 |
| 10. ატლანტა | 63 | 26 | 26 | 11 | 63 |
| 11. ფლორიდა | 62 | 26 | 29 | 7 | 59 |
| 13. ნიუ ჯერსი | 62 | 27 | 31 | 4 | 58 |
| 14. აილენდერსი | 63 | 23 | 32 | 8 | 54 |
| 15. ოტავა | 62 | 21 | 32 | 9 | 51 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ვანკუვერი* | 63 | 39 | 15 | 9 | 87 |
| 2. დეტროიტი* | 63 | 39 | 18 | 6 | 84 |
| 3. სან ხოსე* | 63 | 36 | 21 | 6 | 78 |
| 4. ფინიქსი | 64 | 33 | 21 | 10 | 76 |
| 5. ჩიკაგო | 63 | 34 | 23 | 6 | 74 |
| 6. ლოს ანჯელესი | 63 | 35 | 24 | 4 | 74 |
| 7. კალგარი | 64 | 32 | 23 | 9 | 73 |
| 8. დალასი | 62 | 33 | 23 | 6 | 72 |
| 9. მინესოტა | 63 | 33 | 24 | 6 | 72 |
| 10. ნეშვილი | 63 | 32 | 23 | 8 | 72 |
| 11. ანაჰაიმი | 63 | 33 | 25 | 5 | 71 |
| 12. კოლამბუსი | 61 | 31 | 24 | 6 | 68 |
| 13. სტ. ლუისი | 62 | 28 | 25 | 9 | 65 |
| 14. კოლორადო | 63 | 26 | 30 | 7 | 59 |
| 15. ედმონტონი | 63 | 20 | 35 | 8 | 48 |

* - დივიზიონის ლიდერი

**ბომბარდირები**

**გოლი+პასი**

| | |
|---|---|
| დანიელ სედინი (ვან) | 79 (32+47) |
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 78 (41+37) |
| მარტინ სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 75 (24+51) |
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 74 (15+59) |
| ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტ) | 69 (18+51) |
| კორი პერი (ანა) | 68 (31+37) |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 66 (32+34) |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 63 (24+39) |
| ბრედ რიჩარდსი (დალ) | 63 (24+39) |
| ანზე კოპიტარი (ლ-ანჯ) | 62 (20+42) |

**გოლები**

| | |
|---|---|
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 41 |
| რაიან კესლერი (ვან) | 33 |
| პატრიკ შარპი (ჩიკ) | 33 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 32 |
| დანიელ სედინი (ვან) | 32 |
| კორი პერი (ანა) | 31 |
| ბობ რაიანი (ანა) | 29 |
| რიკ ნეში (კოლამ) | 29 |
| დენი ბრიერი (ფილ) | 28 |
| ჯეფ კარტერი (ფილ) | 28 |

**პასები**

| | |
|---|---|
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 59 |
| მარტინ სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 51 |
| ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტ) | 51 |
| დანიელ სედინი (ვან) | 47 |
| კიტ იენდლი (ფინ) | 44 |
| ანზე კოპიტარი (ლ-ანჯ) | 42 |
| მაიკ რიბეირო (დალ) | 39 |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 39 |
| ბრედ რიჩარდსი (დალ) | 39 |

## კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ლიდერებმა სტუმრად იმძლავრეს

რეგულარული ჩემპიონატის გუშინდელ სათამაშო დღეს დასავლეთის ლიდერები ისვენებდნენ, სამაგიეროდ აღმოსავლეთის ფავორიტებმა - „ბოსტონმა" და „ჩიკაგომ" ჩაატარეს მორიგი მატჩები და გამარჯვებები მოიპოვეს.

„ჩიკაგოს" პრობლემა არ ჰქონია „ვაშინგტონთან" გასვლით შეხვედრაში. „ხარებმა" რიგით 41-ე მოგებას დაცვაში შესანიშნავი თამაშის წყალობით მიაღწიეს - დედაქალაქურმა კლუბმა მეტოქეს მხოლოდ 77 ქულა ჩაუგდო, სხვათა შორის, ორი დღით ადრე „ჩიკაგომ" მხოლოდ 75 ქულა დააგროვებინა „მილუოკის". გუშინდელი მატჩის მესამე მეოთხედის დასრულებამდე ორწუთნახევრით ადრე „ბულზი" უკვე 21 ქულას იგებდა. ეს უპირატესობა კიდევ უფრო გაიზარდა და საბოლოოდ 28 ქულას მიაღწია, ხოლო „ჩიკაგოს" ლიდერმა და MVP-ის პრიზის ერთ-ერთმა მთავარმა ფავორიტმა **დერიკ როუზმა** 21 ქულა და 9 პასი მოაგროვა.

გაცილებით რთული მატჩი ჰქონდა სტუმრად „იუტას" წინააღმდეგ „ბოსტონ სელტიქსს". „ჯაზმა" ბოლო ორი კვირის განმავლობაში მთავარი მწვრთნელი **ჯერი სლოუნი** და ლიდერი **დერონ უილიამსი** დაკარგა და შესაძლოა, 2006 წლის შემდეგ პირველად ვერ მოხვდეს პლეი ოფში. რა თქმა უნდა, ამის თეორიული შანსი არსებობს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ თებერვალში ამ გუნდმა მხოლოდ სამი გამარჯვების მოპოვება შეძლო. ამის გამო „იუტა" მეექვსე ადგილიდან მეათემდე დაეშვა.

„იუტას" რეაბილიტაციის საშუალება „ბოსტონთან" მატჩში მიეცა. „ჯაზმენთა" რიგებში პირველად ითამაშეს ახალწვეულებმა - **დევინ ჰარისმა** და **დერიკ ფეივორსმა**, სეზონში საუკეთესო მატჩი ჩაატარა **ელ ჯეფერსონმა**, მაგრამ „ბოსტონი" მაინც უფრო ძლიერი აღმოჩნდა.

მასპინძლებმა კარგად დაიწყეს და 10:2 წაიყვანეს ანგარიში, მაგრამ ახალწვეულები „ბოსტონსაც" ჰყავდა და სწორედ **ნენად კრსტიჩისა** და **ჯეფ გრინის** დახმარებით სტუმრებმა ხანგრძლივი სპურტი (28:7) მოაწყვეს და კარგა ხანი ინარჩუნებდნენ კომფორტულ 8-10-ქულიან უპირატესობას. თუმცა „ბოსტონის" ექსცენტრი ჯეფერსონი ათამაშდა, რომელმაც უკვე დიდ შესვენებამდე გაიფორმა ორმაგი დუბლი (18 ქულა და 10 მოხსნა). მას პარტნიორებიც დაეხმარნენ და პირველი ტაიმი „ბოსტონმა" მხოლოდ სამი ქულით მოიგო - 56:53.

შესვენების შემდეგ თანაბარი თამაში წავიდა. საფინალო სირენამდე ოთხი წუთი რჩებოდა და ტაბლოზე თანაფარდობა იყო - 94:94. მაგრამ საბოლოო სიტყვა თქვა სტუმრების გამოცდილებამ. **რეი ალენმა** ორი სამქულიანი ჩააგდო, ერთი შორეული ტყორცნა გამოიყენა უმეთვალყურეოდ დატოვებულმა **პოლ პირსმა**, ბოლოს კი იმავე ალენმა **კირილენკოს** მხრიდან აქტიური დაცვის მიუხედავად ექვსი მეტრიდან ფანტასტიკური ბურთი მოათავსა კალათში. „ჯაზის" წინააღმდეგობა საბოლოოდ **რაჟონ რონდომ** გატეხა - 24 წამით ადრე ანგარიში 105:101 იყო. ეს წაგება „იუტასთვის" მეშვიდე იყო ბოლო რვა მატჩში.

ბოლო მატჩების გმირად გვევლინება ფინიქსელი **ჩენინგ ფრაი**, რომელიც გადამწყვეტი ტყორცნების სპეციალისტად გადაიქცა. წინა მატჩში „ინდიანას" წინააღმდეგ „ფინიქსის" ცენტრმა სირენასთან ერთად ჩააგდო ბურთი და თავის გუნდს გაამარჯვებინა. გუშინ კი ფრაიმ „ნიუ ჯერსის" ჩაუგდო სამქულიანი და „სანზს" ზედიზედ მეორედ მოაგებინა. თანაც ეს ორი ზუსტი ტყორცნა ოვერტაიმში შესრულდა. ფრაი გახდა პირველი მოთამაშე ბოლო ექვს წელიწადში, ვინც ზედიზედ ორი მატჩის დამატებით დროში შეასრულა გამარჯვების ტყორცნა.

### კვირის მოთამაშეები

„ორლანდო მეჯიქის" ცენტრი **დუაიტ ჰოვარდი** და „ჰიუსტონ როკეტსის" ფორვარდი **კევინ მარტინი** გასულის კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელეს.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატი ჰოვარდი გასულ კვირას საშუალოდ 30.3 ქულას (საუკეთესო შედეგი ლიგაში), 14.0 მოხსნასა და 3.3 დაფარებას აგროვებდა და თამაშიდან 67.3 პროცენტის სიზუსტით ისროდა. „სუპერმენმა" განსაკუთრებით გამოიჩინა თავი 25 თებერვალს „ოკლაჰომასთან" მატჩში - მის ანგარიშზე იყო 40 ქულა, 15 მოხსნა და 6 დაფარება. ჰოვარდი ზედიზედ 10 მატჩია მინიმუმ 20 ქულასა და 10 მოხსნას აგროვებს, რაც მის კარიერაში ყველაზე გრძელი სერიაა. დუაიტს კარიერაში 20-ქულიანი და 10-მოხსნიანი 200 მატჩი დაუგროვდა, მიმდინარე სეზონში კი ასეთი 37 შეხვედრა ჰქონდა. „სუპერმენი" მიმდინარე რეგულარულში მეხუთედ დასახელდა კვირის საუკეთესო მოთამაშედ.

დასავლეთში საუკეთესო მარტინმა თავის გუნდს ოთხიდან ოთხი მატჩი მოაგებინა და საშუალოდ 27.3 ქულა (თამაშიდან ტყორცნების სიზუსტე - 51.7 პროცენტი, სამქულიანები - 47.6). ჰიუსტონელი ზედიზედ სამ მატჩში აგროვებდა მინიმუმ 30 ქულას, რაც „როკეტსში" **ტრეისი მაკგრეიდის** შემდეგ არავის გაუკეთებია.

**ჰოვარდის კვირა**

**23 თებერვალი. ორლანდო-საკრამენტო 111:105.** 31 ქულა, 17 მოხსნა.

**25 თებერვალი. ორლანდო-ოკლაჰომა 111:88.** 40 ქულა, 15 მოხსნა, 6 დაფარება.

**27 თებერვალი. ორლანდო-შარლოტი 100:86.** 20 ქულა, 10 მოხსნა, 2 დაფარება, 2 ჩაჭრა.

**მარტინის კვირა**

**23 თებერვალი. კლივლენდი-ჰიუსტონი 119:124.** 30 ქულა, 5 მოხსნა.

**26 თებერვალი. ჰიუსტონი-ნიუ ჯერსი 123:108.** 30 ქულა, 6 მოხსნა, 4 პასი.

**27 თებერვალი. ნიუ ორლეანი-ჰიუსტონი 89:91.** 33 ქულა, 5 მოხსნა, 4 ჩაჭრა.

კვირის მოთამაშის სტატუსზე შემდეგი კალათბურთელები აცხადებდნენ პრეტენზიას: **ლებრონ ჯეიმსი** („მაიამი"), **კარმელო ენტონი** („ნიუ იორკი"), **ჩენინგ ფრაი** („ფინიქსი") და **მანუ ჯინობილი** („სან ანტონიო").

**ნიუ ჯერსი-ფინიქსი 103:104 (ო)**

**23:26, 26:26, 15:17, 30:27, 7:8**

**ნ-ჯ:** ლოპესი (28+10 მოხსნა), მოროუ (22), ჰემფრიზი (16+15 მოხსნა), უილიამსი (13+18 პასი+5 მოხსნა), აუთლო (10).

**ფ:** გორტატი (17+5 მოხსნა), უორიკი (16+7 მოხსნა), ლოპესი (14), პიეტრუსი (13), ნეში (10+15 პასი+6 მოხსნა), დადლი (10+5 პასი).

**ვაშინგტონი-ჩიკაგო 77:105**

**20:25, 17:25, 20:28, 20:27**

**ვ:** ბლეტჩი (15+11 მოხსნა), იანგი (14+5 მოხსნა), ჰოვარდი (10), უოლი (9+ 10 პასი).

**ჩ:** როუზი (21+9 პასი+5 მოხსნა), დენგი (21+5 მოხსნა), ნოა (19+11 მოხსნა), ბუზერი (12+10 მოხსნა), კორვერი (11+6 მოხსნა).

**დენვერი-ატლანტა 100:90**

**21:25, 25:22, 25:23, 29:20**

**დ:** სმიტი (19+7 მოხსნა), ფელტონი (16+7 პასი+5 მოხსნა), ჩენდლერი (15+5 მოხსნა), მარტინი (14+11 მოხსნა), ნენე (13+5 მოხსნა).

**ა:** ჯონსონი (22), ჰორფორდი (21+16 მოხსნა), უილიამსი (13), კროუფორდი (11), სმიტი (10+5 მოხსნა).

**იუტა-ბოსტონი 102:107**

**21:30, 32:26, 22:23, 27:28**

**ი:** ჯეფერსონი (28+19 მოხსნა), ჰარისი (19+5 პასი), კირილენკო (18), მილსეპი (17).

**ბ:** ალენი (25), პირსი (21+7 მოხსნა), რონდო (18+11 პასი), გარნეტი (16+14 მოხსნა), კრსტიჩი (11+5 მოხსნა).

**საკრამენტო-კლიპერსი 105:99**

**29:29, 22:23, 27:31, 27:16**

**ს:** ტორნტონი (29), უდრიხი (19+7 პასი+5 მოხსნა), კაპსი (15+8 მოხსნა), ტომპსონი (12), დალემბერი (წ+10 მოხსნა).

**კ:** გრიფინი (27+12 მოხსნა), ფოიე (23), უილიამსი (16+5 პასი+5 ჩაჭრა), კამანი (12+5 მოხსნა).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ბოსტონი* | 58 | 43 | 15 | 74.1 |
| 2. მაიამი* | 60 | 43 | 17 | 71.7 |
| 3. ჩიკაგო* | 58 | 41 | 17 | 70.7 |
| 4. ორლანდო | 60 | 38 | 22 | 63.3 |
| 5. ატლანტა | 60 | 36 | 24 | 60.0 |
| 6. ნიუ იორკი | 57 | 30 | 27 | 52.6 |
| 7. ფილადელფია | 59 | 30 | 29 | 50.8 |
| 8. ინდიანა | 58 | 26 | 32 | 44.8 |
| 9. შარლოტი | 59 | 26 | 33 | 44.1 |
| 10. მილუოკი | 58 | 22 | 36 | 37.9 |
| 11. დეტროიტი | 61 | 22 | 39 | 36.1 |
| 12. ნიუ ჯერსი | 60 | 17 | 43 | 28.3 |
| 13. ტორონტო | 60 | 16 | 44 | 26.7 |
| 14. ვაშინგტონი | 59 | 15 | 44 | 25.4 |
| 15. კლივლენდი | 59 | 11 | 48 | 18.6 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. სან ანტონიო* | 59 | 49 | 10 | 83.1 |
| 2. დალასი | 59 | 43 | 16 | 72.9 |
| 3. ლეიკერსი* | 61 | 42 | 19 | 68.9 |
| 4. ოკლაჰომა* | 58 | 36 | 22 | 62.1 |
| 5. ნიუ ორლეანი | 61 | 35 | 26 | 57.4 |
| 6. დენვერი | 61 | 35 | 26 | 57.4 |
| 7. პორტლენდი | 59 | 33 | 26 | 55.9 |
| 8. მემფისი | 61 | 33 | 28 | 54.1 |
| 9. ფინიქსი | 58 | 31 | 27 | 53.4 |
| 10. იუტა | 61 | 32 | 29 | 52.5 |
| 11. ჰიუსტონი | 61 | 30 | 31 | 49.2 |
| 12. გ. სტეიტი | 58 | 26 | 32 | 44.8 |
| 13. კლიპერსი | 61 | 21 | 40 | 34.4 |
| 14. საკრამენტო | 57 | 15 | 43 | 25.9 |
| 15. მინესოტა | 60 | 14 | 46 | 23.3 |

**ქულა**

| | |
|---|---|
| კევინ დურანტი (ოკლ) | 28.5 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივ) | 26.2 |
| ამარე სტაუდმაიერი (ნ-იორ) | 25.9 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 25.5 |
| კარმელო ენტონი (ნ-იორ) | 25.3 |
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 25.1 |
| მონტა ელისი (გ-სტ) | 24.9 |
| დერიკ როუზი (ჩიკ) | 24.8 |
| კევინ მარტინი (ჰიუ) | 23.3 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 23.2 |

**მოხსნა**

| | |
|---|---|
| კევინ ლავი (მინ) | 15.5 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 13.8 |
| ზაკ რენდოლფი (მემ) | 13.1 |
| ბლეიკ გრიფინი (კლიპ) | 12.5 |
| პაუ გასოლი (ლეი) | 10.4 |
| ელ ჰორფორდი (ატლ) | 9.8 |
| ტაისონ ჩენდლერი (დალ) | 9.5 |
| კრის ჰემფრიზი (ნ-ჯერ) | 9.4 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 9.2 |
| ელ ჯეფერსონი (იუტ) | 9.2 |

**პასი**

| | |
|---|---|
| რაჟონ რონდო (ბოს) | 12.1 |
| სტივ ნეში (ფინ) | 11.4 |
| დერონ უილიამსი (ნ-ჯერ) | 10.0 |
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 9.6 |
| ხოსე კალდერონი (ტორ) | 9.1 |
| ჯონ უოლი (ვაშ) | 9.0 |
| რეიმონდ ფელტონი (ნ-იორკ) | 8.9 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 8.4 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 8.3 |
| დერიკ როუზი (ჩიკ) | 8.1 |

**ჩაჭრა**

| | |
|---|---|
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 2.3 |
| რაჟონ რონდო (ბოს) | 2.3 |
| მონტა ელისი (გ-სტ) | 2.3 |
| მაიკ კონლი (მემ) | 1.7 |
| რეიმონდ ფელტონი (დენ) | 1.7 |
| რუდი გეი (მემ) | 1.7 |
| სტივენ კარი (გ-სტე) | 1.7 |
| ტონი ალენი (მემ) | 1.7 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 1.7 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 1.7 |

**დაფარება**

| | |
|---|---|
| ენდრიუ ბოგუტი (მილ) | 2.8 |
| ჯავალ მაკგი (ვაშ) | 2.3 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 2.2 |
| დარკო მილიჩიჩი (მინ) | 2.2 |
| ამარე სტაუდმაიერი (ფინ) | 2.2 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 2.1 |
| სერჟ იბაკა (ოკლ) | 2.0 |
| ელ ჯეფერსონი (იუტ) | 1.9 |

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



ბოლოს ალენმა და პირსმა იმძლავრეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი. ინტერვიუ ვიტალი კლიჩკოსთან

# სოლისთან რთული იქნება

**სუპერმძიმე წონაში WBC-ის ჩემპიონი, 39 წლის უკრაინელი ვიტალი კლიჩკო მორიგი საჩემპიონო ბრძოლისთვის ემზადება. ვეტერანი მოკრივე 19 მარტს გერმანიაში უნდა შეხვდეს 30 წლის კუბელ ოდლანიერ სოლისს, რომელიც ჯერჯერობით დაუმარცხებლად გამოდის პროფესიულ რინგზე. ამ მნიშვნელოვანი ჩხუბის წინ ვიტალიმ ინტერვიუ მისცა გერმანულ გაზეთ „ბილდს“.**

**- ვიტალი, ოდლანიერ სოლისი ბოლო წლებში თქვენს ყველაზე სერიოზულ მეტოქედ განიხილება. თქვენც მიგაჩნიათ, რომ სხვა მოწინააღმდეგეების ფონზე კუბელი ყველაზე მძლავრად გამოიყურება?**

- 19 მარტს გერმანიის ერთ-ერთ უმსხვილეს არენაზე გაიმართება საჩემპიონო ბრძოლა. ეს ტიტულის სავალდებულო დაცვაა და მინდა თუ არა, მომიწევს რინგზე გასვლა, რადგან კუბელმა დაიცვა WBC-ის რეიტინგის პირველი პოზიცია და აუცილებელ პრეტენდენტად ითვლება. ფართო პუბლიკისთვის ეს მოკრივე ნაკლებად ცნობილია. მაგრამ ბრძოლის შედეგზე გავლენას ახდენს არა ამა თუ იმ მოკრივის „რეკლამირება“, არამედ სპორტული თვისებები. ეს პროფესიული სპორტია, სადაც ნებისმიერმა სპორტსმენმა შეიძლება შემოგვთავაზოს სიურპრიზი. სოლისი - ათენის ოლიმპიური ჩემპიონია, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი მოყვარულებს შორის, კუბური სკოლის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი. ეს ბრძოლა საინტერესო და რთული იქნება.

**- თქვენთვის ეს განსაკუთრებული ბრძოლაა თუ უბრალოდ ტიტულის მორიგი დაცვა?**

- ეს იქნება ბრძოლა კარგ პრეტენდენტთან. დარწმუნებული ვარ, ყველა, ვინც ამ ბრძოლას მიადევნებს თვალს, დიდ სიამოვნებას მიიღებს კლიჩკოსა და ძლიერი მოწინააღდეგის დაპირისპირებისგან.

**- ის თქვენთვის საჩემპიონო ქამრის ჩამორთმევით იმუქრება.**

- გასაკვირი იქნება, მას რომ ასეთი დაპირება არ გაეკეთებინა. ამის თაობაზე ბევრი ხმამაღალი განცხადება მომისმენია... დიახ, კუბელი მოტივირებულია, ახალგაზრდა, ძლიერი, ჯერ წაგება არ აქვს პროფესიულ რინგზე და ბუნებრივია, ტიტულის მოპოვებას ფიქრობს. მაგრამ მე სხვა გეგმები მაქვს. 19 მარტს ვაპირებ სოლისს თავისი ადგილი მივუჩინო.

**- სამოყვარულო რინგზე სოლისს დამარცხებული ჰყავს სუპერმძიმე წონაში WBA-ის ამჟამინდელი ჩემპიონი დევიდ ჰეი, თანაც ტექნიკური ნოკაუტით. თქვენი აზრით, სოლისი ახლაც ჰეიზე ძლიერია თუ სიტუაცია შეიცვალა?**

- პროფესიულ და სამოყვარულო სპორტს შორის უდიდესი განსხვავებაა. ნებისმიერი მეტოქის წინააღმდეგ რინგზე გასასვლელად ვარ მზად, იქნება ეს სოლისი თუ ჰეი და დავამტკიცებ, რომ ნამდვილი ჩემპიონი ვარ.

**- კლიჩკოსა და სოლისის ბრძოლიდან ერთი კვირის თავზე რინგზე გავლენ თქვენი ყოფილი მეტოქე ალბერტ სოსნოვსკი და ალექსანდრ დმიტრენკო. ვის ანიჭებთ უპირატესობას ამ ბრძოლაში?**

- დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ ბრძოლა მოსაწყენი არ იქნება. პროგნოზების კეთებასა და სპეკულაციებს არ დავიწყებ. რინგზე გაირკვევა ვის ერგება ევროპის ჩემპიონის ტიტული. ალბერტ სოსნოვსკიმ თავისი ფენომენური ფორმა ჩემთან ბრძოლაში აჩვენა. ის კარგი მოკრივეა, რომელმაც იცის რა სურს და რა არის საჭირო წარმატების მისაღწევად. მართალია, სოსნოვსკიმ ჩემთან წააგო, მაგრამ არ გაჩერდა და ახლა ისევ მზად არის სატიტულო ბრძოლებისთვის. მე მას გამარჯვებას ვუსურვებ. რაც შეეხება ალექსანდრ დმიტრენკოს, მას მხოლოდ ერთ რამეს ვუსურვებ - ამჯერად მაინც არ უღალატოს ჯანმრთელობამ.



ვიტალი კლიჩკო მზადების პროცესში

## ამბები

კალათბურთი

### ცსკაში მესამე მწვრთნელი მივიდა

რუსული კალათბურთის ლიდერმა მოსკოვის ცსკა-მ ამ სეზონში მეორედ შეიცვალა მწვრთნელი. გუშინ კლუბის ახალი დამრიგებელი გახდა ლიტველი **იონას კაზლაუსკასი**. ამ პოსტზე მან **დმიტრი შაკულინი** შეცვალა, რომელიც 2010 წლის ნოემბრიდან ასრულებდა მთავარი მწვრთნელის მოვალეობებს. კაზლაუსკასმა არმიულ კლუბთან კონტრაქტს ხელი 2012-13 წლების სეზონის ბოლომდე მოაწერა .

ცსკა-მ წლევანდელი სეზონი ჩერნოგორიელი **დუშკო ვუიოშევიჩის** ხელმძღვანელობით დაიწყო. მოსკოველებმა ცუდი სტარტი აიღეს ევროლიგაზე და ვუიოშევიჩს კარისკენ მიუთითეს. არმიელები შაკულინის ხელმძღვანელობით მაინც ჩარჩნენ მთავარი ევროტურნირის ჯგუფში, თებერვალში კი რუსეთის ჩემპიონატში ზედიზედ სამი მატჩი წააგეს. სწორედ ამის შემდეგ მიიწვიეს გუნდში კაზლაუსკასი.

56 წლის ლიტველის ბოლო სამუშაო ადგილი საბერძნეთის ნაკრები იყო. ამ გუნდთან ერთად მან 2009 წლის ევრობასკეტის ბრინჯაოს მედალი მოიგო, მაგრამ მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონატზე ესპანეთთან წაგების შემდეგ მერვედფინალიდან გამოეთიშა ბრძოლას.

ადრე კაზლაუსკასი ავარჯიშებდა ჩინეთის ეროვნულ გუნდს, ლიტვის ახალგაზრდულ ნაკრებს, საკლუბო დონეზე კი „ოლიმპიაკოსში“, „ლეტუვოს რიტასსა“ და „ჟალგირისში“ მუშაობდა.

ტრამპლინიდან ხტომა

### 300 მეტრზე გადახტებიან

ავსტრიაში ბუნებრივ ტრამპლინს აგებენ, რომელზეც შეიძლება ტრამპლინიდან ხტომაში ახალი რეკორდები დამყარდეს.

ავსტრიის ეროვნულ პარკში გიგანტურ ტრამპლინს მთლიანად თოვლისგან შექმნიან. ის გროსგლოკნერის მთაზე იქნება განთავსებული. წელს იქ რამდენიმე სარეკლამო ღონისძიების ჩატარებაა დაგეგმილი, რითაც ორგანიზატორებს ახალი სპონსორების მოზიდვის იმედი აქვთ. არსებობს ვარაუდი, რომ ეს პროექტი „რედ ბულის“ მიერ იქნება დაფინანსებული - ეს კომპანია ბევრი სპორტსმენის სპონსორი და სხვადასხვა ექსტრემალური სახეობის ორგანიზატორია.

ტრამპლინი კონკრეტული მიზნით შენდება - პირველად ისტორიაში სპორტსმენებს 300 მეტრის სიგრძის ნახტომების შესრულება შეეძლებათ. თავის მხრივ, სარეკორდო ნახტომების ჩანაწერები მხოლოდ სარეკლამო მიზნით იქნება გამოყენებული.

ავსტრიული პრესა ვარაუდობს, რომ „რედ ბული“ მთავარ ვარსკვლავად **ტომას მორგენშტერნს** აირჩევს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ავსტრიელი გახდება პირველი სპორტსმენი ისტორიაში, ვინც 300-მეტრიან ნახტომს შეასრულებს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## TV პროგრამა

**2 მარტი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**23:00** ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-ბილბაო (LIVE).
**01:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ბარსელონა (LIVE).

**GMG-სპორტი**

**23:30** გერმანიის თასი. 1/2 ფინალი. ბაიერნი-შალკე (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**22:55** ესპანეთის ჩემპიონატი. ხეტაფე-ატლეტიკო (LIVE).
**00:55** ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ბარსელონა (LIVE).
**04:45** ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. სანტოსი-სერო პორტენიო (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

**23:25** ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. პლეი ოფი. კუნეო-დინამო. I მატჩი (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

**04:00** NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-ჩიკაგო (LIVE).

**SPORT+**

**20:40** ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. პლეი ოფი. სკრა-ზენიტი. I მატჩი (LIVE).
**00:55** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ბარსელონა (LIVE).

**EUROSPORT**

**13:45** სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ტრამპლინი. HS134. ოსლო. ნორვეგია (LIVE).
**15:00** სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი. გუნდური სპრინტი. კვალიფიკაცია. ოსლო. ნორვეგია (LIVE).
**17:00** სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი. გუნდური სპრინტი. ფინალი. ოსლო. ნორვეგია (LIVE).
**18:45** სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს ჩემპიონატი. რბოლა. ოსლო. ნორვეგია (LIVE).
**20:45** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. HS134. კვალიფიკაცია. ოსლო. ნორვეგია (LIVE).

**EUROSPORT-2**

**19:15** ფეხბურთი. აზიის ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ალ-რაიანი (კატარი)-ალ შაბაბი (ს. არაბეთი) (LIVE).
**21:15** კალათბურთი. ევროლიგა. ქალები. 1/4 ფინალი. ეკატერინბურგი (რუსეთი)-ტარანტო (იტალია). III მატჩი (LIVE).

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ბოლტონი-მიოლდე | 1:0 |
| ჰიონეფოსი-კონგსვინგერი | 2:2 |
| იურგორდენი-ტერეკი | 0:1 |
| ბრანი-სარპსბორგი | 2:0 |
| ელფსბორგი-ნორჩოპინგი | 1:0 |
| **ინგლისი** | |
| ჩელსი-მანჩესტერ იუნ | 2:1 |
| **ჩემპიონშიპი** | |
| დერბი-დონკასტერი | 1:3 |
| მიდლსბრო-ნოტინგემი | 1:1 |
| პორტსმუთი-სკანთორპი | 2:0 |
| **I ლიგა** | |
| ბრენტფორდი-ნოტსი | 1:1 |
| როვერსი-კოლჩესტერი | 0:1 |
| ჩარლტონი-კარლაილი | 1:3 |
| ექსეტერი-ტრანმერი | 1:1 |
| ჰარტლპული-ჰადერსფილდი | 0:1 |
| უოლსოლი-საუთჰემპტონი | 1:0 |
| იეოვილი-ბრაიტონი | 0:1 |
| **II ლიგა** | |
| ალდერშოტი-ჯილინგემი | 1:1 |
| ჩელტენემი-სტოკპორტი | 2:1 |
| ჩესტერფილდი-უიკომბი | 4:1 |
| ლინკოლნი-ოქსფორდი | 3:1 |
| ნორთჰემპტონი-ბარტონი | 2:3 |
| შრიუსბერი-ბერი | 0:3 |
| ტორკი-როტერჰემი | 1:1 |
| **კონფერენსი** | |
| დარლინგტონი-ფლიტვუდი | 4:0 |
| ფორესტ გრინი-ლუტონი | 0:1 |
| ჰეიესი-უიმბლდონი | 0:0 |
| ნიუპორტი-კემბრიჯი | 1:1 |
| რაშდენი-ბეტი | 5:1 |
| საუთპორტი-ჰისტონი | 3:1 |
| იორკი-გეიტშიდი | 2:1 |
| **ინგლისის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| ევერტონი-რედინგი | 0:1 |
| **ინგლისი** | |
| **FA Trophy** | |
| ჩეისთაუნი-მენსფილდი | 2:2 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ალბინოლეფე-მოდენა | 0:0 |
| ჩიტადელა-ლივორნო | 2:0 |
| გროსეტო-პადოვა | 3:1 |
| ნოვარა-პორტოგრუარო | 0:0 |
| პიაჩენცა-ემპოლი | 2:1 |
| რეჯინა-ფროსინონე | 2:1 |
| სასუოლო-პესკარა | 2:0 |
| სიენა-ტრიესტინა | 1:0 |
| ვარეზე-კროტონე | 1:1 |
| ასკოლი-ვიჩენცა | გადაიდო |
| **ესპანეთი** | |
| ესპანიოლი-მალიორკა | 1:2 |
| სევილია-სპორტინგი | 3:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ბარსელონა B-კორდობა | 4:1 |
| კარტახენა-ტენერიფე | 1:0 |
| ელჩე-ნუმანსია | 1:0 |
| სალამანკა-ვილიარეალი B | 1:0 |
| ხირონა-გრანადა | 2:0 |
| **გერმანიის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| დუისბურგი-კოტბუსი | 2:2 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| ფიურტი A-კარლსრუე A | 2:2 |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| ფერლი-დორტმუნდი A | 2:0 |
| ვუპერტალი-ფორტუნა A | 2:2 |
| შალკე A-ჰომბურგი | 1:0 |
| **საფრანგეთის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| რეიმსი-ნიცა | 2:2 დ.დ. 2:3 |
| **შოტლანდია** | |
| ჰემილტონი-ჰიბერნიანი | 1:2 |
| ინვერნესი-დანდი იუნ | 0:2 |
| **I დივიზიონი** | |
| მორტონი-ფალკირკი | 0:0 |
| სტირლინგი-როსი | 0:0 |
| კოუდენბითი-ქუინი | 2:2 |
| **II დივიზიონი** | |
| სტენჰაუზმური-ეირი | 3:1 |
| ბრეჩინი-დამბარტონი | 3:3 |
| ისტ ფაიფი-პიტერჰედი | 3:1 |
| ლივინგსტონი-ფორფარი | 3:0 |
| **III დივიზიონი** | |
| ანენი-ბერუიკი | 1:1 |
| სტრანრარი-კლაიდი | 3:1 |
| **ავსტრია** | |
| მატერსბურგი-რაპიდი | 1:0 |
| **რუსეთის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| ანჟი-ზენიტი | 2:3 |
| **პოლონეთის თასი** | |
| **1/4 ფინალი. I მატჩები** | |
| რუხი-ლეგია | 1:1 |
| ვისლა-პოდბესკიძიე | 0:1 |
| **ხორვატია** | |
| სიბალია-ზადარი | 0:0 |
| **უნგრეთის თასი** | |
| **1/8 ფინალი. II მატჩები** | |
| ფერენცვაროში-შიოფოკი | 2:1 (1:3) |
| კეჩმეკეტი-დებრეცენი | 3:1 (3:0) |
| უიპეშტი-ლომბარდი | 3:1 (3:1) |
| **ესტონეთი** | |
| **სუპერთასი** | |
| ფლორა-ლევადია | 0:0 პენ. 5:3 |
| **მოლდოვა** | |
| ოლიმპია-დაჩა | 1:2 |
| **ბელარუსის თასი** | |
| შახტარი-დინამო (ბ) | 2:1 |
| **ვენესუელა** | |
| ატლეტიკო-კარაბობო | 1:5 |

### კალათბურთი

| | |
|---|---|
| **ევროთასი** | |
| პანელინიოსი-ალბა | 86:73 |
| ჰემოფარმი-გრან კანარია | 75:74 |
| კაზერტა-ნიმბურკი | 88:80 |
| უნიქსი-ცედევიტა | 84:88 |
| ესტუდიანტესი-გალათასარაი | 71:69 |
| არისი-ლე მანი | 73:78 |
| ბენეტონი-სევილია | 84:68 |
| გოტინგენი-ბუდიველნიკი | 61:63 |

### ჰოკეი

| | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ლოკომოტივი-დინამო (მნ) | 2:1 (ო) |
| ატლანტი-სევერსტალი | 2:1 |
| დინამო (მ)-დინამო (რ) | 3:1 |
| **ავსტრია** | |
| გრაცი-ვენა | 1:4 |
| ლინცი-ვილახი | 0:3 |
| ზაგრები-კლაგენფიურტი | 2:3 |
| ოლიმპია-ზალცბურგი | 1:5 |
| **გერმანია** | |
| აუგსბურგი-იზერლონი | 3:2 (ბ) |
| ჰანოვერი-მანჰაიმი | 4:2 |
| დიუსელდორფი-ნიურნბერგი | 3:4 (ბ) |
| ინგოლშტადტი-ჰამბურგი | 3:5 |
| **სლოვაკეთი** | |
| ნიტრა-კოშიცე | 3:1 |
| სკალიცა-პოპრადი | 1:0 (ო) |
| **ფინეთი** | |
| კალპა-იუვიასკიულა | 0:1 |
| პელიკანსი-ბლუზი | 5:2 |
| საიპა-იოკერიტი | 4:6 |
| ტაპარა-ლუკო | 2:6 |
| ტპს-ესეტი | 4:8 |
| ჰიფკ-ილვესი | 4:0 |
| ჰპკ-კერპეტი | 0:1 (ო) |
| **ჩეხეთი** | |
| სლავია-კარლოვი ვარი | 3:1 |
| **შვეიცარია** | |
| ამბრი-ბილი | 2:1 |
| რაპერსვილი-ლუგანო | 1:4 |
| **შვეიცარია** | |
| ლანგნაუ-ბერნი | 2:4 |
| სერვეტი-ცუგი | 2:6 |
| ფრიბურგი-დავოსი | 2:4 |
| ციურიხი-კლოტენი | 5:3 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-ლულეო | 1:2 (ბ) |
| ბრიუნასი-სიოდერტალე | 3:2 (ბ) |
| ლინჩოპინგი-იურგორდენი | 2:4 |
| ტიმრა-ჰ371 | 2:1 (ო) |
| ფრიოლუნდა-მოდო | 3:2 |
| შელეფტეო-ფერიესტადი | 2:6 |

### ჩოგბურთი

| | |
|---|---|
| **WTA. კუალა ლუმპური** | |
| ტანასუგარნი-იოვანოვსკი | 0:6, 1:6 |
| სუნი-გროტი | 6:7, 3:6 |
| ნარა-ბოვინა | 6:3, 6:3 |
| კლეიბანოვა-ლუ | 6:1, 6:1 |
| მალეკი-კრაიჩეკი | 3:6, 2:6 |
| ლუჟანსკა-დოი | 2:6, 3:6 |
| კრემერი-დატე | 4:6, 6:2, 7:6 |
| ბრატჩიკოვა-ივანოვა | 3:6, 6:4, 4:6 |
| კამერინი-ბარტოლი | 0:6, 1:6 |
| ჰანი-საფინა | 2:6, 0:6 |
| **WTA. მონტერეი** | |
| ბამერი-ჰლავაჩკოვა | 4:6, 6:3, 6:3 |
| ბ. ზახავლოვა-ოპრანდი | 6:0, 4:6, 6:1 |
| ვოზნიაკი-ჰერმოსო | 6:2, 6:0 |
| სევასტოვა-პოუს ტიო | 6:2, 6:4 |
| ჰრადეცკა-ონდრაშკოვა | 6:2, 6:2 |
| ერანი-ლარსონი | 6:2, 6:4 |
| ოუდინი-კინგი | 6:4, 6:1 |
| გოვორცოვა-ვორაკოვა | 6:3, 6:1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ფილიპუსისი ინდიან უელსზე იქნება

ამ კვირას მამაკაცი ჩოგბურთელები ATP-ის ტურისგან ისვენებენ და კვირის ბოლოს დევისის თასის მერვედფინალურ ეტაპში ჩაებმებიან. ამის შემდეგ კი ამერიკაში გადაინაცვლებენ, სადაც ინდიან უელსსა და მაიამიში ორი მასტერსი გაიმართება. ამ ტურნირებს ზოგიერთი „დიდი სლემის“ მეხუთე და მეექვე ჩემპიონატსაც კი უწოდებს.

რა თქმა უნდა, ამ მასტერსებს ყურადღება ისედაც არ აკლიათ, მაგრამ ინდიან უელსის ტურნირი იმ მხრივადაც იწვევს ინტერესს, რომ იქ დიდ ჩოგბურთში დაბრუნებას შეეცდება მსოფლიოს ყოფილი მერვე ჩოგანი **მარკ ფილიპუსისი**. ორგანიზატორებმა ავსტრალიელს უკვე მიანიჭეს საკვალიფიკაციო ტურნირის უაილდ-ქარდი.

. შეგახსენებთ, რომ 2007 წლის სეზონის დასაწყისში უიმბლდონის ყოფილმა ფინალისტმა მარჯვენა მუხლი დაიზიანა და მას შემდეგ აღარ უთამაშია პროფესიულ ტურში. კარიერის განმავლობაში ფილიპუსისს ერთეულთა თანრიგში ATP-ის 11 ტურნირი აქვს მოგებული, წყვილთა თანრიგში - სამი.

■ ■ ■

ცნობილი გახდა ინდიან უელსში ერთი დანაკლისის შესახებ. ძირითადი ბადიდან ამოვარდა ფრანგი ჩოგბურთელი **გაელ მონფილსი**. შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე გაელმა უარი თქვა დევისის თასის პირველ წრეში თამაშზე. მონფილსს მაჯის ტრავმა აწუხებს. ეს დაზიანება მან ავსტრალიის ღია პირველობის დროს მიიღო.

*„სრული უმოქმედობა! სამწუხაროდ, დევისის თასის შემდეგ ინდიან უელსის მასტერსის გამოტოვებაც მიწევს“*, - დაწერა „ტვიტერის“ სოციალურ ქსელში ფრანგმა.

ინდიან უელსის ტურნირი 10 მარტს აიღებს სტარტს.

# სერენამ თაბაშირი მოიხსნა



სერენა თავისუფალია

წარმატებით მიმდინარეობს მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნის **სერენა უილიამსის** რეაბილიტაციის პროცესი. ამერიკელმა ჩოგბურთელმა ტრავმირებული ფეხიდან თაბაშირი მოიხსნა, რაშიც თავად დავრწმუნდით, როცა სერენა ოსკარების დაჯილდოების ცერემონიაზე ფოტოგრაფების წინაშე პოზირებდა. თავდაპირველად უილიამსი **ელტონ ჯონის** მიერ ორგანიზებულ ტრადიციულ საღამოზე - Elton John's Academy Awards-ზე გამოჩნდა, რომელიც „ოსკარების“ პრემიის გადაცემის შემდეგ იმართება.

*„როგორც იქნა, რამდენიმე დღის წინ თაბაშირი მოვიხსენი. რამდენიმე თვე ვატარებდი სახვევს და ახლა უბედნიერესი ვარ, რომ გავთავისუფლდი*, - განაცხადა უმცროსმა უილიამსმა. - *ფეხი წესრიგში მაქვს, ვარჯიშებს ვიწყებ და სავარაუდოდ, როლან გაროსის სტარტისთვის დავუბრუნდები კორტს“.*

„ოსკარების“ ცერემონიასა და ელტონ ჯონის საღამოზე სერენას გრძელი კაბა ეცვა. ეს იმიტომ, რომ უილიამსს ჯერ არ შეუძლია მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ტარება.

ფორმულა 1

# ალონსო პრესის წინააღმდეგ

ესპანური პუბლიკის წინაშე **ფერნანდო ალონსოს** გამოჩენა ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს. მაგალითად, ვალენსიაში, ხერესსა და ბარსელონაში გამართულ ტესტებს ათასობით მაყურებელი ესწრებოდა - რა თქმა უნდა, „ფერარის“ პილოტის ხათრით.

როგორც „ფერარის“ პრესსამსახური იტყობინება, ორშაბათს ესპანელ ჟურნალისტებს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონთან გაჯიბრების შანსი მიეცათ. ფერნანდო მადრიდის ავტოდრომს სტუმრობდა, რომელიც ლეგენდარულ რალისტს **კარლოს საინსს** ეკუთვნის. ჟურნალისტთა ტურნირის ორგანიზატორი იყო ესპანეთის ავტოსპორტის ფედერაცია, სპონსორი კი „ფერარის“ ძირითადი პარტნიორი - ბანკი „სანტანდერი“.

ფერნანდო საპატიო სტუმრის რანგში იყო და რბოლებშიც მიიღო მონაწილეობა, ოღონდ უკონკურსოდ. ჟურნალისტებმა კი ტრასაზე ნამდვილი ბრძოლა გააჩაღეს და მთელი პოდიუმი ტელეარხ La Sexta-ს წარმომადგენლებმა დაიკავეს. სწორედ ეს ტელეკომპანია გადასცემს ესპანეთში ფორმულა 1-ის რბოლებს.

ლონისძიების დროს გამოცხადდა, რომ ბანკი „სანტანდერი“ ფინანსურ დახმარებას გაუწევს „ფერარის“ სარბოლო აკადემიას და აგრეთვე კარტინგში ესპანეთის ჩემპიონატის სპონსორი გახდება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




ალონსო კარტოდრომზე

ტურნირების მიმოხილვა



ფრანჩესკა სკიავონე

# პირველ წრეში პირველი გავარდა

გუშინ მიმდინარე კვირის ტურნირების წარდგენისას ვივარაუდეთ, რომ კუალა ლუმპურის ტურნირის მთავარი ფავორიტი როლან გაროსის ფინალისტი **ფრანჩესკა სკიავონე** იქნებოდა, მაგრამ პირველ ნომრად განთესილმა იტალიელმა პირველივე წრეში წააგო და მთავარი პრიზისთვის ბრძოლა შეწყვიტა.

სკიავონემ ავსტრალიელ **ელენა დოკიჩთან** ორსაათიან მატჩში 11 ეისი ჩააწოდა, მაგრამ კარგმა მოწოდებამ ვერ უშველა, მიუხედავად იმისა, რომ მისმა მეტოქეს სამი სეტის ჯამში 15 (!) ორმაგი შეცდომა დააგროვა.

სხვათა შორის, ეს იყო ამ ჩოგბურთელების რიგით მესამე დაპირისპირება და დოკიჩმა მესამედ შეძლო გამოცდილი იტალიელის დამარცხება, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ მათ შორის ბოლო შეხვედრა 10 წლის წინ ჩატარდა.

არადა, სკიავონესთვის ყველაფერი კარგად იწყებოდა. მან პირველი სეტი 6:2 მოიგო, მეორეში თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა. ტაი-ბრეიკზე დოკიჩი 3:1 დაწინაურდა, როცა სკიავონემ სამედიცინო ტაიმ-აუტი მოითხოვა. ფრანჩესკამ მარჯვენა ფეხი დაიზიანა, თუმცა მაინც გააგრძელა თამაში. საბოლოოდ, იტალიელმა წააგო მეორე სეტის მე-13 გეიმი (1:7) და მესამე სეტი - 4:6.

მატჩის შემდეგ სკიავონემ განაცხადა, რომ მეორე სეტის დროს თამაშის ვადაზე ადრე დასრულებას აპირებდა, მაგრამ მაყურებელს სცა პატივი: *„მიყვარს სპორტი და პატივს ვცემ იმ ადამიანებს, რომლებიც თამაშის სანახავად იყვნენ მოსული. ამიტომაც ვითამაშე ბოლომდე. შესაძლოა, სხვა სიტუაციაში ტრავმის გამიზეზების შიშით უარი მეთქვა თამაშის გაგრძელებაზე, მაგრამ აქ მაყურებელი მომიწოდებდა არ დავნებებულიყავი და ამან დიდი დახმარება გამიწია. მათ უყვართ ჩოგბურთი ჩემი შესრულებით და მეც იმავეთი ვუპასუხე. დღეს დოკიჩი კარგად თამაშობდა და დაიმსახურა ეს გამარჯვება“.*

სხვა განთესილებს პრობლემა არ შექმნიათ. ტურნირის მეხუთე ნომერმა **ლუსი საფაროვამ** ყაზახ **ზარინა დიასს** 72 წუთში მოუგო, თანაც ერთი ბრეიკ-პოინტის შანსი არ მიუცია მეტოქისთვის. მეექვსე ნომრად განთესილმა **აიუმი მორიტამ** კიდევ უფრო იოლად დაამარცხა **დარია კუსტოვა**.

სიურპრიზის გარეშე არ ჩაუვლია მონტერეის ტურნირის პირველ დღეს. მესამე ნომერმა **არავან რეზაიმ** ორ სეტში წააგო **ალა კუდრიავცევასთან**. რუსმა უბრალოდ არ შეიმჩნია კორტზე ფრანგი ჩოგბურთელის ყოფნა, ჯამში მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო მას და 50 წუთში გაანადგურა ერთ-ერთი ფავორიტი. რეზაის ორი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა და ვერც ერთი შანსი ვერ გამოიყენა, კუდრიავცევამ კი რვიდან ხუთი ბრეიკ-პოინტი აიღო.

**WTA**

**Malaysian Open**

კუალა ლუმპური (მალაიზია). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 220 000 დოლარი

**I წრე**

**შუაი ჟანი (ჩინ)**-კაი ჩენ ჩანი (ტაივ) 6:4, 6:7, 6:4; **აიუმი მორიტა (იაპ, 6)**-დარია კუსტოვა (ბლრ) 6:2, 6:0; **ლუსი საფაროვა (ჩეხ, 5)**-ზარინა დიასი (ყაზ) 7:5, 6:1; **ურსულა რადვანსკა (პოლ)**-იუნრი ნამიგატა (იაპ) 6:1, 6:3; **ელენა დოკიჩი (ავსტრა)**-ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 1) 2:6, 7:6, 6:4; **ნოპავან ლეტჩევაკარნი (ტაილ)**-ალბერტა ბრიანტი (იტა) 6:4, 2:6, 6:2.

**Monterrey Open**

მონტერეი (მექსიკა). გრუნტი
**საპრიზო ფონდი:** 220 000 დოლარი

**I წრე**

**პოლონა ჰერცოგი (სლოვენ, 8)**-ანჟელიკ კერბერი (გერ) 6:3, 6:3; **გრეტა არნი (უნგ)**-სანდრა ზახვალოვა (ჩეხ) 6:0, 6:4; **ალა კუდრიავცევა (რუს)**-არავან რეზაი (საფ, 3) 6:2, 6:1.

# დიდი შერიგება მედისონ სქვერ გარდენში

საინტერესო საჩოგბურთო საღამო გაიმართა ნიუ იორკის „მედისონ სკვერ გარდენში“. „საჩოგბურთო ღამე ამერიკაში“ - ასე ერქვა ამ საქველმოქმედო ღონისძიებას და მასში ამერიკული ჩოგბურთის ოთხმა ლეგენდამ - **ანდრე აგასიმ, პიტ სამპრასმა, ჯონ მაკინროიმ** და **ივან ლენდლმა** მიიღეს მონაწილეობა.



პირველ საჩვენებელ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ სამპრასი და აგასი. „დიდი სლემის“ ტურნირების 14-გზის ჩემპიონმა სამპრასმა ორ სეტში - 6:3, 7:5 დაამარცხა ერთ დროს თავისი ყველაზე პრინციპული მეტოქე.

ცნობილია, რომ ამ ჩოგბურთელებს თავის დროზე არცთუ ისე სასიამოვნო ურთიერთობა ჰქონდათ. მაგალითად, შარშან საქველმოქმედო ტურნირის დროს აგასიმ სამპრასზე პაროდია შესთავაზა მაყურებელს - ამით ანდრეს უნდოდა ეჩვენებინა, რამდენად ხარბი ადამიანია პიტი. ამას ჩოგბურთელს შორის სიტყვიერი კონფლიქტი მოჰყვა. ბუნებრივია, ნიუ იორკის შეხვედრის შემდეგ აგასის სამპრასთან ამჟამინდელი ურთიერთობის შესახებ ჰკითხეს.

*„როგორი ურთიერთობა მაქვს ამჟამად პიტთან? მკაცრად პლატონური. უკვე დიდი ხანია მოგვარებულია ჩვენი კონფლიქტი. 150-ჯერ გავიმეორე, რომ შარშანდელ ინციდენტში მხოლოდ მე ვარ დამნაშავე და ბოდიშიც მოვიხადე. მთავარია, რომ ჩვენ ერთად იმ საქველმოქმედო მატჩში დიდი თანხა შევაგროვეთ და ჰაიტიში მიწისძვრით დაზარალებულებს კეთილი საქმე გავუკეთეთ. მაგრამ ვწუხვარ, რომ მაშინ მიკროფონით ბევრი სისულელე ვილაპარაკე“*, - უპასუხა ანდრემ.

*„კონფლიქტი ამოწურულია. რა თქმა უნდა, უსიამოვნო ინციდენტი იყო. ანდრემ ბოდიში მოიხადა. ჩვენ ძველებურად ვაგრძელებთ ურთიერთობას, რადგან აგასი ყოველთვის ჩემი მეგობარი იყო“*, - აღნიშნა სამპრასმა.

პიტისა და ანდრეს შემდეგ კორტზე გავიდნენ ლენდლი და მაკინროი. მათ ერთსეტიანი მატჩი უნდა ჩაეტარებინათ და მოსაგებად რვა გეიმის აღება იყო საჭირო. მაკინროი 6:3-ს იგებდა, როცა ფეხის ტრავმის გამო თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო. ეს დაზიანება ჯონმა მატჩისწინა ვარჯიშისას მიიღო.

სხვათა შორის, სამპარასისა და აგასის მსგავსად, თავის დროზე თბილი ურთიერთობა არც ლენდლსა და მაკინროის ჰქონიათ. ყოფილმა ჩეხმა ჩოგბურთელმა დაადასტურა, რომ დღემდე არ აქვს ურთიერთრობა თავის ყოფილ კონკურენტთან.

*„ჩვენ არ გვაქვს ურთიერთობა, არადა, ვისურვებდი მასთან პერიოდულად კონტაქტს. ვფიქრობ, უკვე საკმარისი დრო გავიდა და ურთიერთობის მოგვარება გონიერი ნაბიჯი იქნებოდა“*, - განაცხადა ლენდლმა.

*„ვერ ვიტყვი, რომ ხშირად ვხვდებით ერთმანეთს და ინტენსიური ურთიერთობა გვაქვს. ამ წლების განმავლობაში ჩვენი ურთიერთობა თითქმის არ შეცვლილა. არადა, დღეს შემიძლია მას უფრო მეტი პატივი ვცე, ვიდრე ამას ადრე ვაკეთებდი. საქმე ისაა, რომ აქტიური კარიერის დროს ცდილობ საუკეთესო გახდე, მოიგო „დიდი სლემის“ ტურნირები, ამიტომაც შენს კონკურენტს ჭიქად აღიქვამ, რომელიც სანახევროდ არის ცარიელი. ეს არასწორი მიდგომაა. მხოლოდ წლების განმავლობაში ხვდები, რომ შეცდომას უშვებდი“*, - კომენტარი გააკეთა მაკინროიმ.

ალსანიშნავია, ნიუიორკული მატჩის შემდეგ ლენდლმა მაკინროის ერთი წლის შემდეგ შეხვედრა და ძველებური ხის ჩოგნებით თამაში შესთავაზა.